



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნანა შონია, ხათუნა ხომერიკი
სოფიო ორმოცაძე, რობიზონ ხურცილავა

კაზუსების პრაქტიკული სახელმძღვანელო

ბავშვის უფლებათა სამართალში

დამხმარე სახელმძღვანელო



ქუთაისი 2025

ნანა შონია, ხათუნა ხომერიკი,
სოფიო ორმოცაძე, რობიზონ ხურცილავა

კაზუსების პრაქტიკული
სახელმძღვანელო
ბავშვის უფლებათა სამართალში

დამხმარე სახელმძღვანელო

ქუთაისი

2025

ავტორები:

ნანა შონია, ხათუნა ხომერიკი,
სოფიო ორმოცაძე, რობიზონ ხურცილავა

რედაქტორი: მამუკა შენგელია

რეცენზენტები: ია ჩხეიძე, მალხაზ ბეგიაშვილი

დამხმარე სახელმძღვანელო მომზადდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 11 მარტის სხდომის გადაწყვეტილებით, ოქმი №10.

წიგნში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს. გამომცემელი არ იღებს პასუხისმგებლობას წიგნის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.

სახელმძღვანელოს შექმნაში მონაწილეობა მიიღეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა: მარიამ ჯანაძემ, რუსუდან ჯანელიძემ, დავით ხურციძემ.

© USAID, East-West Management Institute, აწსუ, 2024

ISBN 978-9941-518-50-8



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
მის.: ქუთაისი, თამარ მეფის 59. ტელ.: 24 00 21
ელ. ფოსტა: atsugamomcemloba@gmail.com

წინასიტყვაობა

იურიდიული განათლების სწავლების პროცესში ცოდნის ამაღლებისა და შესწავლილი თეორიის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. აკადემიური განათლების პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების შეძენის მიზანს ემსახურება კაზუსების პრაქტიკული სახელმძღვანელოს შექმნა ბავშვის უფლებათა სამართალში.

ქართული სამართლის მეცნიერებაში ხელმისაწვდომია ბავშვის უფლებათა სამართლის მიმართულებით გარკვეული სამეცნიერო კვლევები თუმცა, არ არსებობს სახელმძღვანელო, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის წარმოჩენაზე. აღნიშნული კი უმნიშვნელოვანესია სტუდენტების/დაინტერესებული პირების მიერ ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსურად შემცნებისა და გაანალიზებისათვის. სწორედ ამიტომაც, შემუშავებული ნაშრომი წარმოადგენს ბავშვის უფლებათა სამართლის კაზუსების ამოხსნის პრაქტიკულ სახელმძღვანელოს, რომელშიც ასახულია ბავშვის უფლებათა კონვენციის და ბავშვის უფლებათა კოდექსის ისტორიული რაკურსი, კაზუსების ამოხსნის მეთოდოლოგია, კაზუსების ამოხსნის ნიმუშები და ამოსახსნელი კაზუსები. სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია ბავშვების მონაწილეობით საქმის განხილვის სპეციფიკაზე, რაც არსებითად მნიშვნელოვანი საკითხია ბავშვის უფლებათა სამართალში არსებული პრობლემის ირგვლივ სამართლებრივი დასკვნის გამოსატანად. ნაშრომში მოცემული თითოეული ტიპის კაზუსი გაანალიზებულია მისი ამოხსნის მეთოდის შესაბამისად, რაც მკითხველს შემდგომში გაუადვილებს კაზუსებზე მუშაობასა და ამოხსნას. ასევე, ნაშრომის ყველა თავს დართული აქვს კითხვები თვითკონტროლისთვის, რომელიც სტუდენტებს უფრო გაუღრმავებს თეორიულ ცოდნას ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ.

ნაშრომში ასახული კაზუსები დაფუძნებულია სახელმძღვანელოს თანაავტორი მოსამართლის და ადვოკატების რეალურ საქმიანობას. სახელმძღვანელო განკუთვნილია სამართლის, საჯარო მმართველობის, პედაგოგიკის სპეციალობის სტუდენტებისა და ლექტორებისთვის, ასევე, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

Preface

One of the most important issues in the process of teaching legal education is the development of skills to increase knowledge and apply the learned theory in practice. The purpose of acquiring the skills of practical application of the theoretical knowledge obtained in the process of academic education is to create a practical guide to cases in the law of children's rights.

There are some scientific studies in the field of child rights law available in Georgian jurisprudence, however, there is no manual that is focused on the development of practical skills and presentation of the practice established by the court. This is very important for the students/interested persons to understand and analyze the issues related to the child's rights in a complex manner. That is why the work developed is a practical manual for solving cases of child rights law, which describes the methodology of solving cases, the historical perspective of the Convention on the Rights of the Child and the Code of Children's Rights, a brief theoretical overview of the chapters provided by the Code, examples of solving cases and cases to be solved. The manual focuses on the specifics of the consideration of cases with the participation of children, which is essentially an important issue for drawing a legal conclusion about the existing problem in the law of children's rights. Each type of case given in the paper is analyzed by the methodology of its solution, which will make it easier for the reader to work on the cases and solve them. Also, all chapters of the work are accompanied by self-control questions that will further deepen students' theoretical knowledge about the protection of children's rights.

The cases presented in the work are based on the real activities of the co-author of the manual, the judge and the lawyers. The manual is intended for students and lecturers interested in law, public administration, and pedagogy, as well as for any interested persons.

აქრონიმები

- აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები;
- გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;
- სასკ - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
- სზაკ - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- სადსკ - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- სსსკ - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
- შშმ პირი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
- CAN- Child Abuse and Neglect-ბავშვთა მიმართ ძალადობის ფენომენი;
- NSPCC - ძალადობისგან ბავშვთა დაცვის ნაციონალური საზოგადოება;
- COFRADE - ბავშვთა უფლებების ასოციაციების საფრანგეთის საბჭო;
- UNICEF — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი;

სარჩევი

შესავალი	9
თავი 1. ბავშვის უფლებების აღიარებისა და დაცვის სამართლებრივი გარანტიების ისტორიული რაკურსი	12
1.1. ბავშვის უფლებების დაცვის ისტორიული განვითარება.....	12
1.2. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციით და დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული ზოგადი პრინციპები	14
1.3. ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღება საქართველოში	17
1.4. კითხვები თვითკონტროლისთვის	19
თავი 2. კაზუსებით სწავლების მიზანი და მეთოდოლოგია	20
2.1. კაზუსის შესაბამისი მეთოდით დამუშავების მნიშვნელობა.....	20
2.2. კაზუსის შესაბამისი მეთოდით დამუშავების უპირატესობა	22
2.3. კაზუსის განხილვა-გადაწყვეტის პროცესის მიმოხილვა.....	24
2.4. კაზუსის ამოხსნის გადაწყვეტილების სტილი.....	33
2.5. კაზუსის ამოხსნის იურიდიული დასკვნის სტილი.....	36
2.6. კაზუსის ამოხსნის ნიმუში	39
2.7. კითხვები თვითკონტროლისთვის	53
თავი 3. კაზუსები ბავშვის უფლებათა სამართალში ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.....	55
3.1. კაზუსი ამოხსნით: ბავშვის სტატუსის განსაზღვრის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.....	55
3.2. კაზუსები შესაფასებლად:	84
3.2.1. კაზუსი შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე.....	84
3.2.2. კაზუსი შემაკავებელი ორდერის გამოცემის თაობაზე	85
3.2.3. კაზუსი ბავშვის ოჯახისაგან განცალკავების თაობაზე.....	86
3.2.4. კაზუსი სასამართლოში წარმომადგენლობის თაობაზე.....	89
3.2.5. კაზუსი დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე	90
3.2.6. ბავშვის მშობლისგან განცალკავების ვადის გაგრძელების თაობაზე	93

3.2.7. კაზუსი ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების თაობაზე	94
3.2.8. კაზუსი დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე	96
3.2.9. კაზუსი ბავშვის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის თაობაზე.....	100
3.3. კაზუსი ამოხსნით: ბავშვის მიმართ სახდელის სახით ჯარიმის გამოყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში	101
3.4. კითხვები თვითკონტროლისთვის	112
თავი 4. კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია ბავშვის ძირითად უფლებათა სამართალში	114
4.1. კაზუსის ამოხსნის მოდელები და მნიშვნელობა	114
4.2. კაზუსის ამოხსნა ბავშვის ძირითად უფლებებში	116
4.3. კაზუსი ამოხსნით: ბავშვის განათლების და თანასწორობის უფლების დაცვის შესახებ.....	126
4.4. კითხვები თვითკონტროლისთვის	134
თავი 5. კაზუსები ბავშვის ძირითად უფლებათა სამართალის მიმართულებით ..	136
5.1. კაზუსი ამოხსნით: საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან ბავშვის დაცვა..	136
5.2. კაზუსები შესაფასებლად:.....	148
5.2.1. კაზუსი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება	148
5.2.1.1. კითხვები თვითკონტროლისთვის	149
5.2.2. კაზუსი ოჯახის გაერთიანების შესახებ	151
5.2.2.1. კითხვები თვითკონტროლისთვის	153
5.2.3. კაზუსი შვილად აყვანის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.....	155
5.2.3.1. კითხვები თვითკონტროლისთვის	156
5.2.4. მშობლის უფლების შეზღუდვისა და ბავშვის გაშვილების შესახებ	158
5.2.4.1. კითხვები თვითკონტროლისთვის	158
5.2.5. კაზუსი ბავშვის უფლება ალტერნატიულ ზრუნვაზე	161
5.2.5.1. კითხვები თვითკონტროლისთვის	162
5.2.6. კაზუსი ბავშვის დაბადების რეგისტრაციის შესახებ	164
5.2.6.1. კითხვები თვითკონტროლისთვის	165

5.2.7. კაზუსი ბავშვის შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება	167
5.2.7.1. კითხვები თვითკონტროლისთვის	168
5.2.8. ბავშვის მემკვიდრეობის უფლება	170
5.2.8.1. კითხვები თვითკონტროლისთვის	171
5.2.9. კაზუსი ბავშვის საპროცესო უფლებებში.....	173
5.2.9.1. კითხვები თვითკონტროლისთვის	174
5.2.10. კაზუსი ბავშვის საპროცესო უფლებების წარმართვის შესახებ.....	176
5.2.10.1. კითხვები თვითკონტროლისთვის	177
5.2.11. კაზუსი ბავშვის უკანონო გადაადგილებისგან დაცვის უფლება.....	179
5.2.11.1. კითხვები თვითკონტროლისთვის	180
5.2.12. კაზუსი ბავშვის ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება....	182
5.2.12.1. კითხვები თვითკონტროლისთვის	183
5.2.13. კაზუსი ბავშვის რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება	185
5.2.13.1. კითხვები თვითკონტროლისთვის	186
5.2.14. კაზუსი ბავშვის განათლების უფლების შესახებ	188
5.2.14.1. კითხვები თვითკონტროლისთვის	189
5.2.15. კაზუსი ბავშვის თანასწორობის უფლების შესახებ	191
5.2.15.1. კითხვები თვითკონტროლისთვის	193
ბიბლიოგრაფია	196

შესავალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა აღიარეს, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით, ბავშვები სარგებლობენ განსაკუთრებული ზრუნვისა და დახმარების უფლებით. ამასთანავე ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული წვლილი ბავშვების აღზრდისა და კეთილდღეობისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნას განსაკუთრებული ხელშეწყობით, რათა ოჯახმა სრულყოფილად შეეძლოს მის წინაშე არსებული ვალდებულების შესრულება და ბავშვი გაიზარდოს ოჯახურ გარემოცვაში, ბედნიერების, სიყვარულისა და გაგების ატმოსფეროში, რაც აუცილებელია ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის. ადამიანის უფლებათა დეკლარაციაშია აღნიშნული, რომ „ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი სიმწიფის გამო საჭიროებს სპეციალურ დაცვას და ზრუნვას, მათ შორის სათანადო სამართლებრივ დაცვას, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ“, ამიტომაც 1989 წელს მიიღეს უნივერსალური დოკუმენტი ბავშვის უფლებათა კონვენციის სახით, რომელიც ძლიერი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტია ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში.¹

ბავშვის უფლებების კონვენციის ნორმატიულმა შინაარსმა დაადასტურა, რომ ბავშვი არის უფლებათა სუბიექტი და შესაბამისად მას შეუძლია ამ უფლებათა დაცვის მოთხოვნა. კონვენციაში გაერთიანებულია ბავშვის უფლებათა მთელი სპექტრი: სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები.

ბავშვის უფლებების სფერო დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთ აქტუალურ თემად იქცა. აღსანიშნავია, რომ უძველესი დროიდანვე დაიწყო ბავშვების განსაკუთრებული მოწყვლადობის გაცნობიერება და სახელმწიფოების მხრიდან, ბავშვებზე ძალადობის მიმართ, შეუწყნარებლობის პოლიტიკის ჩამოყალიბება. თუმცა, გარდამტეხი ნაბიჯები ამ მიმართულებით, უკავშირდება 1874 წელს, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა შვილად აყვანილი გოგონას, მერი ელენის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შემთხვევის გამჟღავნებას. მშობლები, რომლებმაც ბავშვი შვილად აიყვანეს, სასტიკად სცემდნენ მას, საწოლზე აბამდნენ, აშიმშილებდნენ. ნიუ იორკის პოლიციამ ვერაფრით შეძლო გოგონას დახმარება, რადგან არ არსებობდა კანონი ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ. ამ შემთხვევას შედეგად მოჰყვა აშშ-სა და შემდეგ დიდ ბრიტანეთში ძალადობისგან ბავშვთა დაცვის ნაციონალური საზოგადოების (NSPCC) დაარსება. მე-20 საუკუნის

¹ იხ. გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“, 1989, პრეამბულა. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>;

მეორე ნახევრიდან კი მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში, ბავშვებთან მომუშავე მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა აღიარეს CAN (Child Abuse and Neglect) - ბავშვთა მიმართ ძალადობის ფენომენი, როგორც სპეციალური პრობლემა, რომლის გადასაჭრელად საჭიროა სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების, მშობლებისა და მთელი საზოგადოების ძალისხმევით გაერთიანება. ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს სრულფასოვანი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რომელიც შესაძლებელს გახდის ბავშვთა ეფექტურ დაცვას ძალადობის ყველა ფორმისგან, ძალადობის შეჩერებასა და მსხვერპლთა დახმარებისთვის საჭირო ადეკვატური ზომების მიღებას.²

საქართველო, როგორც ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული სახელმწიფო, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით იღვწის ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმების იმპლემენტაციისათვის. აღნიშნულ მიზანს ემსახურება ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირება და იუვენალური იუსტიციის დამკვიდრება, რაც გულისხმობს არასრულწლოვანთა და მოზარდთა მართლმსაჯულების სისტემის შემუშავებასა და განმტკიცებას.

საქართველოს მიერ ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირების შემდეგ (1994წ.) ეროვნულ კანონმდებლობაში ბავშვთა უფლებების დასაცავად განხორციელდა რიგი ცვლილებები და რაც უმნიშვნელოვანესია, შეიქმნა სპეციალური ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ქმედითი ინსტრუმენტია სამართალწარმოების პროცესში პრაქტიკის დახვეწისა და შემდგომი განვითარებისათვის. ბავშვის უფლებების სფეროში სპეციალური საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა (2015 წ.) და ბავშვის უფლებათა (2019 წ.) კოდექსების სახით. აღნიშნული საკანონმდებლო რეგლამენტაცია და მასზე დაფუძნებული სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს ბავშვის უფლებების კონვენციით გარანტირებული უფლებების განხორციელებაში მართლმსაჯულების მონაწილეობის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობას სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავების მიმართებით. სამართლის თითოეულ დარგში საქმის განმხილველი სასამართლო ორიენტირებულია ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციითა თუ კოდექსით გარანტირებული ყველა უფლების, მათ შორის, სიცოცხლის, ღირსების, თავისუფალი განვითარების, განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ყველა ფორმის ძალადობისგან დაცვის უფლების სრულფასოვან დაცულობაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მიზნების მიღწევა.

² საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, დოკუმენტი პროფესიონალებისათვის, „ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, დარღვეული დუმილის დადებითი გამოყენება“, 2020, გვ.15, ხელმისაწვდომია აქ: <https://phf.org.ge/publication039s/> [ნანახია: 10.03.2024].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული სახელმძღვანელოს მიზანია ბავშვის უფლებათა სამართლის შესწავლის მიმართულებით სტუდენტებს/დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. ასევე, ხელი შეუწყოს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში. უშუალოდ კაზუსებზე გადასვლამდე, სტუდენტს ვაწვდით პრაქტიკულ მითითებებს, რაზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს კაზუსის დამუშავებისას, კერძოდ, როგორ უნდა მოხდეს კაზუსის ფაზულის შესწავლა, მასზე მუშაობა და ამოხსნა, როგორ უნდა მოხდეს ნორმის მოძიება და მისი სწორად განმარტება-გამოყენება, როგორ უნდა მოხდეს იურიდიული პრობლემის ირგვლივ მსჯელობა სხვადასხვა ასპექტში და საბოლოოდ გადაწყვეტა. საჭიროდ მივიჩნიეთ ასევე, რიგი სამართლებრივი ცნებებისა და ტერმინების განმარტება, რაც მნიშვნელოვანია მსგავს სამართლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებისას. ნაშრომში მოცემულია კაზუსები მაგალითების სახით და ამოხსნები, რაც შესაძლებელს ხდის სწავლების პროცესში მათ ერთობლივ განხილვასა და გააზრებას. აღნიშნული კაზუსები წარმოადგენს ამ სახელმძღვანელოზე მომუშავე პერსონალის ერთობლივი განხილვის საგანს მათ შორის აზრთა ურთიერთგაცვლის პირობებში. სახელმძღვანელოში კაზუსების სახით წარმოდგენილია, როგორც ეროვნული ასევე, საერთაშორისო სასამართლოთა მიერ ჩამოყალიბებული ხედვები და პრაქტიკები, რომლებიც სხვადასხვა სასამართლოების მიერ პრაქტიკის ფარგლებში შემუშავებული იქნა ბავშვის უფლებების განმარტების პროცესში. ამასთანავე, თითოეული ტიპის კაზუსი გაანალიზებულია მისი ამოხსნის მეთოდის შესაბამისად, რაც მკითხველს შემდგომში გაუადვილებს კაზუსებზე მუშაობასა და ამოხსნას.

ვფიქრობთ, ნაშრომი გამოსადეგი და სასარგებლო იქნება ბავშვის უფლებათა სამართალით და კაზუსების ამოხსნის მეთოდოლოგიით დაინტერესებული პირებისათვის. მოხარული ვიქნებით, თუ მივიღებთ გამოხმაურებებსა და ახალ ინიციატივებს ამ კონკრეტულ სფეროში კაზუსების ამოხსნის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით.

თავი 1. ბავშვის უფლებების აღიარებისა და დაცვის სამართლებრივი გარანტიების ისტორიული რაკურსი

„ბავშვის უფლებათა კოდექსი -

მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის“

(დასან ხალილი - გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი)

1.1. ბავშვის უფლებების დაცვის ისტორიული განვითარება

სიტყვა "ბავშვი" მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან *infans* და ნიშნავს: „ვინც არ ლაპარაკობს.“ ეტიმოლოგიური განმარტება ზუსტად ასახავს წარსულში ბავშვების მდგომარეობას, რომლებსაც უფროსებისგან განსხვავებით უფლებები ჩამორთმეული ქონდათ. თუმცა, კულტურული და სოციალური განვითარების ფონზე სიტყვა „ბავშვის“ ცნება განვითარდა და მასში იგულისხმება უფლებათა სრულფასოვანი სუბიექტი დაბადებიდან სრულწლოვანებამდე. უფრო კონკრეტულად, 1989 წლის ბავშვის უფლებების საერთაშორისო კონვენციის მიხედვით, ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი 18 წლის ასაკს მიღწევამდე. ამ დეფინიციას თან ახლავს მოსაზრება, რომ ბავშვი არის, ერთი მხრივ, უფლებების და ღირსების მქონე ადამიანი, მეორე მხრივ კი ის საჭიროებს დაცვის განსაკუთრებულ სტანდარტებს უფროსების მხრიდან, რათა ხელი შეეწყოს ბავშვის სწორ განვითარებას.³

დღესდღეობით, ბავშვის უფლებების დაცვა გარანტირებულია საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობებით, რომელთა შორის მთავარ დოკუმენტად მიიჩნევა გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“. კონვენციის მიღებამდე ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით მოქმედებდა სხვადასხვა საერთაშორისო აქტები. თავდაპირველად, 1924 წელს ერთა ლიგამ მიიღო ბავშვის უფლებების შესახებ ჟენევის 1924 წლის დეკლარაცია. შემდგომში, 1959 წლის 20 ნოემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა ბავშვის უფლებათა დეკლარაცია. გარდა ამისა, ბავშვის უფლებები აღიარებული იყო „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“, საერთაშორისო პაქტებით „სამოქალაქო და პოლიტიკური

³ An article: L'enfant et ses droits, Conseil français des associations pour les droits de l'enfant (COFRADE), Responsable de publication: Armelle Le Bigot-Macaux, 2015, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.cofrade.org/l-enfant-et-ses-droits>, [წაწაკა: 10.03.2024].

უფლებების“ და „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების“ შესახებ. მიუხედავად ამისა, ფაქტები და საგანგაშო ცნობები ბავშვთა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის, ჩვილების სიკვდილიანობის, ბავშვისთვის არასაკმარისი ჯანდაცვის სერვისების, საბაზისო განათლების შეზღუდვის, ბავშვებზე ძალადობისა და ექსპლუატაციის შესახებ გახდა საფუძველი სახელმწიფოებისათვის, რომ ემტკიცებინათ ბავშვის უფლებების შესახებ ყოვლისმომცველი კონვენციის საჭიროება, რომელიც სავალდებულო იქნებოდა ყველა ქვეყნისათვის. ამიტომაც, 1979 წელს პოლონეთის მთავრობის მიერ მოხდა ბავშვის უფლებების კონვენციის პროექტის ინიცირება, რომელიც დაგვირგვინდა 1989 წლის 20 ნოემბრის 44/25 რეზოლუციით და გაეროს მიერ მიღებულ იქნა „ბავშვის უფლებების კონვენცია“.

გენერალური ასამბლეის მიერ კონვენციის ერთხმად მიღებამ გზა გაუხსნა შემდეგ ეტაპებს: სახელმწიფოების მიერ რატიფიკაციას და მონიტორინგის კომიტეტის მიერ, ბავშვის უფლებათა კომიტეტის შექმნას. ერთ წელზე ნაკლებ დროში, 1990 წლის სექტემბრისთვის, 20-მა სახელმწიფომ კანონიერად დაამტკიცა კონვენცია, რის შედეგადაც იგი ძალაში შევიდა. იმავე თვეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის (UNICEF) და ექვსი სახელმწიფოს: კანადა, ეგვიპტე, მალი, მექსიკა, პაკისტანი და შვედეთის, ინიციატივით ნიუ-იორკში ჩატარდა ბავშვთა მსოფლიო სამიტი. სამიტმა მოუწოდა ყველა სახელმწიფოს მოეხდინათ კონვენციის რატიფიცირება. 1990 წლის ბოლოსთვის 57-მა სახელმწიფომ განახორციელა რატიფიცირება, საქართველო კი მათ შეუერთდა 1994 წლიდან. 2015 წლის 31 დეკემბრისთვის 196 ქვეყანამ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება. ეს რიცხვი უპრეცედენტოა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციამ ორმაგი ფუნქცია შეასრულა, კერძოდ: შეცვალა ბავშვების აღქმაც და მათდამი დამოკიდებულებაც - ბავშვები არიან განსაკუთრებული უფლებების მქონე ადამიანები და არა ქველმოქმედების მხოლოდ პასიური ობიექტები. კონვენცია აღიარებს, რომ ბავშვებს განსაკუთრებული ზრუნვა და დაცვა სჭირდებათ. ბავშვის უფლებათა კონვენცია საერთაშორისო დონეზე ბავშვის უფლებების პირველი სავალდებულო კრებულია, რომ ეს უფლებები თითოეული ბავშვისთვის იყოს გარანტირებული. კონვენცია შედგება 54 მუხლისაგან და ის აყალიბებს ბავშვთა კეთილდღეობის მინიმალურ სტანდარტებს მათი განვითარების თითოეული ეტაპისთვის. ეს დოკუმენტი 18 წლამდე ყველა ადამიანს ეხება (ბავშვის განსაზღვრების მიხედვით) გენდერის, წარმომავლობის, რელიგიის, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად.

1.2. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციითა და დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული ზოგადი პრინციპები

კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“ მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რადგან ის ბავშვთა უფლებების მთელს მსოფლიოში აღიარებასა და დაცვას განამტკიცებს. კონვენცია, ხელს უწყობს ბავშვის უფლებების გლობალური სტანდარტის შექმნას და ქმნის იურიდიულად სავალდებულო წესებს ყველა ხელმომწერი სახელმწიფოსთვის. ასევე, მიმართულია სახელმწიფოების, სამოქალაქო საზოგადოებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წახალისებისკენ, რათა მათ ერთობლივი ძალებით, იმუშაონ ბავშვების კეთილდღეობისთვის და უზრუნველყონ ხელმისაწვდომობა ბავშვებისათვის აუცილებელ სერვისებსა თუ განვითარების თანაბარ შესაძლებლობებზე. ამასთანავე, განამტკიცებს ამ პროცესში ბავშვის უფლებას იყოს მოსმენილი და მიიღოს მონაწილეობა იმ საკითხებში, რაც მას ეხება.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია ითვალისწინებს ოთხ ძირითად პრინციპს, რომლებიც მიზნად ისახავს, რომ კონვენციის დებულებათა ინტერპრეტაცია და ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნული პროგრამების დაგეგმვა განხორციელდეს დასახელებული პრინციპების საფუძველზე. ესენია:

- **დისკრიმინაციის აკრძალვა** - მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი იურისდიქციის ფარგლებში განურჩევლად ყველა ბავშვმა, ისარგებლოს თავისი უფლებებით. არც ერთი ბავშვი არ უნდა დაექვემდებაროს დისკრიმინაციულ მოპყრობას და ყველას მიეცეს თანაბარი შესაძლებლობები ისარგებლონ ცხოვრების ადეკვატური სტანდარტით.
- **ბავშვის საუკეთესო ინტერესები** - კონვენციის ფუნდამენტური გზავნილია, რომ ბავშვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გადაწყვეტილების მიმღებმა ყველა სუბიექტმა უნდა გაითვალისწინონ და იხელმძღვანელონ ბავშვის საუკეთესო ინტერესებით. ეს პრინციპი შეეხება სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების, საკანონმდებლო ორგანოების და როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებების გადაწყვეტილებებს.
- **სიცოცხლის, გადარჩენისა და განვითარების უფლება** - სიცოცხლის უფლების მუხლი მოიცავს ფორმულირებებს გადარჩენისა და განვითარების უფლების შესახებ, რომელიც მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ტერმინი „განვითარება“ ამ კონტექსტში უნდა იქნას განმარტებული ფართო გაგებით და დაემატოს ხარისხობრივი განზომილება, კერძოდ არა მხოლოდ ფიზიკური ჯანმრთელობა, არამედ გონებრივი, ემოციური, კოგნიტური, სოციალური და კულტურული განვითარება.

- **ბავშვის შეხედულებები** - ბავშვებს უნდა ჰქონდეთ მოსაზრებების თავისუფლად გამოთქმის საშუალება ყველა საკითხზე, რომელიც მათ ეხება და ამ შეხედულებებს უნდა მიეცეს სათანადო წონა ბავშვის ასაკის შესაბამისად. ძირითადი იდეა არის ის, რომ ბავშვებს აქვთ უფლება, მოისმინონ და მიიღონ მათი შეხედულებები სერიოზულად, მათ შორის ნებისმიერ სასამართლო ან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რომელიც ეხება მათ.⁴

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის დებულებებს ემატება ფაკულტატური ოქმები, რომლებიც ავსებენ და ამატებენ ბავშვთა უფლებების დაცვის გარანტიებს:

- 2000 წლის 25 მაისს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ კენჭისყრის გარეშე მიიღო ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი **„შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ“**. აღნიშნული ოქმი მიზნად ისახავს, რომ ბავშვები დაცული იყვნენ სამხედრო ძალებში გაწვევისაგან და საომარ მოქმედებებში მონაწილეობისაგან. ქვეყნებისთვის, რომლებიც აღიარებენ დამატებით ოქმს, იღებენ პასუხისმგებლობა, რომ არ გაიწვევენ, არ დაიჭირებენ და არ ჩართავენ 18 წლამდე პირებს საბრძოლო თუ საომარ მოქმედებებში. ასევე, განახორციელებენ ყველა პრევენციულ ზომას, რომ ქვეყნის შეიარაღებული ძალებისგან განსხვავებულმა შეიარაღებულმა ჯგუფებმაც არ მოახდინონ ბავშვების ჩართვა საბრძოლო მოქმედებებში. ოქმი განამტკიცებს ბავშვების დაცვას საომარი მდგომარეობის დროს სექსუალური ექსპლუატაციის, იძულებითი შრომისა და ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანისაგან. ოქმი განსაკუთრებულ ვალდებულებებს აკისრებს ხელშემკვრელ სახელმწიფოს დარღვევების თავიდან აცილების, უფლებათა დარღვევის შემთხვევაში ბავშვების რეინტეგრაციის, დამრღვევთა პასუხისმგებლობისა დაკისრებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიმართულებით.⁵
- 2000 წლის 25 მაისს მიღებულ იქნა კიდევ ერთი ფაკულტატური ოქმი **„ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“**, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვების დაცვას ექსპლუატაციისგან და ავალდებულებს ყველა ხელმომწერ მხარეს, რომ მიიღონ სამართლებრივი და სხვა ზომები ბავშვების გაყიდვის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის აღსაკვეთად, დამნაშავეების დასასჯელად და მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოების

⁴ იხ. გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“, მუხლები 2,3,6,12;

⁵ იხ. ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი „შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ“, 2000, მუხ. 1-8, ხელმისაწვდომია აქ: https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-03/OP_CRC_armedconflicts_GE.pdf [ნახილვის თარიღი: 12.08.2024].

მზარდმა რაოდენობამ აიღო ოფიციალური სამართლებრივი ვალდებულებები, რომ მიიღონ ზომები და სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობით გააძლიერონ ინფორმაციის, ექსპერტიზისა და რესურსების გაზიარების მექანიზმები, რათა ეფექტურად და გლობალურად გადაჭრან ბავშვთა ექსპლუატაციის საკითხები. ასევე, ოქმი ქმნის მონიტორინგის მექანიზმს და მის საფუძველზე, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს წარმოეშვებათ ვალდებულება ბავშვების ექსპლუატაციის საკითხის მოგვარების სფეროში მიღწეული პროგრესის შესახებ წარუდგინონ ანგარიში ბავშვის უფლებათა კომიტეტს.⁶

- 2011 წელს მიღებულ იქნა „შეტყობინებების პროცედურების თაობაზე“ ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის მესამე დამატებითი ოქმი, რომელიც თითოეულ ბავშვს აძლევს შესაძლებლობას ინდივიდუალურად/კოლექტიურად მიმართოს ბავშვთა უფლებათა კომიტეტს და წარადგინოს შეტყობინება უფლებათა დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. კომიტეტს აქვს შესაძლებლობა კონფიდენციალურობის დაცვით ჩაატაროს გამოძიება და საჭიროების შემთხვევაში გააგზავნოს დამკვირვებლები რეგიონში. კომიტეტისათვის მიმართვის უფლება აქვთ სახელმწიფოებსაც სხვა სახელმწიფოს მიერ უფლებათა დარღვევის თაობაზე თუმცა, ამ მექანიზმს იშვიათად იყენებენ. ამით ოქმი კიდევ ერთხელ ქმნის ბავშვების დაცვისა და მათი მოსმენის დამატებით საშუალებას.⁷

ამრიგად, ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმები ქმნიან დამატებით გარანტიებსა და შესაძლებლობებს, რათა მაქსიმალურად იქნას დაცული ბავშვები არასათანადო მოპყრობისაგან და შეიქმნას მყარი მექანიზმები მათი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

⁶ ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი “ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ”, 2000, მუხლი: 2, 6, 8, 10, 12. ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1203722?publication=0>;

⁷ ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი „შეტყობინებების პროცედურების თაობაზე“, 2011, მუხლი 5, 11-13. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4465347?>;

1.3. ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღება საქართველოში

"კოდექსი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ბავშვის ყველა უფლების დაცვას"

- ღასან ხალილი - გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი

საქართველოს პარლამენტმა საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ 2019 წელს მიიღო. ეს ყოვლისმომცველი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელსაც საქართველოში ბავშვების ცხოვრების გარდაქმნა შეუძლია. კოდექსის მიღება ბავშვის უფლებათა კონვენციის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს მიერ მიცემული ერთ-ერთი დაპირება იყო. გაეროს ბავშვთა ფონდის ყოფილმა წარმომადგენელმა, დოქტორმა ღასან ხალილმა, საქართველოში ბავშვთა უფლებათა კოდექსის მიღება, აღიარა უდიდეს მიღწევად და საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის მნიშვნელოვან ეტაპად.

ბავშვის უფლებათა კოდექსი ეყრდნობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების პრინციპს, რომელსაც განსაზღვრავს როგორც ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესების ერთიანობას, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით.⁸

კოდექსის მიზანი არის ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობით. კოდექსი დაფუძნებულია ბავშვის უფლებების კონვენციაზე და ემყარება შემდეგ პრინციპებს:

- ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას;
- ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას, მისი ღირსების დაცვას, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზებასა და დაცვას ბავშვებისადმი უთანასწორო მოპყრობის გარეშე;

⁸ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, 2019, მუხლი 3, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=6> [ნანახია: 10.05.2024].

- ბავშვის საზოგადოებაში მონაწილეობის უზრუნველყოფას;
- ბავშვის სამშობლოს, მშობლიური ენის, მშობლიური ქვეყნის ტრადიციული კულტურული ღირებულებების პატივისცემაზე ორიენტირებას;
- ოჯახის, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედის, განსაკუთრებით – ბავშვის აღზრდისა და კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვანი გარემოცვის, დაცვასა და მხარდაჭერას;
- ბავშვის შრომასა და ჯანსაღი ცხოვრების წესზე, როგორც საზოგადოების განვითარების აუცილებელ წინაპირობაზე, ორიენტირებას;
- ბავშვის მოხალისეობაზე, როგორც სამოქალაქო აქტივობისა და სოლიდარული საზოგადოების განვითარების აუცილებელ ელემენტზე, ორიენტირებას.⁹

კოდექსი მთლიანობაში მოიცავს 100 მუხლს, რომლებიც შეეხება ბავშვის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ბავშვის ღირსების ხელშეუვალობაზე, ბავშვის ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭებაზე, სიცოცხლისა და პიროვნულ განვითარებაზე, თანასწორობის უფლებაზე, ბავშვის აზრის მოსმენაზე, ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფაზე, ხარისხიანი განათლების მიღებაზე, ბავშვის ჯანმრთელობის უზრუნველყოფაზე, ბავშვის რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებზე, ბავშვის თამაშისა, დასვენების, საკუთრების და მემკვიდრეობის უფლებებზე და სხვა. კოდექსიდან ნათლად ჩანს, რომ ბავშვის უფლებები დაბადებიდან 18 წლის ასაკამდე სრულად არის დაცული ამავე კოდექსის სხვადასხვა მუხლით. „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ წარმოადგენს დოკუმენტს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს ხელისუფლების, მუნიციპალიტეტისა თუ სხვა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, საერთო სასამართლოებმა, საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტებმა და ფიზიკურმა პირებმა ბავშვებთან და ბავშვის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების დროს. პრაქტიკაში ეს ნიშნავს იმას, რომ კოდექსი ისეთ იურიდიულ გარანტიებს იძლევა, რომლებიც უადვილებენ ბავშვებს დამოუკიდებლად დაიცვან თავიანთი უფლებები და თავისუფლებები მართლმსაჯულების პროცესში, ბავშვზე მორგებული ინსტიტუტებისა და სხვა მექანიზმების საშუალებით.

⁹ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მუხლი 1.

1.4. კითხვები თვითკონტროლისთვის

1. რა არის ბავშვის უფლებების დაცვის ისტორიული განვითარების ძირითადი ეტაპები?
2. როგორ შეიცვალა ბავშვების მდგომარეობა და უფლებები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში?
3. რა როლი ითამაშა ერთა ლიგამ და გაერომ ბავშვის უფლებების დაცვის განვითარებაში?
4. რა მნიშვნელობა ჰქონდა 1989 წლის ბავშვის უფლებების კონვენციის მიღებას?
5. როგორია ბავშვის უფლებების დაცვის ისტორიული განვითარება საქართველოში?
6. რა არის ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის ძირითადი პრინციპები?
7. როგორია კონვენციის დამატებითი ოქმების როლი ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველყოფაში?
8. რა პრინციპები უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოებმა ბავშვის უფლებების დაცვისას?
9. როგორია კონვენციის პრინციპების გავლენა ბავშვთა უფლებების დაცვის ეროვნულ კანონმდებლობაზე?
10. რა მნიშვნელობა აქვს ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპს კონვენციის ფარგლებში?
11. რა არის ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღების მიზანი საქართველოში?
12. როგორია კოდექსის ძირითადი პრინციპები და მუხლები?
13. რა ცვლილებები და გაუმჯობესებები შეიტანა კოდექსმა ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში?
14. როგორია კოდექსის გავლენა ბავშვთა უფლებების დაცვის პრაქტიკაზე საქართველოში?
15. რა გამოწვევები და პრობლემები არსებობს კოდექსის იმპლემენტაციის პროცესში?

თავი 2. კაზუსებით სწავლების მიზანი და მეთოდოლოგია

2.1. კაზუსის შესაბამისი მეთოდით დამუშავების მნიშვნელობა

იურიდიული განათლების სწავლების პროცესში, ცოდნის ამაღლებისა და მისი შეფასებისათვის წარმატებით გამოიყენება კაზუსების ამოხსნის მეთოდი. თუმცა, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში კაზუსების ამოხსნისთვის ერთგვაროვანი სავალდებულოდ დანერგილი მეთოდი დღემდე არ არსებობს. არაერთი ავტორის მიერ შემუშავებული და გამოცემულია სახელმძღვანელოები კაზუსის ამოხსნის საკუთარი მეთოდოლოგიით სამართლის სხვადასხვა დარგში. მათ მიერ გაწეული შრომა აღნიშვნის ღირსი და დასაფასებელია. ეს სახელმძღვანელოები მიზნად ისახავს დარგით დაინტერესებული სუბიექტების მიერ, კერძო თუ საჯარო სამართალურთიერთობაში კაზუსის ამოხსნის ტექნიკის დაუფლებას, მათი მხრიდან რთული იურიდიული კატეგორიების სისტემურ და სტუქტურირებულ გააზრებას, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება აკადემიური განათლების პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების შეძენას. მიუხედავად აღნიშნულისა დღემდე კონკრეტულად ბავშვის უფლებათა სფეროში კაზუსების შემუშავება და სასწავლო პროცესში სახელმძღვანელოდ მათი სისტემატიზირება არ მომხდარა, საკითხი კი მეტად აქტუალური გახდა, განსაკუთრებით საქართველოსა და ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, რომლის 21-ე მუხლით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ განავითარებენ სამართლებრივ თანამშრომლობას მათ შორის ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში.¹⁰

სახელმძღვანელოს წინამდებარე თავი ემსახურება ბავშვის უფლებათა სფეროში დანერგილი იმ პრაქტიკის გაცნობა-გაანალიზებას, რაც გააჩნიათ ერთის მხრივ ადმინისტრაციულ ორგანოებს და მეორე მხრივ სასამართლოებს დავების განხილვის შედეგად. შესაბამისად, კაზუსები მომზადებულია ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული პრობლემატიკის გათვალისწინებით, რაც აქტიურად წარმოჩინდება ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას, მათ შორის ბავშვების ძალადობის ამა თუ იმ ფორმისაგან დაცვის მიზნით მართლმსაჯულების განხორციელებისას. ნაშრომი დაეხმარება ბავშვის უფლებებით დაინტერესებულ სტუდენტებს ცოდნის გაღრმავებაში, რა პროცესშიც აუცილებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის, „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაეროს

¹⁰ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, 2014, მუხლი 21, ნაწილი. 1.

20.11.1989 წლის კონვენციის, 20.09.2019 წლის საქართველოს კანონის „ბავშვთა უფლებათა კოდექსის“, 25.05.2006 წლის საქართველოს კანონის „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. ასევე, საქართველოს მთავრობის 12.09.2016 წ. N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერიერების) პროცედურების“ გამოყენება. ეს არის სავალდებულო და აუცილებელი სამართლებრივი ბაზა, რაც ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხებზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მიმართულებით გადაწყვეტილების მიღებას ესაჭიროება. ბუნებრივია რიგი ნორმები მრავლადაა გაწერილი სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებშიც, თუმცა, ყველა მათგანის ჩამოთვლა აქ ვერ მოხერხდება. სტუდენტს უნდა ჰქონდეს უფლების დარღვევის კონკრეტულ სფეროში მოქმედი რეგულაციების (კანონისა თუ კანონქვემდებარე აქტის) მოძიების უნარები, რაშიც მას სსიპ საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ გვერდი დაეხმარება. გვერდის სწორად და კვალიფიციურად მოხმარება-გამოყენება იძლევა ნორმატიულ ბაზაზე წვდომის შესაძლებლობას.

აქვე გვინდა ავხსნათ თუ რატომ არის საჭირო კაზუსების შესაბამისი მეთოდით იურიდიული დამუშავების ცოდნა და რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ მიმართებით წინამდებარე ნაშრომს. ის სალექციო კურსი თუ პრაქტიკული მეცადინეოები ასევე, ამათუიშ დისციპლინის დასაუფლებლად საჭირო ძირითადი თუ დამხმარე სახელმძღვანელოები სამართლებრივ საკითხებზე თეორიულ ცოდნას და აბსტრაქტულ წარმოდგენას იძლევა. კონკრეტულად ადმინისტრაციული სამართლის თვალსაზრისით სახელმძღვანელოები ძირითადად ხსნიან სხვადასხვა ცნებებსა თუ ტერმინებს, მაგალითად: რომელი ორგანოები წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ამ ორგანოთა საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, მათ მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებისა და განხორციელებული ქმედებების ფორმალური და მატერიალური კანონიერების საკითხებს, ოჯახში (მათ შორის ბავშვების მიმართ) ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სამართლებრივ მექანიზმებს და ა.შ. თუმცა ეს არ არის საკმარისი პროფესიონალ იურისტად ჩამოყალიბებისთვის. სასურველი შედეგი მიიღწევა მხოლოდ სახელმძღვანელოებით მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ მაგალითებსა და ცხოვრებისეული შემთხვევებზე გადატანით. ამ პროცესში მყარდება სწორედ მიღებული თეორიული ცოდნა და გამომუშავდება მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

თეორიულ სახელმძღვანელოებში ხშირად გაანალიზებულია ცალკეულ სამართლებრივი ინსტიტუტების გამოყენების პრაქტიკული მაგალითებიც, რომლებიც მკითხველს ეხმარება საკითხის სწორად გააზრებაში, თუმცა, ეს

უმეტესწილად მაინც თეორიული საკითხის ნაწილად აღიქმება და სრულყოფილად მისი გაცნობიერება არ ხდება. აქედან გამომდინარე, დგება აუცილებლობა იმისა, რომ მოხდეს ცალკეულ შემთხვევებზე/კაზუსებზე მუშაობა. ამ ფორმით მეცადინეობა შესაძლებელს ხდის თეორიული ცოდნის პრაქტიკულ მაგალითებზე გამოცდას, რაც ცოდნის განმტკიცების საუკეთესო გზაა. ამ პროცესში სტუდენტს გამოუმუშავდება სამართლებრივი მსჯელობის და საკუთარი ნააზრევის ლოგიკურ სისტემაში მოქცევის უნარები, რითაც შეძლებს თავი გაართვას ისეთ ამოცანას, როგორიც სამართლებრივად დასაბუთებული დასკვნის გამოტანაა. რაც უფრო ადრეულ ეტაპზე მიეჩვევა სტუდენტი იურიდიულ ტექსტებთან მუშაობას და შეძლებს კაზუსის სისტემურად, სწორად დამუშავებას, მით უფრო მალე შეძლებს ის რთული კაზუსების ამოხსნას. ამდენად, საუკეთესო იქნება თუ სწავლების დროს სხვა თეორიულ სახელმძღვანელოებთან ერთად, პარალელურად, გამოყენებული იქნება კაზუსების სახელმძღვანელოც.

კაზუსების შინაარსი მოიცავს და აღწერს სამართლებრივ პრობლემას, იურიდიული დასკვნის სტილსა და პრობლემის გადაწყვეტის გზებს. ვფიქრობთ, რომ კაზუსებში აღწერილი შემთხვევები, მათში დასმული პრობლემატიკა და გადაწყვეტის მეთოდი საინტერესო და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე იქნება, როგორც სამართლის, ისე პედაგოგიკის სპეციალობის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ასევე, პრაქტიკოსი იურისტებისათვის. სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა გაეცნონ ბავშვის უფლებათა დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ რეგულაციებს შესაბამის ნორმათა კომენტარების საფუძველზე, გააანალიზონ კაზუსის ამოხსნის მაგალითები და სრულფასოვნად დაეუფლონ მათი ამოხსნის ტექნიკას - შეძლონ სამართლის ნორმის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მორგება და მასთან მისადაგება, გამოავლინონ პრობლემა, გააანალიზონ ის და ნორმის შესატყვისი, სათანადო განმარტებით მისცენ სწორი სამართლებრივი შეფასება, განავითარონ არგუმენტირებული მსჯელობა და გამოიტანონ დასაბუთებული შემაჯამებელი დასკვნა. აღნიშნული შესძენს სტუდენტებს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების ჩვევებს, ასევე გააცნობს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით სასამართლო პრაქტიკას.

2.2. კაზუსის შესაბამისი მეთოდით დამუშავების უპირატესობა

კაზუსების ამოხსნას საკუთარი წესები აქვს. წინამდებარე ნაშრომშიც კაზუსები მაგალითის სახით შესაბამისი მეთოდის გამოყენებით არის დამუშავებული და

ამოხსნილი. მეთოდურად კაზუსის დამუშავება იძლევა გადასაწყვეტ საკითხზე სტრუქტურირებულად მუშაობის შესაძლებლობას, რისი უპირატესობაც ის არის რომ ამ გზას, კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე იურიდიულად გამართლებულ შედეგამდე მივყავართ. ამ ხერხის მეშვეობით დავალების შემსრულებელი კონცენტრირდება უშუალოდ კაზუსში დასმულ პრობლემაზე, გამოარჩევს მის გადასაჭრელად მნიშვნელოვან არგუმენტებს და საკუთარ დასაბუთებულ აზრის აყალიბებს, რაც მნიშვნელოვანია როგორც მისი პროფესიონალური ზრდის, ისე სამართლის სტაბილურობისთვის.

კაზუსის დამუშავების მეთოდი ვერ აღმოფხვრის ცოდნის დეფიციტს. თუმცა, ის ეხმარება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას და ამ მიმართებით პროფესიულ ზრდას უწყობს ხელს.

ადმინისტრაციული სამართლის მეთოდიკა გულისხმობს, სამართლის ნორმის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესს. სამართლის ნორმების გამოყენება ემსახურება სამართლის სისტემის ძირითადი ღირებულებების ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვასა და თითოეულ ცალკეულ შემთხვევაზე მის მისადაგებას. კაზუსის მეთოდური ამოხსნისათვის აუცილებელია ორი რამ: მეთოდის გამოყენების (ცალკეული საფეხურები, პუნქტები) და მატერიალურ-სამართლებრივი პრობლემების სრულყოფილი ცოდნა. **მეთოდი მხოლოდ პასუხს გვაძლევს კითხვაზე „როგორ უნდა ამოიხსნას პრობლემა/კაზუსი“ ხოლო, მატერიალური სამართალი პასუხობს კითხვაზე „რა საფუძვლის გამოყენებით და რა შედეგით უნდა გადაიჭრას პრობლემა, ამოიხსნას კაზუსი“.**¹¹

კაზუსის იურიდიული დამუშავების ცენტრი კონკრეტული შეკითხვა - **საკვანძო კითხვაა, ხოლო მისი სამართლებრივად დამუშავებისა და ამოხსნის საგანი - ამ კითხვის პასუხია.** მაგალითად, აქვს თუ არა სუბიექტს უფლება მოითხოვოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელება?

საკვანძო კითხვაზე პასუხის გაცემა მოითხოვს საკითხისადმი სისტემურ და სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით მიდგომას. ამ პროცესში აუცილებელია კანონის, სასამართლო პრაქტიკისა და სამართლის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენება. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო პრაქტიკა და სამეცნიერო ლიტერატურა მხოლოდ ნორმის განმარტების ხელშესაწყობად გამოიყენება.

კაზუსი, რომელზეც მუშაობა სტუდენტს ევალება, მოიცავს:

¹¹ შულცე შ., შმიც-იუსტენი ნ., ტურავა პ.; თანავტორები.: ზოდელავა თ., კაპანაძე ა., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი: სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის, სიესტა, თბილისი, 2012, გვ.14; ტურავა პ., კოპალეიშვილი მ., ყალიჩავა კ., ხარშილაძე ი., კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა ადმინისტრაციულ სამართალში თანდართული კაზუსის ნიმუშით, იურისტების სამყარო, თბილისი, 2020, გვ. 14-15.

1. **ფაბულას** - ფაქტობრივი მოცემულობის აღწერას, რაც იგივე ფაქტობრივ გარემოებათა გადმოცემას წარმოადგენს (აღწერილია კონკრეტული შემთხვევა, რასაც უკავშირდება ან საიდანაც წარმოიშვა სადავო სამართლებრივი ურთიერთობა. კერძოდ, რა მოვლენები განვითარდა, როდის, სად, რა პირობებში, სუბიექტები, ცალკეული ეპიზოდების აღწერა, თუ კაზუსი რამდენიმე ეპიზოდიანია და ა.შ);
2. **მთავარ კითხვას** - რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს ფაბულიდან, მოჰყვება მას და განსაზღვრავს შემთხვევის მიზანს;
3. **მითითებას დავალების შემსრულებლისათვის** - ეს გარკვეულწილად კითხვის შემადგენელ ნაწილადაც შეიძლება განიხილება, რამდენადაც აკონკრეტებს კაზუსის შემოწმების ფარგლებს - მაგ: შემოწმდეს უწყებრივი ქვემდებარეობა, სუბიექტთა წრე, საკითხის განსახილველად დაშვების, მოთხოვნის მატერიალური საფუძვლიანობა და ა.შ.

2.3. კაზუსის განხილვა-გადაწყვეტის პროცესის მიმოხილვა

კაზუსის დამუშავების პროცესში გამოიყოფა სამი ეტაპი:

16. **ფაბულის შესწავლა-ანალიზი,**
17. **კაზუსის იურიდიული გადაწყვეტა,**
18. **წერილობითი დასკვნის შედგენა.**

კაზუსის ამოხსნისას პირველი რიგის ამოცანა და შესაბამისად პირველი ეტაპი ემსახურება სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირებას, ის სამართლებრივი შეფასების წინარე, მოსამზადებელი სტადიაა, რასაც მოსდევს კაზუსის გადაწყვეტის ეტაპი. სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირება დამოკიდებულია იმაზე რამდენად სიღრმისეულად გაეცნო დავალების შემსრულებელი კაზუსის ფაბულას და ჩასწვდა მის არსს. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კაზუსის მრავალჯერ ყურადღებით წაკითხვით და მოცემულობის გაანალიზებით მთავარ კითხვასთან მიმართებით. ფაბულის სწორ გაგებაში იგულისხმება სამართლებრივი შინაარსის მატარებელი ინფორმაციის გამოვლენა, ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის, არსებითი და იურიდიულ შედეგზე მნიშვნელობის/გავლენის არმქონე საკითხების დაჯგუფება, საჭიროების შემთხვევაში მოკლე მნიშვნელობის სახით გეგმის დალაგება, რაც გამოყენებული იქნება შემაჯამებელი მსჯელობისას.

რჩევა მკითხველს: კაზუსის ამოხსნის წინ, ყოველთვის მნიშვნელოვანია ფაბულის თავიდან ბოლომდე დაკვირვებით და შეძლებისდაგვარად რამდენჯერმე წაკითხვა. ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკითხს, რომ კაზუსში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები მყარად/ფიქსირებულად არის მოცემული და დაუშვებელია მათი ინტერპრეტირება. დაუშვებელია ასევე რაიმე სხვა ფაქტობრივი გარემოების დამატება, რომელიც ტექსტიდან არ იკვეთება. კაზუსის დამუშავებამდე სასურველია გაკეთდეს ჩანაწერები იმ მნიშვნელოვან გარემოებებზე, რაც ფაბულაშია წარმოდგენილი. მაგ: მოდავე მხარეები, მათ შესახებ ინფორმაცია, მათ შორის წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობა და მასთან დაკავშირებული კონკრეტული ფაქტები და ა.შ. მაშინ, როდესაც კაზუსში ბევრი თარიღია და გადასაწყვეტი საკითხიც საპროცესო ვადებს უკავშირდება, – მოკლედ უნდა აღიწეროს მოვლენათა ქრონოლოგიური ცხრილი, რაც გამოსადეგია ვადების გამოთვლის დროს. თუ კაზუსის ამოხსნისათვის საჭირო ყველა ინფორმაცია ასეთ მოკლე მონახაზში სრულყოფილად მოექცევა, აღარ გახდება საჭირო კაზუსში რამდენჯერმე ჩახედვა, რაც დაზოგავს კაზუსზე მომუშავის ენერგიასა და დროს, განსაკუთრებით მაშინ, როცა კაზუსის ტექსტი (ფაბულა) მოცულობითია. მხედველობაშია მისაღები, რომ ეს ის ეტაპია, როცა ჯერ არ დაწყებულა კაზუსის ამოხსნა, არამედ მხოლოდ მოცემულობისა და მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებათა დახარისხება წარმოებს, ამიტომ სწორი ამოხსნის დასაბუთებაზე დრო არ უნდა დაიხარჯოს. ეს ტექნიკა პრაქტიკოსი იურისტის პროფესიულ საქმიანობაშიც ასევე გამოსადეგი და მნიშვნელოვანია.

კაზუსის დამუშავებისთვის მნიშვნელოვანია მასში დასმული საკვანძო კითხვის გარკვევა, ის კაზუსის ამოხსნისა და შემაჯამებელი დასკვნის მომზადების ამოსავალი ცენტრალური საკითხია, რომელიც იმავდროულად იძლევა მოთხოვნის საფუძვლის შემოწმების მიმართულებას. კაზუსის კითხვა მასზე პასუხის ფარგლებს განსაზღვრავს, რაც იმას ნიშნავს, რომ პასუხი უნდა გაეცეს კონკრეტულ კითხვას, რაც უშუალოდ კაზუსიდან გამომდინარეობს. ხშირად, როცა სტუდენტს არ აქვს პასუხი კაზუსში დასმულ პრობლემაზე და სურს გამსწორებელს აჩვენოს, რომ მან სხვა საკითხებიც იცის ამიტომაც, კონკრეტული კაზუსისათვის უმნიშვნელო სამართლებრივ მსჯელობებს, ცნებებს და ა.შ. ასახავს ამოხსნაში. ასეთი დამოკიდებულება არასწორია იმიტომ, რომ იურისტებს არა მარტო სწავლის პერიოდში დავალებისა თუ გამოცდის წერისას, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც (საქმიან მოლაპარაკებებსა თუ სასამართლო პროცესებზე) მოეთხოვებათ პრობლემაზე ორიენტირება და კონკრეტულ შემთხვევაზე მსჯელობა, რაც არსებითია იურისტის წარმატებული საქმიანობისთვის. პრინციპი -

სამართლებრივი შეფასება არ გასცდეს მოთხოვნის ფარგლებს - ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია პრაქტიკაში და სწორედ ამ უნარ-ჩვევის გამომუშავებაც უნდა მოხდეს კაზუსზე მუშაობის შესწავლის პროცესში. მაგალითად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 193-ე მუხლი მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო იხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს მასში აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში, მას **მხოლოდ** კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლია გასცდეს მათ (ასეთი შემთხვევა დასახელებულია ამავე ნორმის (193-ე მუხლის) მე-2 ნაწილში). მოთხოვნის ფარგლებს ასევე მნიშვნელობა აქვს სამართალწარმოების პროცესში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი ადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლებს - სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვნია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

კაზუსის კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად:

- შეუძლია თუ არა ერთ პირს - მოსარჩელეს/განმცხადებელს/შუამდგომლობის ავტორს, მეორისგან რაიმეს მოთხოვნა?
- უფლების დაცვის რა საშუალებები შეიძლება იქნეს გამოყენებული?
- რა მოთხოვნების წამოყენება შეუძლიათ მხარეებს ერთმანეთის მიმართ?

პირველ შემთხვევაში პასუხი უნდა გაიცეს კონკრეტულ მოთხოვნაზე მსჯელობით, მეორე შემთხვევაში კი დავალებას წარმოადგენს ყველა მოსალოდნელი მოთხოვნის საფუძვლის შემოწმება, რომლებიც შესაძლოა მხარეებს გააჩნდეთ.

კითხვა, - თუ რამდენად არის სუბიექტის უფლება დარღვეული და საჭიროებს მის დაცვას - განიხილება კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლის მიხედვით.

მაშასადამე, აუცილებელია არსებობდეს სამართლებრივი ნორმა, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას და მის მოწესრიგებას. ასეთი ნორმა უნდა იყოს კაზუსის მთავარ კითხვაში დასმულ კონსტრუქციასთან კავშირში.

სრული კითხვა, რომელიც კაზუსის დამუშავების დასაწყისში დაისმის, შემდეგნაირად აღიქმება - ვის (კონკრეტულ სუბიექტს, რომელიც აღძრავს მოთხოვნას) სურს რაიმე უფლების დაცვა (მოთხოვნის არსი - მაგალითად, დამცავი ორდერის გამოცემა ან ბავშვის მშობლის/მშობლებისაგან განცალკევება) და რა საფუძველით (მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი - კონკრეტული სამართლებრივი ნორმა).

როგორც წესი, კაზუსის შინაარსიდან ნათელია მოთხოვნის წარმდგენი (ეს შეიძლება იყოს მოსარჩელე/განმცხადებელი/შუამდგომლობის ავტორი) და მისი ადრესატი, ასევე, მოცემულია მოთხოვნის შინაარსიც – ფაქტობრივი გარემოებები, რასაც ეფუძნება მოთხოვნა. კაზუსში არ არის მითითებული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი (ნორმა), რომლის საფუძველზეც გამართლებულია მოთხოვნა. ეს დავალების შემსრულებლის ვალდებულებაა. მისი უპირველესი მოვალეობაა კანონში სწორი მოთხოვნის საფუძვლის მონახვა, რაც კაზუსის ამოხსნის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. კაზუსის ამოხსნისას ასევე მნიშვნელოვანია საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან კავშირში მყოფი მატერიალური და პროცესუალური ნორმების ცოდნა.

ზოგადი საკითხების კონკრეტიზირებას ემსახურება კაზუსის ამოხსნის სქემაში მოცემული ელემენტები – **სარჩელის/განცხადების/შუამდგომლობის დასაშვებობა და დასაბუთებულობა**. ამიტომაც კაზუსის ამოხსნა იწყება წინადადებით - „სარჩელი შესაძლოა იყოს პერსპექტიული რამდენადაც ის არის დასაშვები და დასაბუთებული.“ ასეთი დაყოფით ხდება დასაშვებობის და დასაბუთებულობის გამიჯვნა, ხოლო შემდგომ კონკრეტიზება, რომელიც ასახვას ჰპოვებს სადავო საკითხის დასაშვებობის და მისი მატერიალური თვალსაზრისით დასაბუთებულობის შემოწმებაში.

კაზუსის დამუშავების მეორე ეტაპი მისი სამართლებრივად გადაწყვეტაა, რაც სათანადო სამართლებრივი ნორმის მოძიებას უკავშირდება. ამ პროცესში ხდება ნორმის კონკრეტულ შემთხვევაზე მისადაგება. აღნიშნულის შედეგი გულისხმობს, რომ სუბიექტი (მოთხოვნის აღმძვრელი დაინტერესებული პირი), ნორმის დისპოზიციის ფაქტობრივი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, უფლებამოსილია მოითხოვოს ადმინისტრაციული ორგანოსაგან აქტის გამოცემა, მის მიერ უკვე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად/ძალადაკარგულად/არარად აღიარება ან კიდევ ქმედების განხორციელება (მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება). როცა ასეთი სუბიექტი უფლების რეალიზების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართავს, ის განიხილება როგორც ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე სუბიექტი (განმცხადებელი/საჩივრის ავტორი), ხოლო თუ ასეთი სუბიექტი უფლების მოსაპოვებლად, კანონიერი უფლებისა და ინტერესის დასაცავად სასამართლოს მიმართავს/დავას იწყებს, ის ხდება ადმინისტრაციული სამართალწარმოების სუბიექტი - მოსარჩელე/განმცხადებელი/შუამდგომლობის ავტორი.

დამატებით უნდა ითქვას ისიც, რომ მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტი ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად დაინტერესებული პირი - დაინტერესებული მხარეა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის

მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ასეთად განიხილება ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

აქვე, საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ, თუ ვინ არიან ადმინისტრაციული წარმოების სხვა სუბიექტები. ადმინისტრაციული წარმოების სუბიექტები არიან ამ პროცესის მონაწილენი და მათ შორის ზემოთ მოხსენიებული დაინტერესებული მხარე. ადმინისტრაციული წარმოების ერთ-ერთ მხარეს აუცილებლად ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, რამდენადაც სწორედ ის არის უფლებამოსილი კანონით დადგენილი წესით ჩაატაროს ასეთი წარმოება. მაგალითად: მოძალადისაგან მსხვერპლის, მათ შორის მსხვერპლი ბავშვის, დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად პოლიცია უფლებამოსილია გამოსცეს შემაკავებელი ორდერი.¹² შესაბამისად, სწორედ პოლიცია არის უფლებამოსილი განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი შემაკავებელი ორდერის გამოცემის გზით მსხვერპლის მოძალადისაგან დაცვის ღონისძიების გამოყენების საჭიროებაზე. ასევე, რეფერირების პროცედურების ფარგლებში, პოლიცია, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გამოსცემს შემაკავებელ ორდერს და იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის განცალკევების შესახებ; მეთვალყურეობს დამცავი, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და პირობების შესრულებას.¹³ სხვა ადმინისტრაციული ორგანოები ასევე შეიძლება ჩაერთონ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში - მაგალითად: ძალადობის მსხვერპლი ბავშვის რეაბილიტაციის პროცესში ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესრულებაზე მონიტორინგს და ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, ხოლო ამ პროცესში, საჭიროების შესაბამისად ერთვებიან შემდეგი სუბიექტები როგორცაა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი დანაყოფები (პოლიცია); საქართველოს პროკურატურა; სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი; სსიპ საგანმანათლებლო

¹² იხ. საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, 2016, მუხლი 10.

¹³ იხ. საქართველოს მთავრობის №437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“, 2016, მუხლი 5, პ. 2, ქვ/პ. ე, ზ;

დაწესებულების მანდატურის სამსახური; მუნიციპალიტეტების გამგეობა/მერია და სხვა.¹⁴

ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე სუბიექტებზე ზოგად მითითებას შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 75-ე მუხლი. სუბიექტთა წრის განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნულზე დამოკიდებულია, თუ ვის მონაწილეობას შეუძლია ზეგავლენის მოხდენა ადმინისტრაციული წარმოების შედეგზე. ეს მნიშვნელოვანია არამარტო იმისთვის, რომ „მხარემ შეძლოს შუამდგომლობის დაყენება, არამედ იმიტომაც, რომ ეს წარმოადგენს წარმოება-სამართლებრივი უფლებების წარმოშობის საფუძველს, განსაკუთრებით ისეთი უფლებების, როგორიცაა მოსმენის უფლება, წარმოების მასალების გაცნობის უფლება, ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გაცნობის უფლება და ა.შ.¹⁵

ამრიგად ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება აქვს:

- განმცხადებელს;
- ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღოს;
- პირს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით ენიჭება ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება;
- სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- დაინტერესებულ მხარეს;

ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე განმცხადებელი წარმოადგენს სუბიექტს, რომელსაც უფლების დაცვის ან მოპოვების მიზნით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით შეაქვს ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადება, ხოლო მესამე პირს წარმოადგენს ის სუბიექტი, ვისი ინტერესების საწინააღმდეგოდ ითხოვს განმცხადებელი ადმინისტრაციული ორგანოსაგან შემზღუდავი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი უნდა იყოს სპეციალიზებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სპეციალიზაციის სტანდარტების

¹⁴ საქართველოს მთავრობის №437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“, 2016, მუხლი. 5, 13;

¹⁵ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2018, გვ. 223.

შესაბამისად.¹⁶ აღნიშნული მნიშვნელოვან დათქმას შეიცავს შშმ პირთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით იმ მიმართებით, რომ ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას უზრუნველყოს ადმინისტრაციული წარმოების სრული ხელმისაწვდომობა შშმ პირებისათვის. სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზება სხვა ბავშვებთან თანასწორად. სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ოჯახში სხვებთან თანასწორად ცხოვრების უფლებას. ამ უფლების შეუფერხებელი რეალიზებისათვის, აგრეთვე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დამალვის, მიტოვების, უგულებელყოფის, სეგრეგაციის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფო ახორციელებს ყველა აუცილებელ ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებას, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვსა და მის ოჯახს წინასწარ უზრუნველყოფს ამომწურავი ინფორმაციით, შესაბამისი მომსახურებითა და დახმარებით.¹⁷ კანონით ასევე, უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სამართალწარმოების ხელმისაწვდომობა, რაც გულისხმობს როგორც შესაბამისი პროცედურული მექანიზმების შექმნას, ისე ნებისმიერ გონივრულ მისადაგებას იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა სრულფასოვანი მონაწილეობა შეძლოს ყველა ტიპის ადმინისტრაციულ წარმოებაში, სანოტარო მოქმედებაში, აგრეთვე გამოძიების, სასამართლო განხილვის, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ან/და აღსრულების პროცესში. სახელმწიფო მხარს უჭერს სამართალდამცავი ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ტერიტორიული სამსახურებისა და დანაყოფების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რაც გულისხმობს როგორც ინფრასტრუქტურის, ისე მომსახურების ხელმისაწვდომობას.¹⁸

როდესაც კაზუსის საკვანძო კითხვა ეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას, შედეგის განმსაზღვრელ ნორმას წარმოადგენს ის ნორმა, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას ადგენს. ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაში მოქმედი კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც,

¹⁶ იხ. საქართველოს კანონი “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”, 2023, მუხლი 75, ნაწილი 2, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=43> [ნანახია: 23.06.2024].

¹⁷ იხ. საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, 2023, მუხლი 7, პ. 5, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=2> [ნანახია: 23.06.2024].

¹⁸ საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, 2023, მუხლი 18;

ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების ფარგლებს განსაზღვრავს ის ნორმატიული აქტი, რომლის აღსრულებასაც ეს ქმედება ისახავს მიზნად.¹⁹

სამართლის ნორმა შედგება დისპოზიციის - ფაქტობრივი შემადგენლობისა და იურიდიული შედეგისაგან, რაც დადგება დისპოზიციით განსაზღვრული ყველა ელემენტის მოცემულობის პირობებში. ნორმის დისპოზიცია ადგენს ყველა იმ წინაპირობას, რომელთა არსებობაზეც არის დამოკიდებული მისი გამოყენება. დისპოზიცია შეიძლება შედგებოდეს კუმულატიური ან ალტერნატიული ფაქტობრივი ელემენტებისაგან.

თუ ნორმაში აღწერილი ფაქტობრივი შემადგენლობები ერთმანეთთან დაკავშირებულია „და“ კავშირით, მაშინ ნორმის გამოსაყენებლად საჭიროა სახეზე იყოს ყოველი - კუმულატიური წინაპირობები. ხოლო, თუ ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობები ერთმანეთთან დაკავშირებულია „ან“ კავშირით, ასეთ შემთხვევაში ნორმის გამოსაყენებლად საკმარისია ერთ-ერთი წინაპირობის არსებობა - ალტერნატიული წინაპირობები.

ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განმსაზღვრელ ნორმას წარმოადგენს მაგალითად - საქართველოს კანონის „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მე-10 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს შემაკავებელი ორდერი. მსხვერპლად მიიჩნევა ბავშვი, რომელიც ოჯახური ან ქალის მიმართ ძალადობის მოწმეა; შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.²⁰

¹⁹ საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, მუხლი 75.

²⁰ საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, 2023, მუხლი 17, პ. 1-2, ქვ/პ. „თ“, „ა“, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2047533?publication=35> [ნანახია; 18.08.2024].

შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის დათქმაც, რომლითაც განსაზღვრულია სოციალური მუშაკის უფლებამოსილება - **დაუყოვნებლივ მიიღოს ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილება** და 24 საათის განმავლობაში წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა სასამართლოს თანხმობის მისაღებად იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია ბავშვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას მეყსეული და უშუალო საფრთხე შეექმნას. ასეთ შემთხვევაში სოციალური მუშაკის შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს ბავშვის მშობლისგან განცალკევების გადაუდებელი აუცილებლობის დასაბუთებას. აღნიშნული საფრთხის შეფასებაში უნდა მონაწილეობდეს პოლიციის თანამშრომელი. მისი დადებითი ან უარყოფითი დასკვნა შეიტანება შესაბამის ოქმში. აღმასრულებელ ორგანოს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული უფლებამოსილების საფუძველზე აქვს შესაძლებლობა გამოსცეს აქტი ან განახორციელოს ქმედება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის ადგენს, რომ უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.

კაზუსის ამოსახსნელად და შემაჯამებელი დასკვნის მოსამზადებლად სტუდენტს დაახლოებით მაინც უნდა ჰქონდეს წარმოდგენა, თუ რომელი ნორმები შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მოცემული კაზუსისათვის და სად, რომელ კანონში შეიძლება მათი მოძიება. რამდენადაც ადმინისტრაციული კანონმდებლობა მოიცავს არაერთ კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომლებშიც მიმოზნეულია ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ორგანოთა უფლებამოსილების განმსაზღვრელი ნორმები, სტუდენტი წინასწარ უნდა იყოს გაცნობილი საკანონმდებლო ბაზას, სხვა შემთხვევაში უშუალოდ კაზუსზე მუშაობის პროცესში შესაძლოა ვერ გაართვას თავი დავალების შესრულებას და შეზღუდულ დროში ვერ მოიძიოს სწორი ნორმა.

მოთხოვნის საფუძვლის განმსაზღვრელი ნორმის მოძიებასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს მოთხოვნის გამომრიცხველ ნორმებს. ხშირად, ნორმა შედგება ორი ნაწილისაგან და შეიცავს როგორც მოთხოვნის განმსაზღვრელ, ისე გამომრიცხავ გარემოებებს. აღნიშნულის გათვალისწინებით სამართლის ნორმა უნდა წავიკითხოთ ბოლომდე და მოთხოვნის საფუძვლის განმსაზღვრელი ნორმის

პოვნის შემთხვევაში ნუ შევწყვეტთ მისი შინაარსის გაცნობას და ნუ მივალთ ნაჩქარევ დასკვნამდე, რომ მიზანი მიღწეულია.²¹ ნორმების კონკრეტულ შემთხვევაზე მისადაგებისას გაეცემა პასუხი ყოველ წამოყენებულ ჰიპოთეზას. ვარაუდი საქმის სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებით უნდა შემოწმდეს შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით.

2.4. კაზუსის ამოხსნის გადაწყვეტილების სტილი

კაზუსის ამოხსნა ხორციელდება სამართლებრივი დასკვნის სპეციალური სტილით, რაც გერმანულ სამართალმეცნიერებაში შემუშავებულ-დამკვიდრებული სტილია და ემიჯნება გადაწყვეტილების სტილს. ეს უკანასკნელი გამოიყენება უკვე პრაქტიკული პროფესიული საქმიანობისას მაგალითად: სასამართლო გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისას, დასკვნის სტილი არის საკითხის, პრობლემის მეცნიერული დამუშავებისა და ანალიზის სტილი და გამოიყენება უმაღლესი იურიდიული განათლების ფარგლებში.

როგორც აღინიშნა, კაზუსის ამოხსნის გადაწყვეტილების სტილს მიმართავენ პრაქტიკოსი იურისტები. ასევე, იგი დამახასიათებელია ადმინისტრაციული ორგანოებისა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისათვის, რომელშიც წარმოდგენილია სამართლებრივი შეფასების შედეგი და ამის შემდეგ მისი ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება. **კაზუსის ამოხსნის გადაწყვეტილების სტილი გულისხმობს, რომ კანონმდებლობით ზუსტად არის გაწერილი ის კომპონენტები, რასაც უნდა მოიცავდეს გადაწყვეტილების ტექსტობრივი ნაწილი:**

სსსკ-ის 249-ე მუხლი, რაც ასევე, გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (სასკ) პირველი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე განსაზღვრავს სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შინაარსს და ადგენს, რომ გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, მხარეები, წარმომადგენლები, დავის საგანი. აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის

²¹ ტურავა პ., კოპალეიშვილი მ., ყალიჩავა კ., ხარშილაძე ი., კაზუსის ამოხსნის მეთოდика ადმინისტრაციულ სამართალში თანდართული კაზუსის ნიმუშით, იურისტების სამყარო, თბილისი, 2020, გვ. 28.

მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში შეიძლება მიეთითოს აგრეთვე მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

საპროცესო კანონი არსებით მნიშვნელობას ანიჭებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებას, რამდენადაც გადაწყვეტილება აღსრულდება სწორედ მისი სარეზოლუციო ნაწილის შესაბამისად. ერთერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით განიმარტა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით საბუთდება საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე დავის გადაწყვეტის კონკრეტული შედეგის მართლობიერება, ხოლო კონკრეტული, აღსრულების ქვემდებარე, სამართლებრივი შედეგი აისახება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, რომლის დებულებები გაგებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და სამოტივაციო ნაწილში მითითებული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით. ამავე, განჩინებაში საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გაურკვევლობა ქმნის მისი რეალიზაციის სირთულეს, წარმოშობს აღსრულების გაურკვევლობას.²²

საპროცესო კანონმდებლობა ცალკე გამოყოფს არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას და მიუთითებს, რომ მისი მიღებისა და დასაბუთებისას სასამართლო უპირატესობას ანიჭებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 20 თებერვლის განჩინება საქმეზე № ბს-1339 (კს-22).

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების მიზნით სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იქნეს ბავშვის უფლებების შემდეგი საბაზისო კრიტერიუმების მიხედვით: ა) ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვა და უსაფრთხოება; ბ) ბავშვისთვის განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა; გ) ბავშვის მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის, მისი შეურაცხყოფისა და საფრთხის თავიდან აცილება; დ) ბავშვის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, მისი პიროვნების, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების პატივისცემა; ე) ბავშვის მოსაზრებები; ვ) ბავშვსა და მის მშობელს ან ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელ სხვა პირს შორის ურთიერთობა; ზ) ორივე მშობელთან ბავშვის ურთიერთობის შენარჩუნების ან აღდგენის შესაძლებლობა; თ) ბავშვის მოსაზრების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მისი აღსრულების ეტაპზე ბავშვისთვის შესაძლო ზიანის მიყენების თავიდან აცილების კონკრეტული ღონისძიებები; ი) სხვა საკითხები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას ახდენს ბავშვის უფლებებზე და საქმის სამართლიანი პროცესის პრინციპების დაცვით გადაწყვეტაზე. აღნიშნულზე იმპერატიულად მიუთითებს „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 81-ე მუხლის მე-3 ნაწილი. აღნიშნული დებულება ვრცელდება როგორც სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებაზე, ისე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბავშვებთან და ბავშვის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისა და ამ პროცესში გადაწყვეტილების მიღების დროს.²³

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების - ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შინაარსის კომპონენტებს კი ადგენს სზაკ-ი. კოდექსით განსაზღვრულია, რომ წერილობითი ფორმით გამოცემულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჭიროებს წერილობით დასაბუთებას, რომელსაც უშუალოდ მოსდევს აქტის სარეზოლუციო ნაწილი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შეიძლება მიეთითოს აგრეთვე „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებისას იქნა გამოყენებული. ამასთანავე, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული

²³ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, 2024, მუხლი 251¹, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=167> [ნანახია: 20.07.2024].

ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა გადაწყვეტილების მიღებისას. კანონი ადგენს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება უნდა დააფუძნოს მხოლოდ იმ ფაქტებზე, გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც მის მიერ იქნა გამოკვლეული, შესწავლილი და გაანალიზებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას და ამ შემთხვევების არსებობის დროს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება არ შეიცავს ზემოაღნიშნული კომპონენტების შესაბამის დებულებებს.²⁴

2.5. კაზუსის ამოხსნის იურიდიული დასკვნის სტილი

გადაწყვეტილების სტილისაგან განსხვავდება იურიდიული დასკვნის სტილი, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია როგორც კლასიკური იურიდიული სამხმოვანება. ამ უკანაკნელს ახასიათებს თავდაპირველად ფაბულის სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებული ჰიპოთეზის, ვარაუდის ჩამოყალიბება და შემდგომში მისი დასაბუთება: თეზა - ნორმის დისპოზიციის იმ ელემენტების დეფინიცია, რომელიც საწყის თეზასთან კავშირშია და - ფაქტობრივი გარემოებების სუბსუმცია - შეფარდება, მისადაგება, ნორმის დისპოზიციის ელემენტების ქვეშ. ბოლოს კი დგას დასკვნა, რომლის მიხედვითაც დასტურდება ან არ დასტურდება დასაწყისში წარმოდგენილი ვარაუდი.²⁵

დასკვნის სტილი ნიშნავს სავარაუდო, ჰიპოთეზური, შედეგის დასახვას და შემდეგ ამ სავარაუდო შედეგის ეტაპობრივ განხილვა-შემოწმებას, რომლის ბოლოსაც დგას შედეგი - დასკვნა, რომლითაც დასტურდება ან არ დასტურდება დასაწყისში ჩამოყალიბებული სავარაუდო შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში კაზუსის ამოხსნის ჩამოყალიბების ძირითადი ფორმაა დასკვნის სტილი, ზოგიერთ შემთხვევაში სასურველია სტუდენტმა გამოიყენონ გადაწყვეტილების სტილიც.

იურიდიული დასკვნის სტილისა და გადაწყვეტილების სტილის ერთმანეთთან შეპირისპირება-შედარების სახელმძღვანელო ვარიანტი შემოთავაზებულია რამდენიმე იურიდიული სახელმძღვანელოსა თუ ნაშრომში, მათ შორისაა ქვემოთ მოცემული ასახვაც:

²⁴ საქართველოს კანონი “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”, მუხლი 53.

²⁵ ტურავა პ., კოპალეიშვილი მ., ყალიჩავა კ., ხარშილაძე ი., კაზუსის ამოხსნის მეთოდთა ადმინისტრაციულ სამართალში თანდართული კაზუსის ნიმუშით, გვ. 11,12.

იურიდიული დასკვნის სტილი	გადაწყვეტილების სტილი
1. ჰიპოთეტური შედეგების შედგენა	1. გადაწყვეტილების წარმოდგენა
2. სავარაუდო სამართლებრივი საფუძვლისა და ფაქტობრივი ელემენტების დასახელება	2. გადაწყვეტისთვის არსებითი სამართლის ნორმისა და არსებითი საფუძვლის დასახელება
3. სუბსუმცია	3. წინაპირობების დასახელება
4. საბოლოო შედეგების დადგენა	4. დასაბუთება, თუ რატომ არის სახეზე ნორმის ფაქტობრივი ელემენტები (სუბსუმციის გადმოცემა) ²⁶

კაზუსის ამოხსნის იურიდიული დასკვნის სტილისათვის მნიშვნელოვანია ამოხსნის პროცესში კარგად იყოს წარმოდგენილი სუბსუმცია და აზრთა სხვადასხვაობა, რომელსაც მიჰყავს ავტორი დასკვნამდე.

თეორიული ცოდნის პრაქტიკულ შემთხვევაზე მორგება და ამით სამართლებრივი პრობლემის მოწესრიგება იურისტისთვის უმნიშვნელოვანესია. სამართლის მეცნიერებაში გავრცელებული იურიდიული კაზუსის დამუშავების მეთოდიკა - სუბსუმცია, სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურება. სუბსუმცია ნიშნავს ფაქტობრივი გარემოებისა და მოვლენების მისადაგებას აბსტრაქტულად ფორმულირებულ ანუ აბსტრაქტულ ნორმაზე, რომელიც გამოიყენება კონკრეტულ შემთხვევაზე. კანონის თითოეული წინაპირობა დასკვნაში უნდა გარდაიქმნას ჰიპოთეზად, რომელსაც იურისტმა უნდა მიუსადაგოს საქმის თითოეული ფაქტობრივი გარემოება - ანუ განახორციელოს სუბსუმცია, რათა სამართლის ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი დადგეს. სუბსუმციის მეთოდის ფარგლებში გამოიყენება ლოგიკის ისეთი ელემენტი, როგორც არის სილოგიზმი. იურიდიული შემთხვევის დამუშავების დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის სტრუქტურას. სუბსუმციის მეთოდის გამოყენება, ეს არ ნიშნავს მისი

²⁶ ტურავა პ., კოპალეიშვილი მ., ყალიჩავა კ., ხარშილაძე ი., კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა ადმინისტრაციულ სამართალში თანდართული კაზუსის ნიმუშით, გვ. 15.

ინტერპრეტაციით გამოყენების საშუალებას. მისთვის დამახასიათებელია კაზუსის დამუშავებისა და ამოხსნის ლოგიკური სტრუქტურა და ეტაპები. პირმა, რომლის წინაშეც დგას სამართლებრივი პრობლემა, უნდა შესძლოს მისი მეთოდური გადაჭრა სამართლებრივი სამხმოვანების გზით. ეს არის ლოგიკური ჯაჭვი და მიმდინარეობა, რომელიც ცხადყოფს, თუ რამდენად დაცულია კაზუსის დამუშავების მეთოდოლოგია და რამდენად სწორად მიჰყავს პირს მსჯელობა, დასმული ამოცანის გადასაჭრელად. თანმიმდევრობა ანუ ამოხსნის სქემა უნდა ეფუძნებოდეს კანონებს, ლოგიკასა და შესაბამისი სამართლის დარგის დოგმატურ სტრუქტურას. სუბსუმციაში დამკვიდრებული სილოგიზმის მოდელი ქმნის შემდეგ ძირითად სტრუქტურას. როგორც წესი გავრცელებულია იურიდიული სილოგიზმის სამ საფეხუროვანი სისტემა:

- მთავარი წინადადების ჩამოყალიბება. საკვანძო კითხვის - I თეზისის განსაზღვრა.
- ქვემდგომი წინადადება. კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მისადაგება - II თეზისი.
- დასკვნა - III თეზისი.

ყოველ წამოყენებულ თეზისს, სდევს დასკვნა, რომელიც კაზუსის დამუშავების სტრუქტურაში, როგორც შუალედური დასკვნები წარმოჩინდება.²⁷

კაზუსის განხილვისას მნიშვნელოვანია მასში დასმული პრობლემის ირგვლივ იურიდიულ ლიტერატურაში მოცემული აზრთა სხვადასხვაობის წარმოდგენაც, რამდენადაც კაზუსის ამოხსნა-გადაწყვეტისას არსებითად მნიშვნელოვანია არა შედეგი, არამედ მისკენ მიმავალი გზა. სხვაგვარად რომ ვთქვათ მნიშვნელოვანია მსჯელობა, რასაც დასაბუთებამდე მივყავართ. ამ პროცესში საჭიროა აზრთა სხვადასხვაობის დაფიქსირება და განხილვა, მათ შორის ნორმის განმარტებებთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობის შესახებ.

სტუდენტის მიერ კაზუსის დამუშავების პროცესში დაუშვებელია გადაწყვეტის მხოლოდ და სრულად მეცნიერებაში მიღებულ და გაბატონებულ შეხედულებებზე დაყრდნობა. მხოლოდ ის ფაქტი, რომ შეხედულება მიღებული და გაბატონებულია, ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ იგი საუკეთესო და ყველაზე დაბალანსებული იურიდიული მოსაზრებაა. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ თავდაპირველად უმცირესობის შეხედულებად მიჩნეული აზრი იქცეს გაბატონებულ აზრად.

²⁷ ტურავა პ., კოპალეიშვილი მ., ყალიჩავა კ., ხარშილაძე ი., კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია ადმინისტრაციულ სამართალში თანდართული კაზუსის ნიმუშით, გვ. 31,32;

განსაკუთრებულად დასაფასებელია ნაშრომის შემსრულებლის მოსაზრება, რამდენადაც სამართლებრივი დასკვნა სწორედ მისი აზროვნების ნაყოფი და მსჯელობის შედეგია. ნაშრომში სქოლიოს სახით უნდა მიეთითოს წყაროზე, თუკი სხვა ავტორის მოსაზრება იქნა გამოყენებული. დასკვნა უნდა შედგეს მარტივი და გასაგები ენით, შეძლებისდაგვარად მოკლე და კონკრეტული წინადადებებით. გამოყენებული უნდა იქნეს იურიდიული ტერმინოლოგია.

2.6. კაზუსის ამოხსნის ნიმუში

კაზუსი: ბავშვის ძალადობისაგან დაცვის მიზნით დამცავი ორდერის გამოცემა

2022 წლის 20 მაისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა კ. ა -მ, რომელიც მცირეწლოვან შვილთან ნ.ჯ-სთან ერთად ქ. ბათუმში ცხოვრობს და მოითხოვდა დამცავი ორდერის გამოცემა დ.ჯ-ს მიმართ, რომლითაც მოძალადეს აკრძალვდა მსხვერპლებთან: კ.ა-სთან და მცირეწლოვან ნ.ჯ-სთან ყოველგვარი კომუნიკაცია პირადად, სატელეფონო/სხვადასხვა სოციალური ქსელით. ასევე, მიახლოვება მათ საცხოვრებელ სახლთან, სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლები იმყოფებიან. ასევე, მოითხოვდა დ.ჯ-ს დავალებოდა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების სავალდებულო კურსის გავლა ორგანიზაცია - „A R“ გამოყენებითი ფსიქოლოგიისა და კვლევის ცენტრში; დამცავი ორდერი გამოიცეს 9 (ცხრა) თვის ვადით.

განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ის ყოფილი მეუღლის, დ. ჯ-ს მხრიდან ხშირად იყო შეურაცხყოფისა და დამცირების მსხვერპლი. ყოველ ხელსაყრელ ვითარებაში, როდესაც გარეშე პირები ახლოს არ იმყოფებოდნენ, მეუღლე აყენებდა მას სიტყვიერ შეურაცხყოფას, მათ შორის გენდერული ნიშნით ძალადობდა, რასაც მცირეწლოვანი შვილი ხშირად შესწრებია. ვინაიდან განმცხადებელს მიაჩნდა, რომ ბავშვის ცხოვრებაში ორივე მშობლის მაქსიმალური ჩართულობა იყო საჭირო, ცდილობდა ურთიერთობის შენარჩუნებას, თუმცა ბოლო დროს ძალადობას სისტემატური ხასიათი მიეცა, რასაც ბავშვი გრძნობდა, განიცდიდა და ხშირად ტიროდა კონფლიქტისას. შესამჩნევი გახდა, რომ როდესაც მამა ბავშვთან მარტო რჩებოდა, მასზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდა და ცდილობდა ნეგატიურად განეწყობა დედის მიმართ. საბოლოოდ, როგორც განმცხადებლის, ასევე ბავშვისთვის, დ.ჯ-ს ქმედებები გახდა მატრავმირებელი, რამაც მეუღლეები განქორწინებამდე მიიყვანა.

სასამართლოსთვის მიმართვა განაპირობა 2022 წლის 02 აპრილის ფაქტმა, როცა კ.ა-სა და დ.ჯ-ს შორის, მათი შვილის თანდასწრებით მოხდა კონფლიქტი. დ.ჯ-მ ის ჯერ გალანძღა და აგინა დედის მისამართით, შემდეგ კი ხელი გაართქვა სახეში და მოქაჩა თმებში. ბავშვმა დაიწყო ისტერიული კივილი. კ.ა-მ დარეკა „112-ის“ სამსახურში. განხორციელებული შეტყობინების საფუძველზე დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე. 03.04.2022 წ. გამომძიებლის მიერ გამოიცა №012234 შემაკავებელი ორდერი კ.ა-ს დაცვის მიზნით, რომელიც დ.ჯ-ს არ გაუსაჩივრებია.

განმცხადებლის აღნიშვნით, შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა 2022 წლის 3 მაისს ამოიწურა, თუმცა დედა-შვილის დაცვის საჭიროება კვალავ არსებობს.

მას შემდეგ, რაც დ.ჯ-მ შვილის თანდასწრებით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა კ.ა-ს, ბავშვი ძალიან გაღიზიანებულია, ხშირად ეკითხება დედას თუ რატომ დაართქვა მამამ. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მოძალადეს არამართო უნდა შეეზღუდოს ბავშვთან კომუნიკაცია გარკვეული დროით, არამედ ქცევის კორექციის მიზნით უნდა დაევალოს შესაბამისი ფსიქოლოგიური კურსის გავლა, რადგან დ.ჯ. ჩამოყალიბდა მოძალადედ, რომლისთვისაც არ აქვს მნიშვნელობა ვისზე და რა ფორმით განახორციელებს ძალადობას. ის საშიშროებას წარმოადგენს ბავშვისთვის, რომელიც ძალადობის მსხვერპლია არა მხოლოდ იმ დროს, როცა მამის მხრიდან დედაზე ძალადობის შემყურება, არამედ მაშინაც, როდესაც მამასთან რჩება მარტო. განმცხადებელი თვლის, რომ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს დ.ჯ-ს მიმართ დამცავი ორდერის გამოცემა, რომელიც გარკვეული დროით მას შეუზღუდავს მსხვერპლებთან ურთიერთობას, მისცემს მათ თავისუფალი ცხოვრების შესაძლებლობას. დამცავი ორდერი ერთადერთი სამართლებრივი მექანიზმია, რათა აღიკვეთოს დედა-შვილზე ძალადობა.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ბავშვი კითხულობს მამას, ხშირად თხოვს დაათვალიერებინოს მასთან გადაღებული ფოტოები, თუმცა არ ითხოვს მასთან წასვლას ან მის ნახვას, რის გამოც თვლის, რომ ბავშვს მამის ეშინია. მართალია, არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება რომლითაც დ.ჯ-ს უფლება აქვს შვილი ინახულოს ყოველი კვირის სამშაბათსა და შაბათს, თუმცა მისი მხრიდან ცოლ-შვილზე ძალადობა აბრკოლებს აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებას. მამის ნახვა და მასთან კონტაქტი არ არის ბავშვის ინტერესებში.

დ.ჯ-მ საქალაქო სასამართლოში წარადგინა წერილობითი შესაგებელი, რომლითაც არ დაეთანხმა განცხადებას, მიუთითა, რომ ბავშვის დედა ხელს უშლის მას შვილთან ურთიერთობაში, მას უნდა რომ მოხდეს მამა-შვილის გაუცხოება, რათა შემდეგ ბავშვს არ ჰქონდეს მამასთან ურთიერთობის სურვილი. სწორედ ამიტომ სურს ა.კ-ს რომ ბავშვის მამას ჰქონდეს მოძალადის სტატუსი, თითქოს მასთან ურთიერთობა არის ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგო და საფრთხის შემცველი.

რეალურად მის წინააღმდეგ მტკიცებულებების შეგროვა უჭირს გამოძიებას და დღემდე განაჩენიც არ არის გამოტანილი. დ.ჯ-მ სასამართლოს წარუდგინა მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ სასამართლოს განჩინება, რომლითაც მას (ზრალდებულს საქართველოს სსკ-ის 126¹ მუხლის მეორე ნაწილის “ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში) აღკვეთის ღონისძიების სახით შეერჩა გირაო 5 000 (ხუთი ათასი) ლარი. ამავე განჩინებით, საქართველოს სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აეკრძალა დაზარალებულთან (ყოფილ მეუღლესთან) მიახლოება და ნებისმიერი ფორმით კომუნიკაციის განხორციელება, სპეციალური ნებართვის გარეშე. ბავშვთან ურთიერთობა მას არ აქვს აკრძალული. მანვე, სასამართლოს წარუდგინა მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის ფსიქოლოგის დასკვნა, რომელშიც აღწერილია ბავშვის ფსიქოლოგთან ვიზიტები და გაკეთებულია შემდეგი დასკვნა: „ბავშვის გონებრივი განვითარება შეესაბამება ბიოლოგიურ ასაკს. ბავშვის მიერ გამოხატული ემოციები სიტუაციის ადეკვატურია. ბავშვს სანდო მიჯაჭვულობა აქვს დედის მიმართ. მამის მიმართ გამოხატავს სიყვარულს, თუმცა, მისთვის გაურკვეველია მშობლებს შორის კონფლიქტური სიტუაცია, რომელსაც შეესწრო. მისი ასაკის გათვალისწინებით სავარაუდოდ კონფლიქტის შემდეგ დედის ცრემლები ნიშნავდა, რომ დედას “ეტკინა”, მამა არ ტიროდა ანუ “არ სტკიოდა”. ბავშვს უყვარს ორივე მშობელი, თუმცა ეშინია კამათის, ხმაურის. არ იკვეთება მამის მიმართ უარყოფითი განწყობა, ის ხალისით საუბრობს მამაზე და ათვალისწინებს ერთად გადაღებულ ფოტოებს. გამოხატავს დადებით ემოციას მამის მოსვლის მოლოდინში. ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის და ემოციური ბალანსის აღდგენისთვის, უნდა მოხდეს ორივე მშობელთან ერთად გარკვეული აქტივობების დაგეგმვა (მაგ.: გასეირნება, თამაში...), რაც ხელს შეუწყობს მიღებული სტრესის შემცირებას და ნდობის აღდგენას მამის მიმართ. ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ორივე მშობლის ზრუნვა და ყურადღება მნიშვნელოვანია ბავშვისთვის. მშობლებმა ერთობლივად უნდა განსაზღვრონ მოსალოდნელი რისკები და მიაღწიონ შეთანხმებას ისე, რომ არ დაზარალდეს ბავშვის ფსიქიკური ჯანმრთელობა და ემოციური სფერო. დ.ჯ-მ სასამართლოს წარუდგინა ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დასტურდება, რომ დ.ჯ. არ არის მიდრეკილი ძალადობრივი ქცევისკენ. სპეციალური ტესტირების შედეგების საფუძველზე ექსპერტიზა ასკვნის, რომ ბავშვთან მისი ურთიერთობა არ არის საფრთხის შემცველი.

დავალება: შეაფასეთ მხარეთა პოზიციების დასაბუთებულობა და განსაზღვრეთ კ.ა-ს განცხადების პერსპექტიულობა.

კაზუსის ამოხსნა

I. პროცესულურ-სამართლებრივი დაცვის საშუალება	
პროცესულურ-სამართლებრივი დაცვის საშუალება განისაზღვრება უწყებრივი ქვემდებარეობის/განსჯადობის, მიმართვის სათანადო ფორმისა და სარჩელის პერსპექტიულობის გათვალისწინებით.	
1.1. უწყებრივი ქვემდებარეობა/განსჯადობა შესაძლოა დავა იყოს უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარე და საქალაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი.	საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (სასკ) მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველია თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მხარეებს შორის სადავო-სამართლებრივი ურთიერთობის ბუნების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების სამართლებრივი ბუნება. კაზუსიდან გამომდინარე დავის საგანია მსხვერპლის დაცვის მიზნით მოძალადის წინააღმდეგ დამცავი ორდერის გამოცემა. დამცავი ორდერის გამოცემის წესი განისაზღვრება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით. მითითებული კანონი განსაზღვრავს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობისათვის ან/და ოჯახში ძალადობისათვის დამახასიათებელ ქმედებათა ერთობლიობას, ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს. ეს კანონი ვრცელდება ასევე იმ ურთიერთობებზე, რომლებითაც ირღვევა არასრულწლოვნის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური,

	ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით (მუხლის 1). მოქმედება, რომელსაც სასამართლო ახორციელებს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ბავშვის ოჯახური ძალადობისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად ემსახურება საჯარო მიზნის მიღწევას. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, დახმარება, რეაბილიტაცია და ამ მიზნით სახელმწიფო ორგანოებისა და სხვა შესაბამისი სუბიექტების დროული, კოორდინირებული (ურთიერთშეთანხმებული) საქმიანობა განისაზღვრება ადმინისტრაციული კანონმდებლობით. ამდენად, დავა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 9.4 მუხლით, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმი გამოიყენება შემაკავებელი/დამცავი ორდერის გამოცემით. ამავე კანონის 9¹ მუხლით, ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირების უფლებამოსილება გააჩნია სასამართლო ორგანოს. 10.2 მუხლით, დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიება. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹³ მუხლის მე-2 ნაწილით, განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასკ-ით დადგენილი წესით. სასკ-ის მე-6 მუხლით, მაგისტრი მოსამართლის განსჯად საქმეთა ჩამონათვალში არ შედის ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებული საქმეები, შესაბამისად, სასკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე ამ კატეგორიის საქმეები, პირველი ინსტანციის წესით რაიონული/საქალაქო სასამართლოს განსახილველია.
--	---

დასკვნა	ამდენად, განცხადება ექვემდებარება სასამართლო უწყებას და არის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული წესით განსჯადი.
1.2. სასამართლოსთვის მიმართვის სათანადო ფორმა, განმცხადებლის მიზანი	შესაძლოა განცხადება იყოს სათანადო ფორმა, რომლითაც მიიღწევა განმცხადებლისა და მისი მცირეწლოვანი შვილის ძალადობისგან დაცვის მიზანი. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით, მსხვერპლად განიხილება ქალი ან ოჯახის წევრი, რომლის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობის ან იძულებით, მსხვერპლად ასევე მიიჩნევა არასრულწლოვანი, რომლის კანონიერი ინტერესები უგულვებელყოფილია. მსხვერპლად მიიჩნევა ასევე ბავშვი, რომელიც ძალადობის მოწმეა. სასკ-ის 21¹² მუხლის პირველი ნაწილით, სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს მსხვერპლს და მისი ოჯახის წევრს. 21¹³ მუხლი სასამართლოსთვის მიმართვის ფორმად განცხადებას ასახელებს, რასაც სასამართლო იხილავს სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში (21¹³ მუხლის მე-4 ნაწი). 21¹⁵ მუხლის მე-3 ნაწილით, დამცავი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან დაცვის ზომებს, მათ შორის იმ სახის აკრძალვებს, რასაც განმცხადებელი ითხოვს (იხ. სასკ 21¹⁵ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწი). „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 10.7 მუხლით, დამცავი ორდერი უნდა ითვალისწინებდეს მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლას.
დასკვნა	სასამართლოსთვის მიმართვა განცხადების ფორმით დამცავი ორდერის გამოსაცემად უფლების დაცვის სათანადო ფორმაა და სათანადო საფუძვლების არსებობისას მიიღწევადს ხდის მოსარჩელის მიზანს - იყოს დაცული ძალადობისაგან.

II. დავის გადაწყვეტის პერსპექტივა

2.1 განცხადების

დასაშვებობა

შესაძლებელია ა.კ-ს

განცხადება იყოს დასაშვები

დასაშვებობის შესამოწმებლად მხედველობაში მიიღება: განცხადების შეტანის ვადა, განცხადების შემტანი სუბიექტის უფლებამოსილება და დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ მოთხოვნის პირდაპირი და უშუალო შემხებლობა სუბიექტთან.

განცხადების შეტანის ვადა - დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის კონკრეტული დრო/ვადა კანონით არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, სუბიექტი, რომელიც თვლის, რომ არის ძალადობის მსხვერპლი და მისი დაცვის უზრუნველყოფა დამცავი ორდერის გამოცემით უნდა მოხდეს, - უფლებამოსილია ამ საფუძვლების არსებობისას განცხადებით მიმართოს სასამართლოს.

უფლებამოსილება - განცხადებით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს მსხვერპლს (სასკ-ის 21.¹² მუხ. პირველი ნაწ.). განმცხადებელი დამცავი ორდერის გამოცემას ითხოვს როგორც პირადად თავისი (ქალის), ისე მისი მცირეწლოვანი შვილის ძალადობისაგან დაცვის მიზნით. ბავშვის უფლებათა კოდექსის 75.1 მუხლით, ბავშვს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის მეშვეობით საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილით, მცირეწლოვნის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი კანონიერი წარმომადგენელი - მშობელი, მშვილბეელი, მეურვე. სასამართლო უფლებამოსილია, მცირეწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით ან, მცირეწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საკუთარი ინიციატივით, საქმეში მცირეწლოვანიც ჩააბას. ამდენად, დედა არის შვილის კანონიერი წარმომადგენელი.

სუბიექტთან პირდაპირ და უშუალო შემხებლობა - როგორც კაზუსიდან ირკვევა, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მასზე მეუღლე ძალადობდა ფიზიკურად ბავშვის თანდასწრებით, რაც განცხადების დასაშვებობის ეტაპის

	დასაძლევად საკმარისი საფუძველია „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის დეფინიციიდან გამომდინარე.
დასკვნა	ა.კ-ს განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ დასაშვებია.
2.2.განცხადების დასაბუთებულობა შესაძლებელია განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ იყოს დასაბუთებული.	განცხადების დასაბუთებულობის შესამოწმებლად უნდა დადგინდეს რა ქმედება განხორციელდა სავარაუდო მოძალადის მხრიდან განმცხადებლის/მისი მცირეწლოვანი შვილის მიმართ, საქმის მასალები იძლევა თუ არა საფუძველს ვარაუდისა, რომ მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების შეუფერხებელი მსვლელობის შემთხვევაში ზიანი მიადგება მსხვერპლის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს, რამდენად არის ქმედება ძალადობრივი/ძალადობის ფორმა, მსხვერპლის დაცვის კონკრეტული ღონისძიების გამოყენების საჭიროება, გამოყენებული შეზღუდვის პროპორციულობა ძალადობრივი ქცევის ინტენსივობასთან, გამოყენებული ღონისძიების ეფექტურობა. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უფლებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. მე-4 მუხლის „ა“, „ბ“, „ე“ პუნქტების მიხედვით, ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს; ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას; ამავე მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, მსხვერპლი არის ქალი, აგრეთვე ოჯახის

ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომლებსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა. მსხვერპლად მიიჩნევა, აგრეთვე, არასრულწლოვანი, რომლის კანონიერი ინტერესები უგულებელყოფილია და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა... **მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე ბავშვი, რომელიც ძალადობის მოწმეა.**

განმცხადებელი კ.ა. მიუთითებს, რომ ის იყო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი, რის გამო მის დასაცავად გამოიცა შემაკავებელი ორდერი, **ხოლო ამჯერად დამცავი ორდერის გამოცემას ითხოვს** იმის გამო, რომ მას კვლავ ემუქრება ქმრის მხრიდან ძალადობა, **ხოლო ბავშვი ტრავმირებულია მამის ადრინდელი ძალადობრივი ქმედებების შედეგად.** აღნიშნულის გამო მამას უნდა შეეზღუდოს ბავშვთან კომუნიკაცია და ქცევის კორექციის მიზნით უნდა დაევალოს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების სავალდებულო კურსის გავლა.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი

ლონისძიების სახით გამოიცეს **დამცავი ორდერი**. ამავე მუხლის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. „კანონის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამცავი ორდერი გამოიცემა 9 თვემდე ვადით. მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო.

კაზუსიდან ირკვევა, რომ ფაქტი, რომელსაც განმცხადებელი უკავშირებს დამცავი ორდერის გამოცემის საჭიროებას, მოხდა განცხადების შეტანამდე გარკვეული დროით ადრე, რაზეც პოლიციამ გამოსცა შემაკავებელი ორდერი და დაიწყო გამოძიება დ.ჯ.-ს მიერ ყოფილი მეუღლის მიმართ შესაძლო ოჯახური ძალადობის ფაქტზე. ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით და **საქმეზე** საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აეკრძალა დაზარალებულთან მიახლოება და ნებისმიერი ფორმით კომუნიკაციის განხორციელება, სპეციალური ნებართვის გარეშე. კრიზისული ცენტრის **ფსიქოლოგის დასკვნით**, ბავშვს მამის მიმართ აქვს კეთილგანწყობა და სიყვარული, გამოხატავს დადებით ემოციებს. ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის და ემოციური ბალანსის აღდგენისთვის, უნდა მოხდეს ორივე მშობელთან ერთად გარკვეული აქტივობების დაგეგმვა (მაგ.: გასეირნება, თამაში...), რაც ხელს შეუწყობს მიღებული სტრესის შემცირებას და ნდობის აღდგენას მამის მიმართ. ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ორივე მშობლის ზრუნვა და ყურადღება მნიშვნელობანია ბავშვისთვის. მშობლებმა ერთობლივად უნდა განსაზღვრონ მოსალოდნელი რისკები და მიაღწიონ შეთანხმებას ისე, რომ არ დაზარალდეს ბავშვის ფსიქიკური ჯანმრთელობა და ემოციური სფერო. კაზუსიდანვე ჩანს, რომ ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დ.ჯ. არ არის მიდრეკილი ძალადობრივი ქცევისკენ. სპეციალური ტესტირების შედეგების საფუძველზე ექსპერტიზა ასკვნის, რომ ბავშვთან მისი ურთიერთობა არ არის საფრთხის შემცველი.

დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე მოთხოვნის კანონიერების შემოწმების პროცესში სასამართლომ უნდა დაადგინოს - კონკრეტული ფაქტები და მხარეთა ახსნა-განმარტებები ქმნის თუ არა საკმარის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების შეუფერხებელი მსვლელობის შემთხვევაში დიდი ალბათობით ზიანი მიადგება მსხვერპლის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს.

მოცემულ შემთხვევაში, კაზუსის ფაბულაში აღწერილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ სახეზე არ არის მსხვერპლი, რომელსაც ემუქრება ძალადობრივი ქმედების საფრთხე, რის აღსაკვეთადაც კანონი უშვებს დამცავი ორდერის გამოცემას.

როგორც კაზუსის ფაბულის მიხედვით კ.ა. მიუთითებს, ბავშვი შეესწრო მშობლების კონფლიქტს, რითაც ფსიქოლოგიურად ტრავმირებულია. თუმცა კაზუსიდანვე ირკვევა, რომ დ.ჯ-ს მიმართ შემაკავებელი ორდერი, რომელიც მას არ გაუსაჩივრებია გამოიცა მხოლოდ მეუღლის (კ.ა-ს) მიმართ ძალადობის ფაქტზე. ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირება არ მომხდარა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ შემაკავებელი ორდერის გამოცემისას მას არ განუცხადებია ბავშვის მიმართ შესაძლო ძალადობაზე. შემაკავებელი ორდერის მოქმედების პერიოდში და არც მისი მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, დ.ჯ-ს მხრიდან რაიმე ახალ გარემოებაზე ან ფაქტზე, რომელიც შეიძლება ძალადობრივად შეფასდეს, კ.ა-ს არ მიუთითებია. შესაბამისად, ვერც ბავშვი იქნებოდა მამის მხრიდან დედის მიმართ ძალადობრივი ქმედების შემსწრე. სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ სასამართლოს განჩინებით კი უზრუნველყოფილია ა.კ-ს, როგორც დაზარალებულის უფლებების დაცვა, ბრალდებულთან არასასურველი კომუნიკაციისგან, შესაბამისად, დამატებით, დამცავი ორდერით იგივე საკითხების მოწესრიგების აუცილებლობა არ არსებობს. ასევე არ არსებობს მცირეწლოვან შვილთან მამის კომუნიკაციის აკრძალვის საფუძველი.

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-3 და მე-9 მუხლებით, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ გაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. ასეთი განსაზღვრა შეიძლება საჭირო გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს ან არ ზრუნავენ მასზე, ანდა, როცა მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ და საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლის ძირითადი მიზანია ინდივიდების დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების თვითნებური ქმედებებისგან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით (საქმეზე „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი N71776/12, სტრასბურგი, 2016 წლის 2 თებერვალი), კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, მშობლისა და ბავშვის მიერ მათი ერთად ყოფნით სიამოვნების მიღება ქმნის ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ელემენტს.

ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია და ბავშვის უფლებების კონვენცია შეიცავს დათქმას, რომ

	ბავშვს განსაკუთრებული მზრუნველობისა და დახმარების მიღების უფლება აქვს (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948, 25–ე მუხლი; ბავშვის უფლებების კონვენცია, 1989, პრეამბულა, მე-4 პუნქტი). ანალოგიური პრინციპების მატარებელია, 2020 წლის 01 სექტემბრიდან ამოქმედებული საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსიც“. შესაბამისად, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში განმტკიცებული პრინციპებიდან გამომდინარე, ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე მთავარი პასუხისმგებლობის მატარებელი ოჯახია, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია, მხარი დაუჭიროს ოჯახს ამ ვალდებულების შესრულებაში. ოჯახი უმნიშვნელოვანესია ბავშვის კეთილდღეობასა და მისი დაცვის ამოცანის განხორციელებაში. ოჯახი წარმოადგენს ბუნებრივ გარემოს ბავშვის ნორმალური აღზრდა-განვითარებისა და კომფორტისთვის. ბავშვები ძალიან დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ ურთიერთობას მშობლებთან, განსაკუთრებულად მძაფრად აისახება მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე მშობლების განქორწინება/დაშორება და ამ პირობებში მათთან კომუნიკაციის შედეგები. ბევრი სირთულე ბავშვთა ქცევასა და სოციალურ ადაპტაციაში დაკავშირებულია ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთობის დარღვევასთან. მშობლებს შორის კონფლიქტი გავლენას ახდენს ბავშვის მშობლებთან/მშობელთან სანდო მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებაზე, რაც ამცირებს მშობლობის ეფექტიანობას. ამასთანავე, მშობლების დამაბულმა ურთიერთობამ შეიძლება ისინი გახადოს ფიზიკურად და ემოციურად მიუწვდომლად ბავშვებისთვის. მოცემულ შემთხვევაში, კაზუსიდან გამომდინარე საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის ფსიქოლოგის დასკვნა და ექსპერტიზის დასკვნა ადასტურებს, რომ მამასთან ბავშვის ურთიერთობის თუნდაც დროებითი შეზღუდვა, არ ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და პირიქით, სტრესი, რაც მშობლებს შორის კონფლიქტის შემსწრე ბავშვმა გადაიტანა, სწორედ ორივე
--	---

	მშობელთან ჯანსაღი დამოკიდებულების აღდგენით უნდა გადაილახოს. ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით აუცილებელია სახელმწიფოს პოზიტიური ხასიათის ჩარევა ინდივიდთა ოჯახურ ცხოვრებაში, რაც მიმართული იქნება ბავშვის და ყოფილ მეუღლეთა შორის ურთიერთობის ჯანსაღი განვითარების ხელშეწყობისკენ. ამ მიზნის მიღწევის საშუალებას კი წარმოადგენს, არა მამასა და შვილს შორის ურთიერთობისა და კომუნიკაციის შეზღუდვა, არამედ ამ ურთიერთობის ხელშეწყობა ისე, რომ მშობლების დაშორება არ იყოს ბავშვისთვის მატრავმირებელი და ხელი შეეწყოს ბავშვს ორივე მშობელთან ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში.
დასკვნა	ა.კ-ს განცხადება არ არის დასაბუთებული
III. კაზუსის შემაჯამებელი დასკვნა	
კ.ა-ს პოზიცია არის დაუსაბუთებელი, ხოლო მოწინააღმდეგე მხარის - დ.ჯ-ს პოზიცია (შესაგებელი) დასაბუთებულია. ა.კ-ს განცხადებას არ გააჩნია წარმატების პერსპექტივა.	

2.7. კითხვები თვითკონტროლისთვის

1. რა არის კაზუსის შესაბამისი მეთოდით დამუშავების ძირითადი მიზანი?
2. როგორია კაზუსის დამუშავების მეთოდების ძირითადი პრინციპები?
3. რა როლი აქვს კაზუსის დამუშავებას იურიდიული განათლების პროცესში?
4. როგორია კაზუსის დამუშავების მეთოდების გამოყენების უპირატესობები პრაქტიკაში?
5. რა მნიშვნელობა აქვს კაზუსის დამუშავების მეთოდების ცოდნას იურისტებისთვის?
6. რა უპირატესობები აქვს კაზუსის შესაბამისი მეთოდით დამუშავებას?
7. როგორია კაზუსის დამუშავების მეთოდების გამოყენების პრაქტიკული სარგებელი?
8. რა გავლენას ახდენს კაზუსის დამუშავების მეთოდების ცოდნა იურისტის პროფესიულ განვითარებაზე?
9. როგორია კაზუსის დამუშავების მეთოდების გამოყენების შედეგები იურიდიულ პრაქტიკაში?
10. რა როლი აქვს კაზუსის დამუშავების მეთოდების გამოყენებას იურიდიული პრობლემების გადაჭრაში?
11. როგორია კაზუსის განხილვა-გადაწყვეტის ძირითადი ეტაპები?
12. რა მნიშვნელობა აქვს კაზუსის განხილვის პროცესში ფაქტობრივი გარემოებების იდენტიფიცირებას?
13. როგორია კაზუსის განხილვის პროცესში სამართლებრივი ნორმების გამოყენების როლი?
14. რა მნიშვნელობა აქვს კაზუსის განხილვის პროცესში არგუმენტირებული მსჯელობის წარმოებას?
15. როგორია კაზუსის განხილვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების მნიშვნელობა?
16. რა არის კაზუსის ამოხსნის გადაწყვეტილების სტილი?
17. როგორია კაზუსის ამოხსნის გადაწყვეტილების სტილის ძირითადი პრინციპები?
18. რა მნიშვნელობა აქვს კაზუსის ამოხსნის გადაწყვეტილების სტილის გამოყენებას იურიდიულ პრაქტიკაში?

19. როგორია კაზუსის ამოხსნის გადაწყვეტილების სტილის გამოყენების უპირატესობები?
20. რა როლი აქვს კაზუსის ამოხსნის გადაწყვეტილების სტილს იურიდიული პრობლემების გადაჭრაში?
21. რა არის კაზუსის ამოხსნის იურიდიული დასკვნის სტილი?
22. როგორია კაზუსის ამოხსნის იურიდიული დასკვნის სტილის ძირითადი პრინციპები?
23. რა მნიშვნელობა აქვს კაზუსის ამოხსნის იურიდიული დასკვნის სტილის გამოყენებას იურიდიულ პრაქტიკაში?
24. როგორია კაზუსის ამოხსნის იურიდიული დასკვნის სტილის გამოყენების უპირატესობები?
25. რა როლი აქვს კაზუსის ამოხსნის იურიდიული დასკვნის სტილს იურიდიული პრობლემების გადაჭრაში?
26. როგორია კაზუსის ამოხსნის ნიმუშის ძირითადი სტრუქტურა?
27. რა მნიშვნელობა აქვს კაზუსის ამოხსნის ნიმუშის გამოყენებას იურიდიულ განათლებაში?
28. როგორია კაზუსის ამოხსნის ნიმუშის გამოყენების პრაქტიკული სარგებელი?
29. რა როლი აქვს კაზუსის ამოხსნის ნიმუშის გამოყენებას იურიდიული პრობლემების გადაჭრაში?
30. როგორია კაზუსის ამოხსნის ნიმუშის გამოყენების შედეგები იურიდიულ პრაქტიკაში?

თავი 3. კაზუსები ბავშვის უფლებათა სამართალში ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით

3.1. კაზუსი ამოხსნით: ბავშვის სტატუსის განსაზღვრის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე

კაზუსი:

ნინოს ჰყავს 2 წლის შვილი, რომელსაც დაუდგინა „დაუნის სინდრომი Q90.0 განვითარების ეტაპების ჩამორჩენა“. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების მიზნით 2019 წლის 10 მაისს ნინომ მიმართა შპს „ჯანმრთელობის ცენტრს“ და მოითხოვა ბავშვისთვის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარება.

შპს „ჯანმრთელობის ცენტრის“ დირექტორმა N01-456 წერილით უარი უთხრა ნინოს ექსპერტიზის ჩატარებაზე იმ საფუძველით, რომ ბავშვის სამედიცინო დოკუმენტაციაში მითითებული დიაგნოზი: დაუნის სინდრომი - Q90.0 არ წარმოადგენს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს. დამატებით საფუძველად ასევე, მიუთითა, რომ სხვა გონებრივი ჩამორჩენილობის, რომელიც თან ახლავს სმენის, ან მხედველობის, ან მეტყველების, ან საყრდენი-მამოძრავებელი აპარატის გამოხატული დარღვევების ან ქცევის პათოლოგიური ფორმების განსაზღვრას და მისი საფუძველით შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭებას, ბავშვებში 12 წლის ასაკამდე იყო შეუძლებელი.

ნინო დაჟინებით ითხოვდა ბავშვის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარების გადაუდებელ საჭიროებას და მის მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ ოჯახს არ ჰქონდა საკმარისი ეკონომიური შესაძლებლობა უზრუნველყო ბავშვის საჭიროებები, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის გარეშე კი ბავშვი ვერ იღებდა სახელმწიფო სოციალური პროგრამების მომსახურებას.

ნინომ დადგენილ ვადაში, საჩივრით მიმართა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, რომლითაც გაასაჩივრა შპს „ჯანმრთელობის ცენტრის“ დირექტორის N01-456 წერილი და ითხოვა, რომ სააგენტოს, როგორც მაკონტროლებელ სახელმწიფო ორგანოს, შპს „ჯანმრთელობის ცენტრისთვის“ დაევალებინა ბავშვისთვის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარება. სააგენტომ N1001/3445 გადაწყვეტილებით ნინოს უარი უთხრა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

ნინომ მიიჩნია, რომ ბავშვის ინტერესები უხეშად ირღვეოდა და სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შპს „ჯანმრთელობის ცენტრის“ იურიდიული მისამართის მიხედვით, ვინაიდან ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ადმინისტრაციულ ერთეულში არ იყო დანიშნული მაგისტრატი მოსამართლე. ნინომ სარჩელით მოითხოვა: შპს „ჯანმრთელობის ცენტრისათვის“ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარების დავალება და შვილისთვის „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის“ დადგენის შესახებ დასკვნის გამოცემა.

დავალება: განსაზღვრეთ უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივი საშუალება და შეამოწმეთ მოთხოვნის დასაბუთებულობა.

კაზუსის ამოხსნა

1. თავდაპირველად უნდა განისაზღვროს პროცესუალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალება	
პროცესუალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალება განისაზღვრება უწყებრივი ქვემდებარეობის/განსჯადობის, მიმართვის სათანადო ფორმისა და სარჩელის პერსპექტიულობის გათვალისწინებით.	
1.1. უწყებრივი ქვემდებარეობა მოიცავს დარგობრივ განსჯადობას სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული ანდა უწყებრივად ხომ არ არის აღმასრულებელი შტოს რომელიმე უწყების განსახილველი საჩივრით ერთჯერადად გასაჩივრების წესით;	საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (სასკ) მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველია თუ მხარეებს შორის სადავო სამართლებრივი ურთიერთობა საჯარო უფლების განხორციელებას უკავშირდება. იმავე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.
საერთო განსჯადობა პირველი ინსტანციის წესით გულისხმობს, რომელი სასამართლოს განსჯადია - მაგისტრატი მოსამართლის, რაიონული თუ საქალაქო სასამართლოს.	მხარეებს შორის სადავო-სამართლებრივი ურთიერთობის ბუნების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების სამართლებრივი ბუნების გაანალიზება. ამ პროცესში უნდა დადგინდეს შპს „ჯანმრთელობის ცენტრისათვის“ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარების დავალდებულება და მოსარჩელის შვილისთვის „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის“ დადგენის შესახებ დასკვნის გამოცემის მოთხოვნის უფლება რამდენად არის საჯარო-სამართლებრივი ბუნების.

შესაფასებელია შესაძლოა თუ არა დავა იყოს საერთო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი.

გასათვალისწინებელი საკითხი: მხედველობაშია მისაღები, რომ თუ მოთხოვნის საფუძველი კერძო-სამართლებრივი შინაარსისაა, დავა განსჯადობის მიხედვით იქნება სამოქალაქო სამართლებრივი. ურთიერთობის საჯარო სამართლებრივად მიჩნევისათვის დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სარჩელი მიემართება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (კერძო სამართლის სუბიექტს).

კაზუსიდან გამომდინარე უნდა დავადგინოთ შპს „ჯანმრთელობის ცენტრის“ მიერ სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ჩატარების სამართლებრივი საფუძველი.

შპს-ს უფლებამოსილება დაინტერესებული პირისათვის „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის“ სტატუსის დადგენის მიმართებით და ამ მიზნით დასკვნის გამოცემა გამომდინარეობს არა სამოქალაქო/კერძო-სამართლებრივი

კანონმდებლობიდან, არამედ - „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ 07/12/2001 წლის საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 13/01/2003 წლის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესისა“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 17/03/2003 წლის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული “შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი” დადგენის წესის მოთხოვნებიდან, რაც მოწმობს, რომ ნინოსა და შპს „ჯანმრთელობის ცენტრს“ შორის სადავო ურთიერთობა არის საჯარო-სამართლებრივი.

სასკ-ის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (სზაკ) დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოუცემლობით პირის სუბიექტური უფლებების ხელყოფის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია საჩივრით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ან სარჩელი შეიტანოს სასამართლოში და მოითხოვოს ქმედების განხორციელება. სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვ/პუნქტით, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-

სამართლებრივ აქტად ითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ. სზაკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. იმავე კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. იმავე მუხლის მე-3 ნაწილით, პირს შეუძლია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

როგორც კაზუსის ფაბულიდან ირკვევა, გამოყენებულია საჩივრის წარდგენის ინსტიტუტი. შესაბამისად, სახეზეა აღნიშნული წინაპირობა.

სასკ-ის მე-5 მუხლის თანახმად, უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, მათ შორისაა დავა სასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველიდან გამომდინარე, რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს პირველი ინსტანციით, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით (*მაგისტრი მოსამართლის განსახილველი საქმეები*) გათვალისწინებული შემთხვევებისა. იმავე მუხლის მე-2 ნაწილით, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

როგორც კაზუსის ფაბულიდან ირკვევა მოსარჩელემ მიმართა რაიონულ სასამართლოს შპს-ს იურიდიული მისამართის მიხედვით, რადგან ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არ მოქმედებდა მაგისტრატი მოსამართლე.

სზაკ-ის მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე. ვინაიდან ნინო დავობს მისი მცირეწლოვანი შვილის სოციალური უფლებები რეალიზაციის მიზნით სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარებას, -

	უნდა დავასკვნათ რომ დავა სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხებს უკავშირდება, თუმცა ვინაიდან ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არ მოქმედებს მაგისტრეტი მოსამართლე, სარჩელი სწორად წარედგინა რაიონულ სასამართლოს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით სსსკ-მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.
დასკვნა	ამდენად, დავა განსჯადობით ექვემდებარება ადმინისტრაციულ მართლმსაჯულების წესით პირველი ინსტანციის - რაიონული სასამართლოს მიერ განსახილველ დავათა კატეგორიას. ნინომ სასკ-ის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სწორად წარადგინა სარჩელი განსჯად სასამართლოში.
1.2. სასამართლოსთვის მიმართვის სათანადო ფორმა, განმცხადებლის მიზანი	ნინოს მიზანია თავის მცირეწლოვანი შვილს ჩაუტარდეს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა, რათა მისი შესაძლებლობების შეზღუდვის ხარისხი განისაზღვროს და გამოიცეს დასკვნა „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის“ დადგენის შესახებ. სარჩელის სახე უნდა შემოწმდეს სასკ-ის 22-ე-25-ე მუხლების საფუძველზე. შესაძლებელია უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალება იყოს სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველზე. სასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველზე სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, თუ ამ გზით შესაძლებელი იქნება მოსარჩელის მიზნის მიღწევა. ამგვარად, სარჩელის სათანადო სახის დასადგენად უნდა გაირკვეს 1) ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმა და 2) მოსარჩელის მიზანი. მხარე (მოსარჩელე) ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოსთვის დასკვნის გამოცემის დავალდებულებას. ამიტომ უნდა შემოწმდეს მისი სამართლებრივი ფორმა.

1.2.1. დასკვნის სამართლებრივი ფორმა (სასკ-ის 23-ე მუხლი)	დასკვნის გამოცემის დავალდებულება გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ვინაიდან მოიცავს სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ოთხივე ელემენტს: გასათვალისწინებელი საკითხი: ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილება მმართველობის ღონისძიების განხორციელებისას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ფორმით (ისევე როგორც სხვა ფორმით) განსაზღვრულია კანონებითა თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. მოქმედება, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში და ემსახურება საჯარო მიზნის მიღწევას, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი კანონსაწინააღმდეგოა, როცა ის გამოცემულია ტერიტორიულად ან საგნობრივად არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ ან თუ ის უკანონოდ ზღუდავს სუბიექტის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს და თავისუფლებებს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ ეწინააღმდეგება კანონს და ამით ხელყოფს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს - გასაჩივრდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჩივრის შეტანის გზით ადმინისტრაციულ ორგანოში ან სარჩელის შეტანის გზით - სასამართლოში. ა). სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოთხი ელემენტიდან პირველი არის: <u>ადმინისტრაციული ორგანო</u> შპს „ჯანმრთელობის ცენტრი“ შესაძლებელია თუ არა იყოს ადმინისტრაციული ორგანო. სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოდ განიხილება პირი, რომელიც ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს. (სზაკის 2.1 მუხლის „ა“ ქვ.პ ადმინისტრაციული ორგანო არის – ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს).

„ნებისმიერ სხვა პირში“ კანონი გულისხმობს კერძო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბებულ სუბიექტებს, რომლებსაც სახელმწიფოსაგან, კანონმდებლობის შესაბამისად, დელეგირებული აქვს საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

კაზუსიდან იკვეთება, რომ შპს „ჯანმრთელობის ცენტრს“ დაინტერესებული პირის მიერ ეთხოვა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარება პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის მიზნით სახელმწიფო პროგრამით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რაც ამ პირისადმი სახელმწიფო სოციალური გარანტიების მოპოვების საფუძველია. შპს-ს ამ შემთხვევაში კანონმდებლობის საფუძველზე, მინიჭებული აქვს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილება.

რა იძლევა ასეთი დასკვნის საფუძველს: საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების საკითხს არეგულირებს საქართველოს კანონი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“, რომლის მიხედვითაც შშმ სტატუსის მოპოვება სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის საფუძველზე მომზადებული დასკვნით ხდება, რომელსაც ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება გასცემს „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ხოლო 18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის“ დადგენის წესის შესახებ ინსტრუქციის მიხედვით. ვინაიდან კაზუსის ფაზულის მიხედვით არ იკვეთება შპს „ჯანმრთელობის ცენტრის“ მიერ საქმიანობის ლიცენზირებულობის პრობლემა, დადგენილად ითვლება, რომ სამედიცინო დაწესებულებას აქვს ასეთი ლიცენზია და უფლებამოსილია ჩატაროს ბავშვის (18 წლამდე ასაკის პირის) სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის“ სტატუსის დადგენის მიზნით.

ამდენად, შპს „ჯანმრთელობის ცენტრი“ არის საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი.

ბ). სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოთხი ელემენტიდან მეორე: ადმინისტრაციული კანონმდებლობა.

შესაძლებელია, შპს „ჯანმრთელობის ცენტრის“ მიერ განხორციელებული საქმიანობა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან?

შპს-ს უფლებამოსილება, ჩაატაროს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა და გამოსცეს დასკვნა ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობის დადგენის შესახებ (სტატუსის განსაზღვრის შესახებ), გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან - „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ 07/12/2001 წლის საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 13/01/2003 წლის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესისა“ და “შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი” დადგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 17/03/2003 წლის №62/ ნ ბრძანების მოთხოვნებიდან. შპს ახორციელებს უფლებამოსილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმის საფუძველზე.

ამდენად, შპს „ჯანმრთელობის ცენტრის“ საქმიანობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

გ). სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოთხი ელემენტიდან მესამე: მომწესრიგება.

სავარაუდოდ, შპს „ჯანმრთელობის ცენტრისთვის“ მოთხოვნილ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოსაცემ, დასკვნას აქვს მომწესრიგებელი ბუნება.

სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მმართველობითი ღონისძიება იმ შემთხვევაში არის მომწესრიგებელი ბუნების, როდესაც ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებისა და მოვალეობებს. კერძოდ, ზემოაღნიშნული ნორმის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-

	სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები. შპს „ჯანმრთელობის ცენტრის“ მიერ ბავშვისთვის (მოსარჩელის შვილისთვის) “შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის” სტატუსის დადგენა და ამის თაობაზე დასკვნის გამოცემა წარმოშობს დაინტერესებული პირის მიმართ სამართლებრივ შედეგებს - მოიპოვებს სახელმწიფო სოციალურ გარანტიებს. ამგვარად, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ აქტს აქვს მომწესრიგებელი ბუნება. ნინოს მოთხოვნა _ მოპასუხემ ჩაატაროს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა _ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (დასკვნის) გამოცემას ე.ი. მმართველობითი ღონისძიება უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ფორმით. დ). სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოთხი ელემენტიდან მეოთხე - <u>ზემოქმედება-განსაზღვრულობა</u>. მოსარჩელის მოთხოვნა გულისხმობს კონკრეტული შემთხვევის დარეგულირებას, ის მიმართულია კონკრეტული პირისკენ და საკითხის მოწესრიგება დასკვნა სტატუსის განსაზღვრის შესახებ წარმოშობს კონკრეტული სუბიექტის სოციალური გარანტიების მიღების უფლებას. ამდენად, სასკ-ის 23-ე მუხლებით დადგენილი საქმიანობის სამართლებრივ ფორმა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სახეზეა.
1.2.2. მოსარჩელის მიზანი	სარჩელის სათანადო სახის განსაზღვრისთვის საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დადგენის გარდა, უნდა გაირკვეს, აქვს თუ არა მოსარჩელეს ადმინისტრაციული ორგანოსთვის აქტის გამოცემის დავალდებულების მიზანი ე.ი. მიზანი კონკრეტულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, რაც თავის თავში გულისხმობს დავის მიმართ კანონიერი ინტერესის არსებობას.

შპს ბავშვის სტატუსის შესახებ დასკვნის გამოცემის დავალდებულების მიზანი: კონკრეტული კაზუსიდან გამომდინარე დავის მიმართ ინტერესი გააჩნია ბავშვს, რომელსაც უნდა ჩაუტარდეს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის მიზნით. ნინო, ამ შემთხვევაში ბავშვის კანონიერი წარმომადგენელია – მშობელი საპროცესო წარმომადგენელობას ახორციელებს სსსკ-ის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც მცირეწლოვნის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი კანონიერი წარმომადგენელი – მშობელი, მშვილდბელი, მეურვე. სასამართლო უფლებამოსილია, მცირეწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით ან, მცირეწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საკუთარი ინიციატივით, საქმეში მცირეწლოვანიც ჩააბას. დავის მიმართ ინტერესი გააჩნია თავად ნინოსაც, როგორც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის მშობელს, რამდენადაც საქართველოს პარლამენტის 09/02/2017წ. დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის სახელმწიფო კონცეფციის“ მიხედვით გარანტირებულია ყველა ბავშვისათვის თანაბარი უფლებების რეალიზება ბავშვთა ადრეული განვითარების საჭიროებების დაკმაყოფილებით და მათი მშობლების მხარდაჭერით. შესაბამისად, ნინო, როგორც ბავშვის მშობელი დაინტერესებულია მიიღოს სახელმწიფო მხარდაჭერა ბავშვის მოვლა-განვითარების პროცესში.

ამდენად, ნინოს, როგორც პირადად, ისე ბავშვის წარმომადგენლის, ინტერესია ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულება სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შედეგად განსაზღვროს სპეციალური სტატუსი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი“ (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 მარტის N62/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-8 მუხლი).

ამ მიზნის მიღწევა კი შესაძლებელი იქნება არა ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ შპს-ს დირექტორის წერილის ბათილად ცნობის გზით, არამედ ადმინისტრაციული ორგანოსათვის აქტის გამოცემის დავალდებულების გზით, რაც შესაძლებელი გახდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შპს-ს მიერ სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზის ჩატარების შედეგად. სარჩელის განხილვის პროცესში შემოწმდება

ასევე ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის სამართლებრივი საფუძვლის კანონიერებაც და შესაძლებელი გახდება დასკვნის გამოცემის დავალდებულების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სათანადო კანონისმიერი საფუძვლების გამოკვეთისას.

იურისტთა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულების სარჩელი ასევე მოიცავს აქტის გამოცემაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელსაც. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილი და 23-ე მუხლები კავშირშია ერთმანეთთან. თუმცა ნაწილი ფიქრობს, რომ 23-ე მუხლით სარჩელის აღძვრა დამოუკიდებლად იურიდიული შედეგის მომტანია მხარისთვის (და საჭირო არ არის უარის ბათილად ცნობის მოთხოვნა სასკ-ის 22-ე მუხლი), განსაკუთრებით მაშინ, როც უარის თქმის შესახებ აქტის დამოუკიდებლად არსებობა ან არარსებობა მის მიმართ არსებით შედეგს არ იწვევს და მხარისთვის მნიშვნელოვანია მოთხოვნილი აქტის გამოცემა. ამ დროს ის უარის თქმის შესახებ აქტს იყენებს მხოლოდ როგორც სასკ-ის 23-ე მუხლით დადგენილი დასაშვებობის წინაპირობად იმის დასტურად, რომ მიმართა ორგანოს აქტის გამოცემის მოთხოვნით.

განსახილველი კაზუსიდან გამომდინარე, ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის ცალკე გაუსაჩივრებლობა ვერ განაპირობებს წინოს სარჩელის უარყოფას. სხვა საკითხი იქნებოდა თუკი საექსპერტო კვლევის შედეგად სტატუსის განსაზღვრაზე იტყოდა დაწესებულება უარს, ასეთ შემთხვევაში, უარის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის გარეშე სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი იქნებოდა დაუშვებელი.

ამდენად, სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აანალიზებს, რამდენად შეიძლება იყოს მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცვა მიღწევადი მხოლოდ სასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი სარჩელით და რამდენად არის აუცილებელი ასეთი უფლების დასაცავად სასკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის შეტანაც ე.წ. კომბინირებული სარჩელი.

ამ მიზნით სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს სასკ-ის 28¹ მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება.

	სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. რამდენადაც ექსპერტიზის ჩატარების შედეგად უნდა განხორციელდეს დასკვნის გაცემა მოსარჩელის მიზანია, სასამართლომ უფლებამოსილი დაწესებულებას დაავალოს ასეთი დასკვნის გამოცემა.
დასკვნა	ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნინოს ინტერესის დასაცავად სათანადო სარჩელის სახეა – სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე, რაც განსაზღვრულია სასკ-ის 23-ე მუხლით.
2. დავის გადაწყვეტის პერსპექტივა	
2.1. შესაძლებელია ნინოს სარჩელი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის“ დადგენა/განსაზღვრის შესახებ დასკვნის გამოცემის დავალდებულების თაობაზე იყოს დასაშვები.	სასკ-ის 23-ე მუხლის თანახმად, სარჩელი დასაშვებია, თუ ა) მოსარჩელის მოთხოვნა გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას; ბ) ადმინისტრაციული ორგანოს უარი პირდაპირ და უშუალო, ინდივიდუალურ ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს; გ) სარჩელის შეტანილია უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში. მითითებული საკითხები განვიხილოთ პუნქტობრივად: ა) ვინაიდან ზევით, სარჩელის სათანადო სახის განსაზღვრის ეტაპზე, უკვე დადგინდა, რომ ნინო ადმინისტრაციული ორგანოსგან ითხოვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შემოწმების გარეშე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სარჩელის დასაშვებობის ეს ელემენტი სახეზეა. ბ) შესაძლოა მოსარჩელეს ადგება პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი აქტის გამოცემაზე უარით. კაზუსის ფაბულიდან ირკვევა, რომ ნინოს ჰყავს 2 წლის შვილს რომელსაც დაუდგინდა „დაუნის სინდრომი Q 90.0 განვითარების ეტაპების ჩამორჩენა“, რის გამოც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების მიზნით, ითხოვა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარება. სამედიცინო დაწესებულებამ უარი თქვა ექსპერტიზის ჩატარებაზე, რითაც პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი ადგება როგორც ბავშვის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, ისე ნინო,

როგორც სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვის აღზრდა-მზრუნველობის პროცესში სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის მიმღებ მშობელს.

ნინოს მოთხოვნა გამომდინარეობს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ძირითადი უფლებებიდან ასევე უშუალოდ მოქმედი სამართლებრივი ნორმებიდან.

ბავშვის უფლებების შესახებ მე-4 მუხლით, მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა ზომებს, რათა განახორციელონ წინამდებარე კონვენციით აღიარებული უფლებები, ეკონომიკური, **სოციალური** და კულტურული უფლებების მიმართ მონაწილე სახელმწიფოები ასეთ ზომებს მიმართავენ მათ ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალურ ფარგლებში და, აუცილებლობის შემთხვევაში, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილით, სახელმწიფო ქმნის შესაბამის პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის, მათ შორის, გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის პრინციპების დანერგვით. 27-ე მუხლის მე-3 ნაწილით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისა და მისი ოჯახის მხარდაჭერის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვისთვის განათლების, მათ შორის, პროფესიული განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და რეაბილიტაციის სერვისების უწყვეტ და ეფექტიან ხელმისაწვდომობას, რათა ხელი შეეწყოს ბავშვის სრულყოფილ ინდივიდუალურ განვითარებას და სოციალურ ინკლუზიას. 28-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ვ“ ქვ/პუნქტით, ოჯახის მხარდაჭერის პროგრამის შინაარსი, ფორმა და ხანგრძლივობა ინდივიდუალურად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა და მისი ოჯახის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება. პროგრამა მოიცავს არაერთ ღონისძიებას, მათ შორის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის საჭიროებების ადრეული იდენტიფიკაციის, ინდივიდუალური შეფასებისა და სათანადო მხარდაჭერის პროგრამებს, მათ შორის, ბავშვის უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ პროგრამებს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველო არის სოციალური

სახელმწიფო. იმავე მუხლის მე-2 პუნქტით, სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის. გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“, რომელიც საქართველოსთვის ძალაშია 12/04/2014 წლიდან, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტებში განაცხადა და დაადასტურა ყველა ადამიანის უფლება, ყოველგვარი განსხვავებულობის გარეშე ისარგებლოს აღნიშნული დოკუმენტებით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით. ასევე აღიარებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, სხვა ბავშვების თანასწორად უნდა სარგებლობდნენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სრული რეალიზების შესაძლებლობით, გვახსენებენ რა ამასთან მიმართებაში ბავშვთა უფლებების კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ პრინციპებია: ადამიანის თანდაყოლილი პიროვნული ღირსების, მისი ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემა, გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებისა და პიროვნების დამოუკიდებლობის ჩათვლით; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შესაძლებლობის განვითარებისა და ინდივიდუალობის შენარჩუნების უფლების პატივისცემა (მუხლი 3). მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სრულ რეალიზებას, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამ მიზნით მონაწილე ქვეყნები ვალდებულებას იღებენ: მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული

უფლებების უზრუნველყოფისათვის (მუხლი 4); მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა რეალიზებისათვის, სხვა ბავშვების თანასწორად (მუხლი 7). ბავშვთა უფლებების დაცვისა და მათზე ზრუნვის სფეროში მიზანმიმართული, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებული პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფისათვის, რაც ითვალისწინებს ბავშვებისათვის კეთილდღეობის სერვისების მიწოდებას და ამ სერვისების დეინსტიტუციონალიზაციას, საქართველოს პარლამენტის 09/02/2017წ. დადგენილებით დამტკიცდა „ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის სახელმწიფო კონცეფცია“ რომლის მიზანს წარმოადგენს ყველა ბავშვისათვის თანაბარი უფლებების რეალიზება ბავშვთა ადრეული განვითარების საჭიროებების დაკმაყოფილებით და მათი მშობლების მხარდაჭერით.

ამდენად, სახეზეა მატერიალური კანონმდებლობის საფუძველზე მოპოვებული უფლებებისათვის ან ინტერესებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. დასკვნის (ინდ. აქტის) გამოცემაზე უარი ზღუდავს მოსარჩელის სუბიექტურ საჯარო-სამართლებრივ უფლებას. მოსარჩელე არის უარის ადრესატი, რაც საკმარისი საფუძველია სარჩელის დასაშვებობის ეტაპის გადასალახად, ხოლო რეალურად დარღვეულია თუ არა მოსარჩელის სუბიექტური უფლება – სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას გასარკვევი საკითხია.

ამდენად, სახეზეა სარჩელის არსებითად (მატერიალური კანონიერების შემოწმების თვალსაზრისით) განსახილველად დაშვების წინაპირობა.

გ) სარჩელის შეტანის ვადის საკითხთან (ხანდაზმულობასთან) დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ სარჩელი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, სასამართლოს უნდა წარედგინოს მოთხოვნილი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან 1 თვის ვადაში. როცა უარი აქტის გამოცემაზე გამოცემულია წერილობითი ფორმით (ეს თავის მხრივ ადმინისტრაციული აქტია, რამდენადაც, სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვ/პუნქტი ინდ. აქტად განიხილავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ), ერთთვიანი

ვადის ათვლა დაიწყება წერილობითი უარის დაინტერესებული მხარის (მოსარჩელისათვის) ოფიციალურად გაცნობიდან 1 თვეში (რას ნიშნავს აქტის ოფიციალური გაცნობა, ამაზე პასუხს იძლევა სზაკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, 1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს მისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გადაცემას ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნას).

გასათვალისწინებელი საკითხია თუ როგორ უნდა გადაწყდეს სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი მაშინ, როცა ადმინისტრაციულ ორგანოს წერილობით არ გამოუცია დოკუმენტი (ინდ.აქტი) მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის უარის თქმის შესახებ (ე.ი. მატერიალური სახის დოკუმენტი არ არსებობს (არ გამოცემულა და შესაბამისად, მხარესაც არ გადასცემია)). ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს აქტის გამოცემისთვის დადგენილი ვადების გაშვებასთან ანუ უმოქმედობით უართან (სზაკ-ის 177.2 მუხლით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება XIII თავით დადგენილი წესით), რა დროსაც სარჩელის სასამართლოში წარდგენის ვადა განისაზღვრება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით. სარჩელი სასამართლოს წარედგინება აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან ერთი თვის ვადაში. აღნიშნული საკითხი ადმინისტრაციული წესით გასაჩივრებისათვის განსხვავებულად არის მოწესრიგებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სადაც მითითებულია, რომ გასაჩივრების ვადა არ შეიძლება დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში). მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან განსახილველი კაზუსის ფაბულიდან საჩივრის ან სარჩელის შეტანის ვადებზე რაიმე სახის დარღვევა არ იკვეთება, ივარაუდება, რომ დასკვნის გამოცემაზე უარის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან დაცულია სარჩელის წარდგენის 1 თვიანი ვადა.

	შესაბამისად, სახეზეა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის“ დადგენა/განსაზღვრის შესახებ დასკვნის გამოცემის დავალდებულების თაობაზე სარჩელის დასაშვებობის ყველა წინაპირობა.
დასკვნა	ამდენად, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის“ სტატუსის დადგენა/განსაზღვრის შესახებ დასკვნის გამოცემის დავალდებულების თაობაზე სარჩელი დასაშვებია.
3. სარჩელის საფუძვლიანობა/დასაბუთებულობა	
3.1. შესაძლებელია ნინოს სარჩელი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის“ სტატუსის დადგენის შესახებ დასკვნის გამოცემის დავალდებულების თაობაზე იყოს დასაბუთებული.	სასკ-ის 33-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე არის დასაბუთებული, თუ უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ეწინააღმდეგება კანონს ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. იმისათვის, რომ ნინოს სარჩელი დასკვნის გამოცემის დავალდებულების თაობაზე (სასკ-ის 23-ე მუხლი) იყოს დასაბუთებული, აუცილებელია დადგინდეს, რომ უარი ა) ეწინააღმდეგება კანონს და ბ) პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელეს. ადმინისტრაციული ორგანოს უარი არის უკანონო თუ ის ფორმალურად ან მატერიალურად უკანონოა.
3.1.1. ფორმალური კანონიერება	ადმინისტრაციული ორგანოს უარი აქტის გამოცემაზე შეიძლება იყოს ფორმალურად უკანონო. ეს იმ შემთხვევაში იქნებოდა სახეზე, თუ ის არ შეესაბამება უფლებამოსილების, წარმოების სათანადო სახის და ღონისძიების ფორმის განმსაზღვრელ ნორმებს. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო - შპს „ჯანმრთელობის ცენტრის“ უფლებამოსილება სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარებაზე, როგორც ზევით აღინიშნა, განსაზღვრულია სპეციალური კანონით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. შესაბამისად, ის არის საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი კონკრეტული დაწესებულება, რომლის კომპეტენციას მიეკუთვნება სარჩელით მოთხოვნილი

შესაბამისი სტატუსის განსაზღვრის შესახებ აქტის (დასკვნის) გამოცემა.

აქტის გამოცემის დავალდებულების მოთხოვნით შეტანილი სარჩელის მატერიალური კანონიერების შემოწმებისას პირველ რიგში მოწმდება ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება. თუ ამ საკითხის შემოწმებისას დადგინდა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი მოთხოვნილი აქტის გამოცემაზე, მისი უარის უკანონოება ვერ შეუქმნის სარჩელს დაკმაყოფილების საფუძველს, რადგან დაკმაყოფილებას ექვემდებარება ფაქტობრივად და სამართლებრივად დასაბუთებული სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო თუ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი გამოსცეს მოთხოვნილი აქტი, ასეთი სარჩელი დასაბუთებულად ვერ მიიჩნევა და შესაბამისად, ვერ დაკმაყოფილდება.

აქ საქმე შეიძლება გვქონდეს სხვა პრობლემასთან, რაც გამომდინარეობს სზაკ-ის მე-80 და 85-ე მუხლებით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებებიდან, რომლებითაც დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების გაწევის მოვალეობა და უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნის ვალდებულება. ე.ი. როცა დაინტერესებული პირის განცხადებაში მითითებული საკითხი არ შედის განცხადების ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებაში, ის ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს (სზაკ-ის 80.1 მუხლი). ასევე, თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში (სზაკ-ის 80.4 მუხლი).

ამდენად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის აუცილებელი წინაპირობაა, რომ აქტის გამოცემაზე უარის ან უმოქმედობის სუბიექტი იყოს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო.

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით, 18 წლის ასაკის მიღწევამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უდგინდება კატეგორია „შეზღუდული შესაძლებლობის

სტატუსის მქონე ბავშვი“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული წესის შესაბამისად. 46-ე მუხლის „გ“ ქვ/პუნქტის, მიხედვით, დაწესებულება ვალდებულია განუსაზღვროს 18 წლამდე პირს კატეგორია – „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი“. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 13.01.2003 წლის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის“ თანახმად, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის შესახებ დასკვნა გამოაქვს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას, რომელსაც შერჩევის საფუძველზე 2 წლის ვადით გადაეცემა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის უფლება (მუხლი 3¹⁾).

კაზუსის ფაბულიდან არ იკვეთება შპს „ჯანმრთელობის ცენტრის“ როგორც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის უფლების მქონე დაწესებულების შერჩევის საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისად, ის ასეთად შერჩეულ უფლებამოსილ დაწესებულებად განიხილება.

ამდენად, შპს „ჯანმრთელობის ცენტრი“ არის დასკვნის „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი“ გაცემაზე უფლებამოსილი.

გადაწყვეტილების (უარის) ფორმა - მოპასუხე შპს „ჯანმრთელობის ცენტრი“ წერილობით უარს აფუძნებს „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის“ დადგენის წესის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 მარტის №62/ნ ბრძანებას და მიუთითებს, რომ მოსარჩელის შვილის სამედიცინო დოკუმენტაციაში აღნიშნული დიაგნოზი: დაუნის სინდრომი - Q90.0, არ წარმოადგენს შშ სტატუსის დადგენის საფუძველს. ხოლო სხვა გონებრივი ჩამორჩენილობის (რომელიც თან ახლავს სმენის, ან მხედველობის, ან მეტყველების, ან საყრდენი-მამოძრავებელი აპარატის გამოხატულ დარღვევებსა და ქცევის პათოლოგიურ ფორმებს) საფუძველით შშ სტატუსის მინიჭება ბავშვებში 12 წლის ასაკამდე შეუძლებელია. ამდენად, მოპასუხე შესაბამისი საექსპერტო კვლევის გარეშე აცხადებს უარს დასკვნის გაცემაზე, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე უარს (კვლევის

	ჩატარების გარეშე უარს ამბობს დასკვნის გაცემაზე), ეს კი ფორმალური ნიშნით უარის უკანონოებაზე მიუთითებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, სზაკ-ის მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ადმინისტრაციულმა ორგანომ ბავშვთან დაკავშირებული განცხადებისა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვას პრიორიტეტი უნდა მიაწიოს. ამდენად ფორმალური ნიშნით აქტის გამოცემაზე უარი - უკანონოა.
3.1.2. მატერიალური კანონიერება	ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის კანონიერებისა თუ უკანონობის დადგენისას უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის კანონიერების დასადგენად უნდა შემოწმდეს მოსარჩელის მოთხოვნის უფლების (ამ შემთხვევაში ინდ. აქტის გამოცემაზე მოსარჩელის უფლების) სამართლებრივი საფუძველი. როცა დგინდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე მოსარჩელის კანონიერი უფლება ან ინტერესი, ფაქტობრივად ამით დადგენილია აქტის გამოცემაზე უარით მოსარჩელის სუბიექტური უფლების ხელყოფის ფაქტი. მოსარჩელის კანონიერი უფლება ან ინტერესი - მოსარჩელის კანონიერი უფლებისა და ინტერესის არსებობა დგინდება მატერიალური სამართლის ნორმის საფუძველზე. კანონიერი უფლებისა და ინტერესის სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს კანონი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ნორმა, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება, ან ადმინისტრაციული ხელშეკრულება. განსახილველი კაზუსის შემთხვევაში კანონი ზუსტად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის (დაინტერესებული პირის უფლების წარმოშობის) სამართლებრივ საფუძვლებს. „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის 49-ე მუხლით, დაწესებულებაში შემოწმებას ექვემდებარება პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოში და რომელსაც დაავადების, ტრავმის,

ანატომიური ან გონებრივი დეფექტის შედეგად აქვს ორგანიზმის ფუნქციის დარღვევა ქმედობაუნარიანობის შეზღუდვით, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენას ან სხვა საექსპერტო დასკვნის მიღებას უკავშირებს სოციალურ დაცვაზე უფლების მინიჭებას ან შესაბამის ვალდებულებათა შესრულებისაგან გათავისუფლებას ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

კანონსაწინააღმდეგო უარი - ექსპერტიზის ჩატარებაზე და სტატუსის დადგენაზე უარი ჩაითვლება უკანონოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ის მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეესაბამება უარის თქმის საფუძვლებს ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა. პირველ რიგში უნდა აღნიშნოს, რომ კაზუსიდან არ იკვეთება უარის გამოცემის ვადის დარღვევა, მოსარჩელეს უარი წერილობით გადაეცა. შესაბამისად, სახეზე არ არის სასკ-ის 33.1 მუხლის ამ კომპონენტის დარღვევა.

კაზუსიდან ირკვევა, რომ შპს „ჯანმრთელობის ცენტრს“ ექსპერტიზა არ ჩაუტარებია. შესაბამისად, მან დასკვნის გაცემაზე უარი თქვა კანონით მისთვის განსაზღვრული ვალდებულების შესრულების გარეშე.

მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი - სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარებაზე უარი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ დიაგნოზი „დაუნის სინდრომი“ მოქმედი საკანონმდებლო ნორმების თანახმად არ წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის საფუძველს, ხოლო „სხვა გონებრივი ჩამორჩენილობის“ დიაგნოზით შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრა ვერ მოხდება ბავშვის ასაკის გათვალისწინებით.

საქართველოს სახელმწიფო „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის“ რატიფიცირებით გამოთქვა მზაობა, ქვეყნის სოციალური პოლიტიკა და პრაქტიკა დააფუძნოს მითითებულ საეთაშორისო დოკუმენტს, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის უზრუნველყოს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობა.

ამასთან, ჯერ კიდევ კონვენციის რატიფიცირებამდე, 2008 წლის 02 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცდა „შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია“. აღნიშნული დადგენილებით სახელმწიფო ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი სიკეთე – ფიზიკური და კულტურული გარემო, საცხოვრებელი პირობები, ტრანსპორტი, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურები, განათლება, დასაქმება, სპორტი და რეკრეაციის შესაძლებლობები – ყველასათვის ერთნაირად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამასთან მიუთითებს, რომ საჭიროა არა მარტო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სამართლებრივი უზრუნველყოფა, არამედ **მიზანდასახული პოლიტიკის განხორციელებაც**. პოლიტიკის განხორციელება კი, სასამართლოს აზრით, უდავოდ გულისხმობს პირის შესაძლებლობის შეზღუდუდობის შეფასების ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებულ სოციალურ მოდელს, ეს კვლევასა და მწყობრ, თანმიმდევრულ ხედვაზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას.

ბავშვთა უფლებების დაცვისა და მათზე ზრუნვის სფეროში მიზანმიმართული, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებული პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფისათვის, რაც ითვალისწინებს ბავშვებისათვის კეთილდღეობის სერვისების მიწოდებას და ამ სერვისების დეინსტიტუციონალიზაციას, საქართველოს პარლამენტის 09/02/2017წ. დადგენილებით დამტკიცდა „**ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის სახელმწიფო კონცეფცია**“ რომლის მიზანს წარმოადგენს ყველა ბავშვისათვის თანაბარი უფლებების რეალიზება ბავშვთა ადრეული განვითარების საჭიროებების დაკმაყოფილებით და მათი მშობლების მხარდაჭერით. **კონცეფციის II ნაწილის პირველი პუნქტი (ბავშვები, რომლებსაც ესაჭიროებათ ადრეული ჩარევის სერვისების მიწოდება) – „ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა“** მოიცავს სერვისებს, რომლებიც დამოკიდებულია სხვადასხვა სისტემის გამართულ და ეფექტიან ფუნქციონირებაზე. აღნიშნული ქვეპროგრამის მიზანია ბავშვის განვითარებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, აგრეთვე ოჯახის მხარდაჭერა. ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის ეროვნული სისტემა უზრუნველყოფს ადრეული ჩარევის სერვისების მიწოდებას და ბავშვთა განვითარების მხარდაჭერის ღონისძიებებს იმ ოჯახებისათვის, რომლებსაც ჰყავთ 7 წლამდე ასაკის (მცირეწლოვანი) ბავშვები, რომლებსაც აქვთ განვითარების შეფერხება, რომელიც დაადგინა

სპეციალისტმა შეფასების დამტკიცებული ინსტრუმენტების მეშვეობით. განვითარების შეფერხება მოიცავს აღქმასთან დაკავშირებული (პერცეფციული – სმენის/მხედველობის/შეხების), ნატიფი ან/და უხეში მოტორული, კომუნიკაციის, მეტყველების, კოგნიტური, სოციალური, ემოციური, ადაპტაციური და თავის მოვლის უნარების განვითარების შეფერხებას („ა“ ქვ/პ; ბ) გონებრივი ან ფიზიკური უნარების შეზღუდვის გამომწვევი ნოზოლოგიის დიაგნოზი ან ფუნქციონირების პრობლემები, რომლებიც დაადგინა სპეციალისტმა შეფასების დამტკიცებული ინსტრუმენტების მეშვეობით („ბ“ ქვ/პ); ისეთი გენეტიკური ან ბიოლოგიური მდგომარეობა, როგორიც არის დაუნის სინდრომი (Down syndrome), რეტის სინდრომი (Rett syndrome), ანგელმანის სინდრომი (Angelman syndrome), ცერებრული დამბლა და სხვა („გ“ ქვ/პ).

კონცეფციის II ნაწილის მე-2 პუნქტი, ადრეული ჩარევის რესურსები - ადრეული ჩარევის სერვისებს საქართველოში ორგანიზებას უწევს და აფინანსებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2009 წლიდან, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით, რომელიც მოიცავს „ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამას“. მე-3 პუნქტით (ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა), „ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის“ მიზანია ადრეული ჩარევის სერვისების მიწოდების გზით შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების შეფერხების ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება, მათი სკოლამდელ და საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვებისა და მათი ოჯახების გაძლიერება, ბავშვთა შესაძლებლობების შეზღუდვის და მათი მიტოვების პრევენცია. ზემოაღნიშნული ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფში შედიან (ბენეფიციარები არიან) განვითარების შეფერხების ან ასეთი რისკის მქონე **7 წლამდე** ასაკის (მცირეწლოვანი) ბავშვები, რომლებსაც აღენიშნებათ პედიატრის/ოჯახის ექიმის, ნევროლოგის ან სხვა ექიმ-სპეციალისტის მიერ გამოვლენილი განვითარების ეტაპების შეფერხება (ნატიფი ან/და უხეში მოტორული, კომუნიკაციის, მეტყველების, კოგნიტური, სოციალური და ემოციური სფეროების განვითარების და ადაპტაციური ქცევის პრობლემები), შეზღუდული შესაძლებლობა ან მისი განვითარების რისკი, რაც დადასტურებულია „ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამით“

გათვალისწინებული დიაგნოზებით. 3.7 პუნქტის მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისათვის საქართველოში ბავშვებისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება ხდება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“, მიზნობრივი (დაავადებებზე ორიენტირებული) პროგრამისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის საშუალებით. მათში ინტეგრირებულია მიზნობრივი ადრეული ჩარევის სერვისები: ა) საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა განუყოფელია. „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა“ მოიცავს სერვისებს, რომლებიც მიმართულია როგორც მუცლადყოფნის პერიოდში, ისე დაბადების შემდეგ ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისკენ. ამგვარად, ეს სერვისები ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობი ფაქტორებია: ბ) „დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება 1 წლიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა, რაც მოიცავს ბავშვის ნატიფი და უხეში მოტორული, ექსპრესიული და რეცეპტული მეტყველების, კომუნიკაციის, შემეცნებითი და თვითმომსახურების უნარების შეფასებას, ბავშვის ფსიქიკური განვითარების ასაკობრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენას, დიაგნოსტირებულ ბავშვებში ჩარევისა და განვითარების ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას.

ამდენად, სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, მათ შორის შშ ბავშვთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას აქცენტი უდავოდ გადატანილია ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე. შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს სტატუსის მინიჭების წესისა და მეთოდოლოგიის სრულყოფაზე, პირის ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენასა და შეფასებაზე.

შეზღუდული შესაძლებლობის ცნების ამომწურავ განმარტებას კონვენცია არ იძლევა. იგი მხოლოდ ზოგადი განმარტებით შემოიფარგლება, რომლის მიხედვითაც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით,

რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებებთან შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში. კონვენციაში **შეზღუდული შესაძლებლობის შინაარსის** გაგება არსებითად გადმოსცემს დოკუმენტის მთავარ ხედვას, რამდენადაც შეზღუდულ შესაძლებლობას ის განმარტავს, როგორც ჯანმრთელობის დარღვევის მქონე პირების, მათ მიმართ დამოკიდებულებისა და გარემო ბარიერების ურთიერთქმედების შედეგს. ეს კი თავისმხრივ, აფერხებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასეთი პირების თანასწორ, სრულყოფილ და ეფექტურ მონაწილეობას. შესაბამისად, კონვენცია შესაძლებლობის შეზღუდვას განიხილავს, როგორც ადამიანსა და გარემოს ურთიერთმიმართების შედეგს და მას არ უკავშირებს ნოზოლოგიას, რითაც არსებითად ცვლის სამედიცინო მიდგომას, სოციალურ მოდელზე დაფუძნებული ხედვით. UNCRPD-ის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობა განვითარებადი კონცეფციაა. მისი შინაარსი სხვადასხვა სოციალური გარემოს გათვალისწინებით, შესაძლოა დაექვემდებაროს მოდიფიცირებას და სათანადო ცვლილებას ეროვნულ კანონმდებლობაში.

კაზუსის მიხედვით მოსარჩელის შვილს დადგენილი აქვს „დაუნის სინდრომი Q90.0 განვითარების ეტაპების ჩამორჩენა“, რაც ავალდებულებდა მოპასუხე დაწესებულებას მიმართვის საფუძველზე შშმ ბავშვის სტატუსის დადგენის მიზნით დასკვნის გასაცემად ჩაეტარებია ექსპერტიზა, ვინაიდან „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვითაც სტატუსის მოპოვება სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის საფუძველზე მომზადებული დასკვნით ხდება, რომელსაც 18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება გასცემს „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის“ სტატუსის დადგენის წესის შესახებ ინსტრუქციის მიხედვით. შესაბამისად, მოქმედი რეგულაციით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზზე მიბმული და არ ითვალისწინებს სხვა სოციალური და გარემო ფაქტორებით განპირობებულ დაბრკოლებებს, რომელთა ურთიერთმიმართებამ შესაძლოა შესაძლებლობის შეზღუდვა გამოიწვიოს. **სტატუსის მინიჭება სახელმწიფოსთვის წარმოადგენდეს საკუთარი მოქალაქეების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენისა და შეფასების საშუალებას.**

ამდენად, მოპასუხის უარის დასაბუთება, რომ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვს შშმ პირის სტატუსი მხოლოდ კონკრეტული სამედიცინო დიაგნოზის საფუძველზე მიენიჭება, რომელთა ჩამონათვალშიც დაუნის სინდრომი არ არის შეტანილი, არის უსაფუძვლო. დაავადებათა ჩამონათვალში აღნიშნული ვერ იქნება შეტანილი, რამდენადაც დაუნის სინდრომი არ განიხილება დაავადებად, არამედ ესაა ქრომოსომათა რაოდენობის ცვლილებით განპირობებული ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა, რომელიც წარმოადგენს სინდრომს (ერთობლივად გამოვლენილი ნიშნების კომბინაციას, რომლებსაც საერთო მიზეზი აქვთ). დაუნის სინდრომის დროს თანდართულ დაავადებებს მიეკუთვნება სხვადასხვა პათოლოგიები (გულის თანდაყოლილი მანკი, ბავშვობის პერიოდის ლეიკემია, მხედველობისა და სმენის პრობლემები, საჭმლის გადამუშავების პრობლემები, სხვადასხვა ხარისხის გონებრივი ჩამორჩენილობა, რაც დაკავშირებულია, როგორც ბიოლოგიურ ფაქტორებთან ასევე ბავშვის რეაბილიტაციასთან. დაუნის სინდრომის ქონა თავისთავად გულისხმობს **გარკვეული ფუნქციური უნარების დარღვევას, რომელთა ხარისხი, რაც შეიძლება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განმსაზღვრელი გახდეს**, ინდივიდუალური შეფასების საგანია. ამ მიმართებით ხაზგასასმელია, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი უნდა იღებდეს თავის საჭიროებაზე მორგებულ ყველა საჭირო სერვისს. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში რეალიზდება თუ სხვადასხვა მომსახურების დაგეგმვა მოხდება საჭიროებების კვლევაზე დაფუძნებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე პრიორიტეტულია **ბავშვებისათვის შესაბამისი სტატუსის დროულად მინიჭება**, მათთვის არა ერთი, არამედ რამდენიმე სერვისის (მაგალითად: სახელმწიფო და მუნიციპალური სოციალური პროგრამების, სარეაბილიტაციო კურსის, მედიკამენტების თუ სხვა) მიწოდება. მოქმედი საკანონმდებლო ცალსახად არ უარყოფს 3 წლამდე ასაკის, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვისთვის შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის მიზნით სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას. შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოებს არ ჰქონდათ მოქმედი საკანონმდებლო აქტების მოსარჩელის საზიანოდ განმარტების უფლება.

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით, **18 წლის ასაკის მიღწევამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს**

უდგინდება კატეგორია „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული წესის შესაბამისად (ნაწილი მეხუთე). კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დაწესებულება ადგენს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსს სხვადასხვა მიზეზებით - მიზეზები კი კვლევის შედეგად უნდა დადგინდეს.

„შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი“ დადგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 17 მარტის N62/ნ ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩასატარებლად დაწესებულებას მიმართავს პირი, ყველა საჭირო სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ღონისძიებების ჩატარებისათვის, ამ ინსტრუქციის IV თავში მითითებული დაავადებებისა და დეფექტების არსებობის შემთხვევაში, ხოლო მე-8 მუხლის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულებას, 18 წლამდე ასაკის პირზე კატეგორიის - „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი“ დადგენის შესახებ დასკვნა გამოაქვს ამ ინსტრუქციის IV თავში მითითებული ნუსხის შესაბამისად: 2 წლის ვადით, 5 წლის ვადით და ერთჯერადად 18 წლის ასაკის მიღწევამდე, პათოლოგიური მდგომარეობის სიმძიმის, სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარების შედეგად ორგანიზმის სისტემებისა და ორგანოთა დარღვეული ფუნქციების აღდგენის ან გაუმჯობესების პროგნოზიდან გამომდინარე.“ ინსტრუქციის IV თავი მოიცავს დაავადებებისა და დეფექტების ნუსხას, რომლებიც წარმოადგენენ 18 წლამდე ასაკის პირთათვის „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი“ და „სხვა პირის მუდმივი დახმარების საჭიროების მქონე“ დადგენის საფუძველს.

ზემოთ მოხმობილი სამართლებრივი ნორმების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ არც „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი“ დადგენის წესის შესახებ ინსტრუქცია და არც „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონი არ აწესებს აკრძალვას, რომლის მიხედვითაც 18 წლამდე ასაკის ბავშვი, მათ შორის 2 წლის ასაკის ბავშვიც, არ შეიძლება დაექვემდებაროს შესაძლებლობის შეზღუდვის შესახებ შესაბამისი

	სამედიცინო ექსპერტიზის გავლას. დაუნის სინდრომს შესაძლოა ახლდეს სხვადასხვა სახის პათოლოგიები, რომლებიც იწვევს შესაძლებლობის შეზღუდვას, თანახმად „ინსტრუქციის“ მე-14-16 მუხლებისა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხის უარი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის მიზნით სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარებაზე _ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს და ზღუდავს ამ აქტებით გარანტირებულ უფლებებს.
	აქვე გასათვალისწინებელი საკითხია, რომ: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებულების თაობაზე, სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი, მატერიალურ-სამართლებრივი მსჯელობისას მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რა იგულისხმება ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებაში. აქტის გამოცემის მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას მოწმდება აქტის გამოცემის ფაქტიური და სამართლებრივი წინაპირობები - ანუ გვაქვს თუ არა სახეზე ფაქტობრივი გარემოებები, რაც სამართლებრივად ქმნის მოთხოვნილი აქტის გამოცემის საფუძველს. ასეთი შემოწმების შედეგებს უნდა ეყრდნობოდეს ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე, თუმცა არცთუ იშვიათია პრაქტიკასი შემთხვევები, როცა ადმინისტრაციული ორგანო არ იკვლევს საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველებს და ისე ამბობს უარს აქტის გამოცემაზე (არც ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას ან ატარებს არასრულყოფილად). როცა საქმე გვაქვს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან უმოქმედებით უართან (ეს ის შემთხვევაა, როცა ორგანო კანონით დადგენილ ვადაში არ გამოსცემს აქტს, - ითვლება რომ უარია (თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი), ასეა სზაკ-ის 177.2 მუხლით, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით). აქ აშკარაა, რომ ორგანოს არ აქვს შესწავლილი აქტის გამოცემის ფაქტიური და სამართლებრივი საფუძველები. მნიშვნელოვანია დადგინდეს ორგანოს საერთოდ არ აქვს შესწავლილი აქტის გამოცემის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი თუ არასრულყოფილად აქვს შესწავლილი. ორივე შემთხვევაში სასამართლო გამოიკვლევს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივი მხარე, რის შედეგადაც ადგენს აქტის გამოცემის შესაძლებლობას და ავალებს ორგანოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი აქტი გამოცემას. რიგ შემთხვევებში აუცილებელი ხდება საქმის სპეციფიკური გარემოებების შესწავლა-გაანალიზება, რომელიც მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს ხელეწიფება. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვერ ჩაანაცვლებს ადმინისტრაციულ ორგანოს, ასეთი მიდგომა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უგულებელყოფა იქნებოდა. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დაადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის უკანონობას და ამით მხარის სუბიექტური უფლების ხელყოფას, ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

კანონი ასევე ითვალისწინებს სასამართლოს მიერ თავისი განჩინებით სადავო საკითხის მოწესრიგებას. „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების მმართველობითი ფუნქციების განხორციელების სამართლებრივი ფორმა. როგორც წესი, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მმართველობითი ფუნქციების განხორციელებაზე, ის ვერ შეითვისებს ამ ფუნქციებს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი გამონაკლისის სახით უშვებს სადავოდ ქცეული მმართველობითი ფუნქციების სასამართლოს მიერ განხორციელების შესაძლებლობას, მთელი რიგი წინაპირობების დაცვით. სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას, ამასთანავე, საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას... სასამართლო თავისი განჩინებით მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაწესრიგებს სადავო საკითხს, როდესაც საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია გადაწყვეტილების სწრაფი მიღება და მისი გადაგზავნა ადმინისტრაციული ორგანოსათვის გაუმართლებელი იქნებოდა. რაც შეეხება ღონისძიების სამართლებრივ ფორმას, სასამართლოს მიერ სადავო საკითხი წესრიგდება არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, არამედ განჩინების სახით, რაც ზღუდავს მესამე პირების შესაძლებლობას, გამოიყენონ სასკ-ით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილი უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები. სწორედ ეს თავისებურებაც მიუთითებს სასამართლოს მხრიდან სადავო საკითხის განჩინებით მოწესრიგების საგამონაკლისო ხასიათზე“²⁸

დასკვნა	კაზუსის მიხედვით არ არის დაცულია აქტის გამოცემაზე უარის მატერიალური კანონიერების კრიტერიუმები.
4. კაზუსის შემაჯამებელი დასკვნა	
წინოს სარჩელი მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით საფუძვლიანია. წინოს მიერ სწორად არის შერჩეული უფლების დაცვის საშუალებად სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის შეტანა და მისი მოთხოვნა არის დასაბუთებული.	

²⁸ კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., პაატა ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, გვ: 350-351.

3.2. კაზუსები შესაფასებლად

3.2.1. კაზუსი შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე

კაზუსი:

2022 წლის 5 ნოემბერს სამტრედიის შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა მოქალაქე ს.ბ.-ს მიმართ გამოსცა შემაკავებელი ორდერები №012345 და №012346 მისი მეუღლის თ.ფ.-სა და შვილის 6 წლის ლ.ბ.-ს მიმართ ძალადობის გამო. თ.ფ.-ს მიმართ შემაკავებელი ორდერი გამოიცა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე, ხოლო ლ.ბ.-ს მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე.

შემაკავებელი ორდერით მოძალადე ს.ბ.-ს აეკრძალა იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლნი თ.ფ. და ლ.ბ. იმყოფებიან, მათ შორის მათ საცხოვრებელ ადგილთან, სამუშაო ოფისთან და სასწავლო დაწესებულებასთან მიახლოება. აეკრძალა მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართითა და მსუბუქი ავტომანქანით სარგებლობა. შემაკავებელი ორდერი გამოიცა 30 დღის ვადით და ის გადაეცა მოსარჩელეს გამოცემისთანავე - 2022 წლის 5 ნოემბერს. შემაკავებელი ორდერი ს.ბ.-ს არ გაუსაჩივრებია.

2022 წლის 10 ნოემბერს ს.ბ.-მ განცხადებით მიმართა სამტრედიის შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს და იმ მოტივით, რომ ის შეურიგდა მეუღლეს ითხოვა შემაკავებელი ორდერის ვადაზე ადრე გაუქმება ამასთან აღნიშნა, რომ ის მეუღლის მიმართ ყოველთვის მზრუნველობით გამოირჩეოდა, თუმცა თ. ფ. უკმაყოფილო იყო ოჯახის მატერიალური მდგომარეობით, რაც მეუღლეებს შორის კამათს იწვევდა. ასეთი კამათს ჰქონდა ადგილი 2022 წლის 5 ნოემბერსაც, როცა თ.ფ.-მ დასახმარებლად პოლიციას მიმართა. თანაცხოვრებისას თ.ფ. მუდმივად ემუქრებოდა მას (ქმარს), რომ ნებისმიერ მომენტში შეეძლო დაერეკა პოლიციაში და მას მისცემდნენ პასუხისგებაში, რაც საბოლოოდ გააკეთა კიდეც. თ.ფ.-მ მის წინააღმდეგ განაწყო შვილიც, რაც არასრულწლოვანს ფსიქოლოგიურ ტრავმას აყენებს. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მას მეუღლეზე არ უძალადია, მითუმეტეს არ უძალადია შვილზე და 5 დღით ის აკრძალვები, რაც შემაკავებელი ორდერით მას განესაზღვრა, საკმარის ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს. მითუმეტეს, რომ მას შეზღუდული აქვს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრებით სარგებლობის უფლება და სხვა საცხოვრებელი სახლი მას არ აქვს.

პოლიციის სამმართველოში ს.ბ.-ს განცხადების საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, რის შესახებაც ეცნობა თ.ფ.-ს. თ.ფ.-მ განცხადებასთან

დაკავშირებით წარადგინა თავისი წერილობითი მოსაზრება, სადაც აღნიშნა, რომ ის შეურიგდა მეუღლეს, აპატია მას თავისი საქციელი და თანახმაა, რომ გაუქმდეს შემაკავებელი ორდერით დაწესებული აკრძალვები. რაც შეეხება მის არასრულწლოვან შვილს, თ.ფ. განმარტავდა, რომ ის სარგებლობდა ფსიქოლოგის მომსახურებით, რომელი კურსიც ჯერ არ იყო დასრულებული, ბავშვს ჰქონდა გარკვეული შიშები მამის მიმართ, თუმცა ეს იყო მოგვარებადი და შემაკავებელი ორდერის გაუქმება უარყოფითად არ იმოქმედებდა მასზე. პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი გამოცხადდა ბავშვის საცხოვრებელ მისამართზე მასთან გასაუბრების მიზნით, თუმცა ბავშვმა უარი განაცხადა მასთან კომუნიკაციაზე.

სამტრედიის შინაგან საქმეთა რაიონულმა სამმართველომ არ დააკმაყოფილა ს.ბ-ს განცხადება შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე.

დავალება: შეაფასეთ პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა.

3.2.2. კაზუსი შემაკავებელი ორდერის გამოცემის თაობაზე

კაზუსი:

2021 წლის 1 თებერვალს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართეს ო. ლ-მ და მისმა 12 წლის შვილმა - ნ.ნ-მ, რომლებმაც მოითხოვეს ა.ნ.-სა (განმცხადებელ ო.ლ-ს ქმრის და განმცხადებელ ნ.ნ-ს მამის) და ბ.ნ-ს (განმცხადებელ ო.ლ-ს მამამთილის და განმცხადებელ ნ.ნ-ს პაპის) მიმართ დამცავი ორდერის გამოცემა 9 თვის ვადით, შემდეგი პირობებით: მოძალადეებს - ა.ნ.-სა და ბ.ნ -ს აეკრძალოთ ო.ლ-სა და ნ.ნ-ს საცხოვრებელ, სამუშაო, სასწავლო დაწესებულებებთან და სხვა იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც ისინი იმყოფებიან; მოძალადეებს ასევე აეკრძალოთ მსხვერპლებთან ნებისმიერი ფორმით, პირადად ან/და სატელეფონო/სოციალური ქსელითა და მესამე პირების მეშვეობით კომუნიკაცია.

განმცხადებლების განმარტებით, ო. ლ. 2007 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება ა.ნ.-სთან. ჰყავთ ორი შვილი, ვაჟი - 13 წლის და გოგონა (განმცხადებელი ნ.ნ. - 12 წლის). მეუღლეები ცხოვრობდნენ ა.ნ.-ს მშობლებთან ერთად. თანაცხოვრების პერიოდში ადგილი ჰქონდა უთანხმოებას და კონფლიქტებს, თუმცა, ამის მიუხედავად არასოდეს უფიქრია მეუღლესთან დაშორება. ის წლების მანძილზე მუშაობდა თურქეთის რესპუბლიკაში, რათა

ფინანსურად უზრუნველყო ოჯახი, ამ პერიოდში შვილებს მზრუნველობდა მისი მეუღლე, ბავშვების მამა - ა.ნ. და მისი მშობლები (ბავშვების ბებია და პაპა).

კოვიდპანდემიის გამო ო.ლ. დაბრუნდა საქართველოში, რა დროსაც მისი არასრულწლოვანი შვილი, ნ.ნ. გამოუტყდა, რომ პაპის - ბ.ნ-ს მხრიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა სექსუალური ხასიათის ქმედებას. მან კონსულტაცია გაიარა ბავშვის უფლებებზე მომუშავე ადვოკატთან, შემდეგ კი აღნიშნულის თაობაზე უამბო თავის მეუღლეს, რომელმაც განაცხადა, რომ თავად მოაგვარებდა ყველაფერს, თუმცა მოხდა პირიქით - განმცხადებლები (დედა-შვილი) გახდნენ ა.ნ-სა და ბ.ნ-ს მხრიდან ძალადობის მსხვერპლნი. კერძოდ ა.ნ. ფიზიკურად გაუსწორდა მას (ო.ლ-ს) და მის შვილს ნ.ნ-ს, რის გამოც ა.ნ.-სა და ბ.ნ. მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერები, რომლითაც მოძალადეებს აეკრძალა მსხვერპლებთან მიახლოება და მათთან კომუნიკაცია. ასევე, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ოჯახური ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ფაქტზე.

განმცხადებლის განმარტებით, სწორედ შემაკავებელი ორდერებით დააღწიეს თავი ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობას მან და მისმა არასრულწლოვანმა შვილმა. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება და ელოდებიან შესაბამისი ექსპერტიზის შედეგებს.

განმცხადებლების მითითებით, ვინაიდან შემაკავებელ ორდერებს ეწურება ვადა და კვლავ არსებობს მეუღლისა და მამამთილის მხრიდან ძალადობის განხორციელების საფრთხე, გამუდმებით არიან შიშის ქვეშ, ამასთან ყოველდღიურად ეხმიანებიან ნათესავები და ინტერესდებიან, თუ რას გეგმავს მომავალში მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით, თვლიან რომ არსებობს მოძალადეებისაგან მათი დაცვის შემდგომი საჭიროება, რასაც უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ დამცავი ორდერის გამოცემა.

დავალება: იმსჯელეთ აღწერილ შემთხვევაზე და განსაზღვრეთ მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიების გამოყენების საჭიროება და შეაფასეთ რამდენად აქვს განმცხადებლების მოთხოვნას წარმატების პერსპექტივა.

3.2.3. კაზუსი ბავშვის ოჯახისაგან განცალკავების თაობაზე

კაზუსი:

2023 წლის 4 თებერვალს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს რეგიონულმა ცენტრმა (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო) შუამდგომლობით მიმართა

სამტრედიის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა არასრულწლოვნის - რ.ბ.-ს (დაბადების თარიღი 05.05.2008 წ.) ბიოლოგიური ოჯახისაგან (მშობლებისაგან, მამის - ვ.ბ.-სა და დედის - თ.ბ.-საგან) განცალკევების ვადის გაგრძელება ბავშვის უსაფრთხოების, განვითარების, ფსიქო-ემოციური ფონის სტაბილიზაციისა და მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, არსებული პრობლემის აღმოფხვრამდე.

შუამდგომლობა ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს: სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს რეგიონული ცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე ბავშვი, მამის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური ძალადობის გამო, განცალკევებულია მშობლებისაგან სამი თვით (2023 წლის 7 თებერვლამდე) და იმყოფება მინდობით აღზრდაში.

განცალკევებამდე არასრულწლოვანი რ.ბ. მშობლებთან და მცირეწლოვან დაძმებთან ერთად ცხოვრობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ არგოში. 2022 წლის ოქტომბრის ბოლოს სოციალურმა მუშაკმა, სამსახურში შესული ინფორმაციის საფუძველზე, დაიწყო არასრულწლოვან რ.ბ.-სთან მუშაობა, რა დროსაც გამოირკვა, რომ მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე რ.ბ.-ს მიმართ განხორციელებული შესაძლო გაუპატიურების ფაქტზე დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. აღნიშნულ საქმეზე არასრულწლოვანი რ.ბ. მოწმის სახით გამოიკითხა, საპროცესო წარმომადგენლის და ფსიქოლოგის თანდასწრებით. მოპოვებული ინფორმაციით, არასრულწლოვნის მიმართ განხორციელდა სრულწლოვანი მამაკაცის მხრიდან სავარაუდო სექსუალური ძალადობა, რაც გაიგო არასრულწლოვნის მამამ და შვილზე ფიზიკურად იძალადა.

ძალადობის ფაქტზე მამის მიმართ დაიწყო გამოძიება და არასრულწლოვანი სამედიცინო დათვალიერების მიზნით, გადაყვანილ იქნა ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში, რა დროსაც ის გახდა შეუძლოდ. ჰქონდა ცხვირიდან სისხლდენა და თავის ტკივილები, რის გამოც სოციალური მუშაკის მიმართვით მოხდა საექსპერტო გამოკვლევის შეწყვეტა და სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ არასრულწლოვანი იქნა ჰოსპიტალიზებული. ჩაუტარდა სრული სამედიცინო კვლევა. ფორმა №IV-100/ა მიხედვით არასრულწლოვანს აღენიშნებოდა, სხეულის დაუზუსტებელი უბნების ზედაპირული ტრავმა, სისხლდენა ცხვირიდან, ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალო სიმძიმის. არასრულწლოვანი მომხდარი ფაქტის გამო თავს გრძნობდა შეუძლოდ, მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა იყო არასტაბილური. ოჯახის მხრიდან ძალადობის გამო ჰქონდა სუიციდური მცდელობაც. არასრულწლოვანთან საუბრისას იკვეთებოდა, რომ მასზე არ ზრუნავდნენ, არ უშვებდნენ სკოლაში,

მეგობრებთან, ნათესავებთან, არ აძლევდნენ ტელეფონით სარგებლობის უფლებას და არ ჰქონდა ინტერნეტთან წვდომა.

მამის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური ძალადობის გამო ბავშვს ჰქონდა მრავლობითი დაზიანებები, ესაჭიროებოდა მედიკამენტები, მზრუნველობა, ყურადღება, რასაც ოჯახი მის მიმართ ვერ ახორციელებდა.

არასრულწლოვანი აცხადებდა, რომ არ სურდა ცხოვრება ბიოლოგიურ ოჯახთან, რადგან დედ-მამის ეშინოდა, ხოლო და-ძმების ერიდებოდა, რადგან მშობლები მუდმივად მასზე საუბრობდნენ. ბავშვი თვლის, რომ მის მიმართ არ გამოიჩენენ სათანადო მზრუნველობას და თანადგომას. ოჯახში დაბრუნების შემთხვევაში თავს იგრძნობდა დაუცველად. ვარაუდობდა, რომ კვლავ განხორციელდებოდა მის მიმართ სხვადასხვა სახის ძალადობა. განცალკევების ვადაში ბავშვის სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით, ვერ ხერხდებოდა მისი დაბრუნება ბიოლოგიურ ოჯახში.

2023 წლის 01 თებერვალს არასრულწლოვანმა რ.ბ-მ განცხადებით დაფიქსირა, რომ არ იყო მზად ოჯახში დაბრუნებისთვის, კვლავ ესაჭიროებოდა ფსიქოლოგის მომსახურება. ბავშვს სოციალური სამსახურისაგან შეეთავაზა მსხვერპლ ბავშვთა ინტეგრირებული მომსახურების ცენტრში ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციის კურსის გავლა, რაზედაც ის დათანხმდა. რ.ბ. საუბარში აღნიშნავს, რომ მინდობით აღმზრდელთან აქვს მეგობრული ურთიერთობა, ის აქტიურად ეხმარება მძიმე ემოციური მდგომარეობის დაძლევაში, შექმნილი აქვს მყუდრო ოჯახური გარემო, გრძნობს მზრუნველობას, ხელს უწყობენ მის ფსიქოლოგიურ გაჯანსაღებას, განათლებას, ფიზიკურ და სოციალურ აქტივობას. თავს გრძნობს უსაფრთხოდ.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით სოციალურ სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია რ.ბ.-ს ბიოლოგიური ოჯახისაგან (მშობლებისაგან, მამის - ვ.ბ-სა და დედის - თ.ბ-საგან) განცალკევების ვადა გაგრძელება არსებული პრობლემის აღმოფხვრამდე.

დავალება: შეაფასეთ ბავშვის ოჯახისაგან განცალკევების და შუამდგომლობის საფუძვლიანობა.

3.2.4. კაზუსი სასამართლოში წარმომადგენლობის თაობაზე

კაზუსი:

2023 წლის 1 მარტს მ.ზ-მ განცხადებით მიმართა ვანის მაგისტრატ მოსამართლეს და მოითხოვა მისი 14 წლის შვილის გ.ფ-ს ძალადობისაგან დაცვის მიზნით, ბავშვის მამინაცვლის ლ. ზ-ს მიმართ დამცავი ორდერის გამოცემა შემდეგი პირობებით: 3 თვის ვადით მოძალადე გარიდებული იქნეს არასრულწლოვნისაგან და ამ მიზნით შეეზღუდოს იმ საცხოვრებელი ბინით სარგებლობა, სადაც არასრულწლოვანი ცხოვრობს, არ მიუახლოვდეს არასრულწლოვანს და იმ ადგილებს სადაც ის იმყოფება, არ იქონიოს მასთან სატელეფონო ან/და სოციალური ქსელით კომუნიკაცია, დავალდებულდეს მოძალადე ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლაზე.

განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მამინაცვალი ძალადობდა ბავშვზე. მუდმივად შეახსენებდა რომ ის იყო მხოლოდ მ.ზ.-ს შვილი და ამიტომ მადლიერება უნდა გამოეხატა მამინაცვლის მიმართ რომ ის არჩენდა მას და უზრუნველყოფდა ნორმალური საცხოვრებელი პირობებით. ასევე ეუბნებოდა, რომ უნდა ჩაეცვა ისე როგორც ეს მას (ლ.ზ-ს) მოეწონებოდა, თმა უნდა შეეჭრა მოკლედ, რადგან გრძელი თმა მხოლოდ ქალს შეეფერებოდა, სთხოვდა, რომ მამისთვის წერილების მას შემდეგ გაეგზავნა, რაც ის წაიკითხავდა. ასევე კითხულობდა მამის მიერ ბავშვისთვის გამოგზავნილ წერილებს. მამინაცვალი ხშირად იგინებოდა ბავშვის მამის მისამართით. უყვიროდა ბავშვს და არ აძლევდა კომპიუტერის გამოყენების საშუალებას ხანგრძლივი დროის მანძილზე, თუკი ბავშვი მოისურვებდა მამის ოჯახში წასვლას და იქ თუნდა ერთი ღამით დარჩენას, აუგად მოიხსენიებდა მამის დედ-მამას (ბავშვის ბებიასა და პაპას), რომლებიც მზრუნველობას იჩენდნენ ბავშვის მიმართ. ხშირად ეუბნებოდა ბავშვს, რომ მამა, რომელიც მძიმე სენით იყო დაავადებული (რასაც ბავშვი ისედაც განიცდიდა) მალე მოკვდებოდა და ამის შემდეგ ის ბებიასა და პაპას არც კი გაახსენდებოდა.

განმცხადებელმა მოითხოვა ბავშვისთვის ადვოკატის დანიშვნა სახელმწიფოს ხარჯზე იმის გამო, რომ განმცხადებელი არ მუშაობდა და ვერ უზრუნველყოფდა ბავშვისთვის ადვოკატის დაქირავებას.

ვანის მაგისტრატმა მოსამართლემ მიიღო განცხადება განსახილველად და 2023 წლის 2 მარტის განჩინებით უარი უთხრა განმცხადებელს მოთხოვნაზე, რომელიც ბავშვისთვის ადვოკატის დანიშვნას შეეხებოდა. სასამართლომ მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა განცხადება და 2023 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით უარი უთხრა განმცხადებელს ბავშვის დამცავი ორდერის გამოცემაზე. სასამართლომ მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მისი

გამოტანიდან 24 საათში გადაუგზავნა განმცხადებელს.

ვანის მაგისტრატის მოსამართლის გადაწყვეტილება 2023 წლის 20 მარტს სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა გ.ფ-მ. მან მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და დამცავი ორდერის გამოცემა ფ.ზ-ს წინააღმდეგ იმ პირობებით, რაც მისი დედის მ.ზ.-ს განცხადებაში იყო მითითებული. გ.ფ-მ ითხოვა მისთვის ადვოკატის დანიშვნა სახელმწიფოს ხარჯზე.

სააპელაციო სასამართლომ გ.ფ.-ს საჩივარი დაუშვებლობის გამო დატოვა განუხილველი და მიუთითა, რომ საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა მ.ზ., რომელიც გ.ფ.-ს კანონიერი წარმომადგენელი იყო. ამასთან პირველი ინსტანციის სასამართლოშიც განცხადება შეტანილი ჰქონდა მ.ზ.-ს და სწორედ მას ეთქვა უარი დამცავი ორდერის გამოცემაზე. გარდა ამისა, დარღვეული იყო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, რადგან დამცავი ორდერის გამოცემაზე უარის თქმის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას ექვემდებარებოდა მისი გამოტანიდან 3 დღეში. გ.ფ-ს კი 2023 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება გასაჩივრებული ჰქონდა 2023 წლის 20 მარტს - გადაწყვეტილების გამოტანიდან მე-6 დღეს.

დავალება: შეაფასეთ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების კანონშესაბამისობა

3.2.5. კაზუსი დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე

კაზუსი:

2020 წლის 4 ივნისს ფოთის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა ქ.ლ-მ და მოითხოვა მისი 6 წლის შვილის ი.ლ-ს დაცვის მიზნით, ბავშვის მამის ს.ლ-ს მიმართ დამცავი ორდერის გამოცემა შემდეგი პირობით: *მსხვერპლი - არასრულწლოვანი ი. ლ. (დაბადების ადგილი - მოლდოვა, მოლდოვის მოქალაქე) განცალკევდეს მამის - ს.ლ-საგან და გადაეცეს დედას - ქ. ლ-ს.*

განმცხადებელმა მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: იგი არის მოლდოვის რესპუბლიკის მოქალაქე. არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ამავე რესპუბლიკის მოქალაქე ს.ლ-სთან. თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ვაჟი -ი.ლ. შვილის მამა მასზე ძალადობდა ბავშვის თანდასწრებით, რის გამოც ის იძულებული გახდა შვილთან ერთად საცხოვრებლად გადასულიყო მოლდოვაში მშობლებთან. 2017 წელს ს.ლ - მ ბავშვი თავისთან წაიყვანა მცირე დროით,

დედასთან დაბრუნების პირობით, თუმცა ქალზე შურისძიების მოტივით, შემდგომში უარი განაცხადა ბავშვის დედასთან დაბრუნებაზე. განმცხადებელმა მოლდოვაში აღძრა დავა ბავშვის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელის განსაზღვრის თაობაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო ს.ლ. დავალდებულდა დაუყოვნებლივ დაებრუნებინა ბავშვი დედისთვის. გადაწყვეტილების ეს ნაწილი მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელის შეშლის მიზნით, ს.ლ-მ ბავშვი გაიყვანა მოლდოვიდან და გააგრძელა დავა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, ამის პარალელურად მოლდოვის სამართალდამცავ ორგანოებში შეიტანა განცხადება არასრულწლოვანი ბავშვის მიმართ დედის მხრიდან შესაძლო ძალადობის განხორციელების თაობაზე. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად არ დადასტურდა ბავშვზე დედის მხრიდან ძალადობის ფაქტები.

ს.ლ-ს ადგილსამყოფლის დადგენის შემდგომ, კანონით გათვალისწინებული პროცედურების გავლის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შუამდგომლობით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს არამართლზომიერად გადაადგილებული და დაკავებული ბავშვის მოლდოვაში დედასთან დაბრუნების თაობაზე. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საქმის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, საქმეზე დაინიშნა ექსპერტიზა ბავშვზე შესაძლო ძალადობის კვლევის საკითხთან დაკავშირებით. საქმის გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის საფუძველზე სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად დადგენილად მიიჩნია, რომ ბავშვის მიერ მოყოლილი ინფორმაცია შესაძლო ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შესახებ იყო მამის ზეგავლენის შედეგად მიწოდებული ინფორმაცია და, რომ ბავშვის მიმართ მოლდოვის რესპუბლიკაში ყოფნისას ადგილი არ ჰქონია ძალადობის ფაქტს და ასეთის საშიშროება, არც იქ დაბრუნებისას არსებობდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი ბავშვის მოლდოვის რესპუბლიკაში დაბრუნების თაობაზე. ამასთან, გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, რადგან სასამართლომ ბავშვის მამასთან დაყოვნება მიიჩნია ბავშვის საუკეთესო ინტერესების საზიანოდ, რასაც შეეძლო გამოეწვია ნეგატიური შედეგი ბავშვის შემდგომი განვითარებისა და აღზრდის პროცესში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. ამდენად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილია, რომ მამამ ბავშვი მოლდოვიდან გადაადგილა არამართლზომიერად და მოახდინა მისი არამართლზომიერი დაკავება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც აღსასრულებლად წარდგენილია სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში.

განმცხადებლის აღნიშვნით, ბავშვი საქართველოში არამართლზომიერად გადმოადგილებამდე და მის შემდგომაც იმყოფება მამის მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის ქვეშ, რასაც ადასტურებს ფსიქოლოგიური შეფასების დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ ბავშვის დედასთან საუბრისას თვითნებურად ჩაერთო მამა, რომელიც უხეშად მიმართავდა დედას ბავშვის თანდასწრებით. დასკვნით დადგენილია, რომ მამა დედის მიმართ შეურაცხყოფელი, ბილწი სიტყვების გამოყენების შემდეგ ეკითხება ბავშვს უნდა თუ არა დედასთან საუბარი? რაზეც ბავშვი პასუხობს, რომ არ სურს დედასთან საუბარი, შემდეგ მამა ითხოვს ბავშვისგან, რომ მან დედას თავად უთხრას ეს. ბავშვთან ცალკე გასაუბრებისას, ის აფიქსირებს დედასთან შეხვედრის და მასთან ცხოვრების სურვილს, რის უფლებასაც მას მამა არ აძლევს. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ წლების მანძილზე მამა ბავშვს შთააგონებს, თითქოს 2 წლის ასაკში ის დედის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი იყო. მამის მხრიდან ბავშვზე ფსიქოლოგიური ძალადობა გრძელდება დღესაც.

ლ.ს.-გან ბავშვზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება ვლინდება იმაშიც, რომ ის ბავშვს განაწყობს დედის წინააღმდეგ და ცდილობს უარი ათქმევინოს მოლდოვაში დაბრუნებაზე, ამასთან იგი ზღუდავს დედა-შვილის თავისუფალ კომუნიკაციას, რაც ვლინდება იმაში, რომ დღემდე სოციალურმა სამსახურმა ვერ უზრუნველყო დედისა და ბავშვის განცალკავებით შეხვედრა მოძალადე მამის დასწრების გარეშე. ლ.ს არ აძლევს ბავშვს უფლებას მისი დასწრების გარეშე ესაუბროს ტელეფონით ან სოციალური ქსელის მეშვეობით ვიდეო ზარით.

განმცხადებლის მტკიცებით, მის მიერ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებები, რაც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებით, მოწმობს დამცავი ორდერის გამოცემის საჭიროებას.

დავალება: განსაზღვრეთ ბავშვის დაცვის სამართლებრივი რეაგირების საჭიროება და შეაფასეთ განმცხადებლის მოთხოვნის პერსპექტიულობა.

3.2.6. კაზუსი ბავშვის მშობლისგან განცალკევების ვადის გაგრძელების თაობაზე

კაზუსი:

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს რეგიონულმა ცენტრმა (სოციალური სამსახური) 2023 წლის 9 აგვისტოს შუამდგომლობით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა არასრულწლოვნების - თ.მ-ს (დაბ. 11.03.2010), ა. მ-ს (დაბ. 05.05.2016) დედის ლ. ნ-იასაგან, აგრეთვე მამის კ. მ-საგან განცალკევების ვადის გაგრძელება 1 (ერთი) წლით.

შუამდგომლობაში აღნიშნული იყო, რომ ბავშვების დედა ცხოვრობს ქ. თბილისში, ბავშვების მამის ადგილსამყოფელი უცნობია. მეუღლეები არიან განქორწინებულნი. შვილებთან კომუნიკაცია მამას წლებია არ აქვს. დედას არ ჰყავს თანადგომის ქსელი, გართულებული ფსიქო-ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე მას დამაბული ურთიერთობა აქვს ბიოლოგიურ დედასთან და დასთან, რომლებიც ცალკე ცხოვრობენ.

სოციალურმა სამსახურმა მუშაობა ოჯახთან 2021 წლის სექტემბერში დაიწყო მას შემდეგ, რაც სამსახურს მიმართა პოლიციამ და მიაწოდა ინფორმაცია ბავშვების დედის დაპატიმრების შესახებ ნარკოტიკულ დანაშაულში (სსკ-ის 261 მუხ. პირველი ნაწილით) ბრალდების გამო. ბიოლოგიურმა ნათესავებმა (ბებია და დეიდა) არ აიღეს ბავშვებზე პასუხისმგებლობა, რის გამოც ბავშვები განცალკევდნენ ოჯახისაგან და გადაიყვანეს სახელმწიფო ზრუნვაში - მინდობით აღზრდაში, რისი ვადაც იწურება.

2022 წლის დეკემბერში ბავშვების დედა გათავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან და ამ დროიდან მან დაიწყო უკმაყოფილების გამოხატვა ბავშვების მინდობით აღზრდელი ოჯახის მიმართ. მისი პრეტენზიები არ დადასტურდა, თუმცა დედა სისტემტურად მიმართავს სოციალურ სამსახურს და ითხოვს ბავშვების მასთან დაბრუნებას. მოკვლეული ინფორმაციით, ბავშვების დედას არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არის უმუშევარი და არ გააჩნია ბავშვების რჩენის საშუალება. სოციალური სამსახურის მიერ მას შეეთავაზა ოჯახის მხარდაჭერის პროგრამაში ჩართვა, რაზეც ის უარს აცხადებს, არ თანამშრომლობს სოციალურ სამსახურთან. მხოლოდ დაჟინებით ითხოვს შვილების დაბრუნებას და აცხადებს, რომ აქვს გარკვეული შემოსავალი, რითაც შეუძლია ბავშვების რჩენა. ბავშვების მამის ადგილსამყოფელი დაუდგენელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია გაგრძელდეს ბავშვების მშობლებისაგან განცალკევების ვადა 1 წლით.

შუამდგომლობასთან დაკავშირებით ბავშვების დედის ადვოკატმა წარადგინა შესაგებელი და განმარტა, რომ მისი მარწმუნებელი ცხოვრობს ქუთაისში, კონკრეტული მისამართი მისთვისაც უცნობია. როგორც მისმა მარწმუნებელმა განუმარტა მუშაობს და აქვს შემოსავალი, თუმცა არ სურს დაასახელოს მისი სამუშაო ადგილი. შეუძლია თავად უზრუნველყოს საკუთარი შვილების საჭიროებები. შეუძლია შვილების მოვლა-პატრონობა. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ სოციალურმა სამსახურმა შეამოწმოს მისი საცხოვრებელი პირობები, ბავშვების დედა არ ეთანხმება აღნიშნულს, ვინაიდან არ ენდობა აღნიშნულ სამსახურს. შვილებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა არ აქვს, ამის საშუალებას არ აძლევს ბავშვების მინდობით აღმზრდელი. მისთვის ცნობილია, რომ უფროს შვილს არ სურს მასთან კომუნიკაცია, თუმცა ეს დედა-შვილს შორის გასარკვევი საკითხია და სოციალური სამსახური ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს.

დავალება: განსაზღვრეთ მხარეთა პოზიციების დასაბუთებულობა და შეაფასეთ შუამდგომლობის პერსპექტიულობა.

3.2.7. კაზუსი ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების თაობაზე

კაზუსი:

2024 წლის 10 იანვარს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა სსიპ სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს რეგიონული ცენტრის სოციალურმა მუშაკმა და მოითხოვა 13 წლის ლ. დ-ის მამისაგან (ჯ. დ-საგან) განცალკევება და სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებას, ბავშვის ოჯახში ცხოვრების დამაბრკოლებელი გარემოების აღმოფხვრამდე.

შუამდგომლობის თანახმად, 13 წლის ლ. დ-ს დედა გარდაცვლილი ჰყავს და ცხოვრობს მამასთან ჯ.დ-სთან ერთად ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩაზე. მათთან ერთად ცხოვრობს ჯ.დ-ს ძმის ოჯახი ანუ ლ.დ-ს ბიძა თავისი მეუღლითა შვილებით. აღნიშნულ ოჯახში ცხოვრების პერიოდში, 2022 წლის დეკემბერში შს სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელმა ლ. დ-ს ბიძის - შ. დ-ს მიმართ გამოსცა შემაკავებელი ორდერი, 13 წლის ლ.დ-ს როგორც სექსუალური ძალადობის მსხვერპლის დაცვის მიზნით. ამავდროულად შ.დ-ს მიმართ დაიწყო გამოძიება

გარყვნილი ქმედების ფაქტზე (სსკ-ის 141 მუხ. პირვ. ნაწ) და შეეფარდა აღკვეთი ღონისძიება დაპატიმრება.

გამომიების დაწყებისთანავე ბავშვთან კომუნიცირებდნენ სოც.მუშაკი და ფსიქოლოგი. კომუნიკაციის შედეგად სოციალურმა სამსახურმა შეიტყო, რომ ბავშვს, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლია, აქვს უძილობა, შფოთვები. ასევე დანაშაულის მიჩქმალვისა და ბიძისთვის სასჯელის შემსუბუქების მიზნით, სავარაუდოდ, არასრულწლოვანზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას აქვს ადგილი ბიძის ოჯახის წევრების მხრიდან. ბავშვი თანხმობას აცხადებს სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებაზე.

ამდენად, შუამდგომლობის ავტორი თვლის, რომ ბავშვის მამისაგან და მასთან მცხოვრები პირებისაგან განცალკევება აუცილებელია. ოჯახიდან განცალკევების შემდეგ ბავშვი განთავსდება სახელმწიფო ზრუნვაში. ამ ეტაპზე აშკარად გამოკვეთილია მწვავე რისკები. ბიოლოგიურ მშობელს არ გააჩნია ინდივიდუალური საცხოვრისი, დანაშაულის ადგილზე ბავშვის ყოფნა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული მისი ბიძის ოჯახის წევრებთან თანაცხოვრება უარყოფითად აისახება მის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. მშობელი კი ვერ უზრუნველყოფს ბავშვს უსაფრთხო, მშვიდი გარემოთი. უფრო მეტიც მამას ეჭვი ეპარება შვილის გულწრფელობაში და ფიქრობს რომ ის შესაძლოა იგონებდეს ბიძის მხრიდან მის მიმართ დანაშაულის ჩადენას, არ სჯერა რომ მისი ძმა ასეთ დანაშაულს ჩაიდენდა.

სოციალურ სამსახურს მიაჩნია, რომ ბავშვი არ შეიძლება დარჩეს იმ გარემოში, სადაც მისი არ სჯერათ და მუდმივად ადანაშაულებენ. ოჯახში არ წყდება კონფლიქტი და არაფერი კეთდება ბავშვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ბავშვი საჭიროებს მკურნალობას და მშვიდ გარემოს. მამა რამდენიმეჯერ დაპირდა სააგენტოს, რომ შეიცვლიდა საცხოვრებელ ადგილს, თუმცა ვერ ახერხებს და პერსპექტივაც არ ჩანს. ბავშვის მამა წინააღმდეგია ბავშვი გადავიდეს სახელმწიფო ზრუნვაში და განაცალკევდეს მისგან.

დავალება: განსაზღვრეთ ბავშვის საჭიროებები მისი საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე და შეაფასეთ რამდენად დასაბუთებულია შუამდგომლობა.

3.2.8. კაზუსი დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე

კაზუსი:

2019 წლის 19 ნოემბერს ფოთის საქალაქო სასამართლოს მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელოს სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსმა და მოითხოვა 2008 წელს დაბადებულ ა.თ-ს, რომლის კანონიერი უფლებებიც მშობლის მხრიდან უგულვებელყოფილი იყო, დაცვის მიზნით დედის - მ. თ-ს მიმართ, 9 თვის ვადით დამცავი ორდერის გამოცემა.

განცხადების თანახმად, მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიული ორგანო ზედამხედველობას უწევს 2008 წელს დაბადებულ ა.თ-ს მიმართ მისი ბიოლოგიური დედის მ.თ-ს მხრიდან მშობლის მოვალეობის ჯეროვანი შესრულების საკითხს, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე 2016 წლის 12 სექტემბრის მთავრობის №437 დადგენილებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში.

მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიული ორგანოს მიერ გატარდა აქტივობები, რომელიც ემსახურებოდა ოჯახის გაძლიერებასა და ა.თ-ს ბიოლოგიურ მშობელთან ოჯახური გარემოს შენარჩუნებას. კერძოდ: შეფასდა ოჯახის საჭიროებები და დაიგემა სათანადო აქტივობები, დედას გაეწია იურიდიული კონსულტაცია ბავშვის დაბადების მოწმობაში მამის ვინაობის განსაზღვრის მიმართულებით, განხორციელდა საკვები პროდუქტებითა და ჰიგიენის პროდუქტებით ოჯახის უზრუნველყოფა და ოჯახი დარეგისტრირდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. ოჯახი ჩაერთო ააიპ „მადლიერების სახლის“ (უფასო სასადილო) დახმარების პროგრამაში. ხელი შეეწყო ბავშვის საჯარო სკოლის ცვლილებისა და მოსწავლის სტატუსის აღდგენას. შედგა ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმა.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ბავშვის დედა კატეგორიული უარს აცხადებს სოციალურ მუშაკებთან თანამშრომლობაზე და დაგეგმილი აქტივობების შესრულებაზე, მეტიც ბავშვმა დედის მხარდაჭერით კვლავ გააგრძელა საგაკვეთილო პროცესის გაცდენა. დედა აგრძელებს პედაგოგებთან კონფლიქტური გარემოს პროვოცირებას და აღნიშნულ პროცესში ჩართული ჰყავს ბავშვი. დედის მხრიდან წახალისებულია ბავშვის ისეთი ქმედებები როგორიცაა თანაკლასელებისა და უფროსი ადამიანების, ასევე სხვა ბავშვების დამამცირებელი მოპყრობა, აგრესია. სისტემატიური ხასიათი აქვს გაკვეთილების გაცდენას ყოველგვარი საპატიო მიზეზის გარეშე. დედა მხარს უჭერს ბავშვის იმ მოსაზრებას, რომ სკოლა არ არის განათლების მიღების აუცილებელი გარემო და, რომ ბავშვი თავადაც იღებს განათლებას, თუმცა მას პედაგოგები არ უწერენ ისეთ შეფასებას, რაც

შესაძლებელს გახდის კლასიდან კლასში გადასვლას. განმცხადებლის აღნიშვნით, ბავშვისა და დედის საცხოვრებელი ბინიდან ხშირად, განსაკუთრებით გვიან ღამის საათებში ისმის ხმაური, მათთან კომუნიკაციას ერიდებიან ნაცნობები ვინაიდან ის გამოირჩევა კონფლიქტურობით.

ბავშვი თანატოლებთან დადებით კომუნიკაციას ვერ ამყარებს, ის ხშირად ეჩხუბება და მიმართავს შეურაცხყოფელი სიტყვებით, აბუჩად იგდებს მათ მშობლებს, ბებიას, პაპას. დამაკნინებელი სიტყვებით მოიხსენიებს ყველას, ბილწსიტყვაობს. ზემოაღნიშნული ქცევის გამო შენიშვნის ან მითითების მიღების შემთხვევაში დედა იძახებს საპატრულო პოლიციას და აფიქსირებს, რომ შვილთან ერთად მეზობლები არ აძლევენ საკუთარი სურვილისამებრ ცხოვრების უფლებას.

დედა ვერ უზრუნველყოფს ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის, აუცილებელი შესაბამისი რეჟიმის დაცვას, ღამის საათებში მათ მიერ გამოწვეული ხმაურით ზიანი ადგება, როგორც ბავშვს, რომელსაც ღამის საათებში დარღვეული აქვს ძილისა და დასვენების უფლება, ასევე საცხოვრებელ ბინაში მცხოვრებ ხანდაზმულ პირებს, სხვა სრულწლოვან და არასრულწლოვან ადამიანებს. ძილის რეჟიმის დარღვევა წარმოადგენს ასევე ბავშვის მიერ ძილის საათებში სკოლის გაცდენის მიზეზს. პედაგოგი მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბავშვი არ ცხადდება სკოლაში დადგენილ დროს, არის დღეები, როდესაც ის საერთოდ არ ესწრება გაკვეთილებს, პედაგოგები ვერ ახერხებენ ბავშვის შეფასებას, 2018 წელს ბავშვს არ უვლია საჯარო სკოლაში რის გამოც მას შეუწყდა მოსწავლის სტატუსი. აღნიშნული მიზეზის გამო დატოვა მე-11 საჯარო სკოლა. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაკის ჩართულობით მიეცა შესაძლებლობა სწავლა განეგრძო მე-3 საჯარო სკოლაში, ის კვლავ აცდენს საგაკვეთილო პროცესს და აღნიშნულის ინიციატორი ბავშვის დედაა, რომელსაც აღნიშნება არასტაბილური ემოციური მდგომარეობა. დედის მხრიდან სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული ვიზიტების მიმართ გამოხატულია მკვეთრი პროტესტი, ეწინააღმდეგება ოჯახში ვიზიტებს, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების საჭიროებაზე განმარტებას მიიჩნევს ფსიქოლოგიურ ძალადობად და მის ცხოვრებაში ჩარევად. საჯარო სკოლასთან სოციალური მუშაკის კავშირს აღიქვამს ბავშვზე ძალადობად, ის წინააღმდეგია შეასრულოს საჭირო რეკომენდაცია და რჩევა რაც აუცილებელია ბავშვების აღზრდა-განვითარებისათვის და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებისათვის.

დედას ახასიათებს ნეგატიური ინფორმაციების მოგონებისა და მისი გავრცელების ჩვევა, რის გამოც მის მიმართ გამოცემულია შემაკავებელი ორდერი, ის არ ერიდება შვილთან უხამსი სიტყვების გამოყენებას. ბავშვი ფლობს ასაკის შესაბამის

სექსუალური ხასიათის ინფორმაციას, დედა უარს აცხადებს ბავშვების ინტერესის შესაბამისი აქტივობების შესრულებაზე, რომელიც უკავშირდება განათლებას, ჰიგიენას, ბავშვის ასაკის შესაბამისი რეჟიმის (ძილი, განვითარება, გართობა) დაცვას.

ოჯახური დისფუნქცია გახდა მოზარდის აგრესიის თანდათანობით გაზრდის საფუძველი. დარღვეულია ბავშვების განვითარებისა და აღზრდისათვის აუცილებელი პირობები. დამოუკიდებლად საკუთარი უნარ-ჩვევების, ჯანმრთელობისა და სოციალურ ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე დედა ვერ უზრუნველყოფს შვილზე ადეკვატურ, უსაფრთხო ზრუნვას, აღნიშნული საჭიროება სრულად იქნებოდა დაკმაყოფილებული დედათა და ბავშვთა თავშესაფარში, მაგრამ პრევენციის აღნიშნულ ფორმაზე კვლავ უარი განაცხადა ქალბატონმა. ბავშვის დედას მხოლოდ მატერიალური მოლოდინები და სარგებელის მიღების სურვილი აქვს სახელმწიფო სერვისებიდან, ის სხვა ტიპის ჩართულობასა და თვითგანვითარებაზე, ასევე საკუთარ ჯანმრთელობაზე (გამოკვეთილია ემოციური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები) ზრუნვაზე, ბავშვებთან ჯანსაღი მიჯაჭვულობის განვითარებაზე, დასაქმებაზე და თვითრეალიზებაზე ორიენტირებული არ არის. მხოლოდ აგრესიული მიდგომით ცდილობს დამკვიდრებას ოჯახსა და საზოგადოებაში.

ზემოაღნიშნული რეალობის გათვალისწინებით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მოხდეს დედის ქმედებაზე ადეკვატური რეაგირება და საქალაქო სასამართლოს მიემართოს დამცავი ორდერის გამოცემაზე.

განმცხადებელი ითხოვს ბავშვის დაცვის მიზნით 9 თვის ვადით დამცავი ორდერის გამოცემას შემდეგი პირობებით:

1. დაევალოს მ.თ-ს პროფილაქტიკური და გეგმიური სამედიცინო შემოწმების მიზნით ბავშვის ვიზიტის უზრუნველყოფა სამედიცინო დაწესებულებაში და ექიმის რეკომენდაციის ფარგლებში რეაგირება;
2. დაევალოს მ. თ-ს, ბავშვის განათლების უფლების უზრუნველსაყოფად, სასწავლო კალენდრის შესაბამისად, ა.თ-ს საგაკვეთილო პროცესზე დასწრების მიზნით, მისი საჯარო სკოლაში გამოცხადების უზრუნველყოფა, ბავშვის მიერ განათლების მიღების ყოველდღიური მონიტორინგი, პედაგოგებთან ჯანსაღი კომუნიკაცია და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება;

3. დაევალოს მ.თ-ს შეავსოს განცხადება საჯარო სკოლაში, დადგენილი წესით ბავშვის მულტიდისციპლინარული გუნდის შეაფასების მოთხოვნასთან დაკავშირებით, რათა ბავშვს განესაზღვროს სსსმ (სპეციალური საგანმანათლებლო) სტატუსი;
4. დაევალოს მ.თ-ს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში ბავშვის ვიზიტების განხორციელება ფსიქოლოგიური საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით, ფსიქოლოგის დასკვნა-რეკომენდაციის მიხედვით ინტერვიუებისა და ტესტირების საფუძველზე) საჭირო ფსიქოლოგიური სერვისის მიღება;
5. დაევალოს მ.თ-ს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამხარეო ცენტრში კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით განცხადებით მომართვა;
6. დაევალოს მ.თ-ს ბავშვის უფლებების დაცვის მიზნით არ დააბრკოლოს და ხელი არ შეუშალოს მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოს უფლებამოსილ პირების (ფსიქოლოგი/სოციალური მუშაკი) მასთან კომუნიკაციაში ბავშვის ახალი საჭიროებების გამოკვეთის მიზნით. (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დაბრკოლებად ჩაითვალოს ბავშვის თვეში არანაკლებ ორჯერ ვიზიტის განუხორციელებლობა სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრში წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის გათვალისწინებით, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და საჭიროების შესაბამისად).
7. დაევალოს მ.თ-ს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.

დავალება: 1. შეაფასეთ განმცხადებლის მოთხოვნის საფუძვლიანობა.

2. შეაფასეთ ირღვევა თუ არა ბავშვის უფლება.

3.2.9. კაზუსი ბავშვის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის თაობაზე

კაზუსი:

2022 წლის 9 ივნისს ქ.ქობულეთში, თბილისის ქუჩაზე, რესტორან „არაგვის“ ეზოში, სადაც მე-12 კლასელები ე.წ. ბოლო ზარს (სკოლის დამთავრებას) აღნიშნავდნენ, ზედაპირული შემოწმებისას, ო.შ-ს შარვლის წინა მარცხენა ჯიბეში აღმოაჩნდა მომწვანო ფერის მცენარეული მასა, რომელიც 2022 წლის 12 ივნისის ექსპერტიზის №330/ქ დასკვნის მიხედვით წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალებას გამომშრალ მარიხუანას - 0,423 გრამს. ამ ფაქტთან დაკავშირებით შედგა Nბე030410534 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლითაც ო.შ-ს მიერ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის 1-ლი ნაწილით.

სამართალდარღვევის ოქმი და მასალები განსახილველად წარედგინა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომელმაც საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად ქობულეთის მაგისტრატ მოსამართლეს გადაუგზავნა.

მაგისტრატი მოსამართლის მიერ საქმის განხილვისას ოქმის შემდგენი მხარის, ქ.ქობულეთის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელმა, მხარი დაუჭირა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და მოითხოვა ო.შ-ს მიმართ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, კერძოდ, სუბიექტის დაჯარიმება 500 ლარით.

საქმის განხილვის დროს, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა ო.შ.-მ დაადასტურა მარიხუანას შენახვის ფაქტი, ამასთან, განმარტა რომ იყო მე-12 კლასის მოსწავლე - 17 წლის, ემზადებოდა სკოლის დამამთავრებელი გამოცდებისთვის, განიცდიდა მომხდარს, მას პირადად აღნიშნული ნივთიერება არ მოუხმარია. აღიარებს და ინანიებს ჩადენილს, გააზრებული აქვს გადაცდომის შინაარსი და წუხს მომხდარის გამო. თავად არ მუშაობს, ხოლო ოჯახს არ აქვს ჯარიმის გადახდის საშუალება.

დავალება: შეაფასეთ მხარეთა პოზიციები და სასამართლო განხილვის შედეგად მათი სამართლებრივი პერსპექტიულობა.

3.3. კაზუსი ამოხსნით: ბავშვის მიმართ სახდელის სახით ჯარიმის გამოყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში

კაზუსი:

2023 წლის 5 ივლისს პოლიციამ შეადგინა №ბე010107 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი 2005 წლის 30 სექტემბერს დაბადებული ი.შ.-ს მიმართ იმის გამო, ის 2023 წლის 4 ივლისს 23:40 სთ-ზე ქობულეთში, გორგილაძის ქუჩა №6-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, რაც გამოხატებოდა იმაში, რომ საცხოვრებელი კორპუსის ეზოში ხმამაღლა უმისამართოდ იგინებოდა და ილანძლებოდა, ყვირილით მოუწოდებდა ვინმე ვ.ჯ.-ს მისულიყო მასთან და ავტომანქანით წაეყვანა ღამის კლუბში. პოლიცია შეესწრო ამ ფაქტს, მოუწოდა ი.შ.-ს დამშვიდებულიყო, რაზეც ის არ რეაგირებდა, პოლიციამ დააკავა სამართალდამრღვევი და შეადგინა სამართალდარღვევის ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (აღსკ) 166-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

საქმის მასალები განსახილველად წარედგინა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და იმის გამო, რომ ი.შ. 2021 წლის 10 დეკემბერს უკვე იყო სახდელდადებული (დაჯარიმებული) აღსკ-ის 166-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რისთვისაც შეფარდებული ჰქონდა ჯარიმა, სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა მოითხოვა ი.შ.-ს სამართალდამრღვევად ცნობა აღსკ-ის 166-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და მისთვის სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებას 5 დღე-ღამით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 5 ივლისის დადგენილებით ი.შ. ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე პირველი ნაწილით და სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა - 500 ლარი. სასამართლომ განმარტა დადგენილების გასაჩივრების უფლება და მიუთითა, რომ მისი გასაჩივრება შეიძლებოდა სააპელაციო წესით ზემდგომ სასამართლოში 10 დღეში. დადგენილება ჩაბარდა ი.შ.-ს 2023 წლის 10 ივლისს.

აღნიშნულ დადგენილებაზე 2023 წლის 24 ივლისს ი.შ.-ს ადვოკატმა შეიტანა საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვა სახდელის დადების ნაწილში მისი გაუქმება იმ საფუძველზე, რომ ი.შ.-ს არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი და ვერ გადაიხდიდა ჯარიმას, მისი მშობლები იყვნენ შშმ პირები და მათ საარსებო წყაროს მხოლოდ სახელმწიფო პენსია წარმოადგენდა.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტს არასრულწლოვანი აღიარებდა იბოდიშებდა, რადგან მისი ქმედება გამოწვეული იყო ლუდის მიღებით, რასაც მომავალში აღარ გაიმეორებდა.

დავალება: შეაფასეთ ი.შ.-ს ადვოკატის საჩივრის საფუძვლიანობა, რამდენად ექვემდებარება ის დაკმაყოფილებას.

კაზუსის ამოხსნა

1. პროცესუალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალება

1.1. საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლო - უწყებრივი ქვემდებარეობა/განსჯადობა შესაძლოა ი.შ.-ს ადვოკატის საჩივარი იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (სადასკო) მე-8 მუხლით, არავის შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით. ადასკ-ის 208-ე მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 166-ე მუხლით.

კაზუსის მიხედვით ი.შ.-ს მიმართ სამართალდარღვევის ოქმი შედგა ადასკ-ის 166-ე მუხლის საფუძველზე, რაც სასამართლოს განსჯად სამართალდარღვევის საქმეს წარმოადგენს.

ადასკ-ის 271-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილება მხარეებმა შეიძლება ამავე კოდექსის 273-ე მუხლით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატაში. საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო აღნიშნული დადგენილება.

როგორც კაზუსიდან ირკვევა, საჩივარი მხარის ადვოკატმა შეიტანა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. მართალია, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო იყო საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლო, თუმცა ადვოკატს, ადსკ-ის 271-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, საჩივარი უნდა შეეტანა დადგენილების გამომტან სასამართლოში, რომელიც საქმეს საჩივართან ერთად გადააგზავნიდა საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცედურის დარღვევა მხარის საწინააღმდეგო სამართლებრივ შედეგს ვერ გამოიწვევს. პრაქტიკულად, ასეთ დროს სააპელაციო სასამართლო თვითონ გამოითხოვს პირველი ინსტანციის სასამართლოდან საქმეს საჩივრის განხილვა-გადაწყვეტის მიზნით.

- დასკვნა

ი.შ-ს ადვოკატის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადი.

1.2. სასამართლოსთვის მიმართვის სათანადო ფორმა, საჩივრის ავტორის მიზანი:

შესაძლოა ი.შ-ს ადვოკატის საჩივარი იყოს სასამართლოსთვის მიმართვის სათანადო ფორმა, რომლითაც მიიღწევა ი.შ-ს მიზანი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გამო **საჩივარსა** და პროტესტს განიხილავს საამისოდ უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი) მათი შესვლიდან 30 დღის ვადაში, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამ მუხლის მე-2 ნაწილით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვის ვადა, გარდა ამ კოდექსის 281³ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს სააპელაციო სასამართლოში საჩივრის შესვლიდან. როგორც ზემოაღნიშნული ნორმა ისე ადსკ-ის 271-ე და 273-ე მუხლების შინაარსი ცხადყოფს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება სააპელაციო სასამართლოში საჩივრდება **საჩივრის** შეტანის გზით.

საღსკ-ის 278-ე მუხლის პირველი ნაწილით, საჩივრის განხილვისას ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) დადგენილების უცვლელად დატოვებისა და საჩივრის ან პროტესტის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ; ბ) დადგენილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის გაგზავნის შესახებ; გ) დადგენილების გაუქმებისა და საქმის შეწყვეტის შესახებ; დ) ამ კოდექსის 234¹ მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილების გაუქმებისა და პირის ადმინისტრაციული სახდელისაგან განთავისუფლების შესახებ; ე) ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის ზომის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში შეცვლის შესახებ. ამდენად, საჩივრის განხილვის შედეგად მომჩივნის მიზნის მიღწევა შესაძლებელია.

- დასკვნა

საჩივარი წარმოადგენს ი.შ-ს უფლების დაცვის სათანადო ფორმას, რითაც მიღწევადია მისი მიზანი

2. დავის გადაწყვეტის პერსპექტივა

2.1. საჩივრის დასაშვებობა:

შესაძლოა ი.შ-ს ადვოკატის საჩივარი იყოს დასაშვები

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის გამო სააპელაციო სასამართლოში შეტანილი საჩივრის დასაშვებობის კონტროლი გულისხმობს საჩივრის შემტანი პირის უფლებამოსილების შემოწმებას ე.ი. იმის შემოწმებას საჩივარი შეტანილია თუ არა უფლებამოსილი საპროცესო სუბიექტის მიერ და რამდენად არის წარდგენილი საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში ანუ საჩივრის წარდგენის ვადის დაცულობის შემოწმებას.

კაზუსიდან ირკვევა, რომ საჩივარი შეტანილია ი.შ-ს ადვოკატის მიერ. ი.შ. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირია (პირი, რომლის მიმართაც შედგენილია სამართალდარღვევის ოქმი) შესაბამისად, ის არის მხარე. ადსკ-ის 271-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების უფლება აქვთ მხარეებს.

ადსკ-ის 252-ე მუხლის პირველი ნაწილით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით. ადსკ-ის 255-ე მუხლის პირველი ნაწილით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაში მონაწილე ადვოკატს უფლება აქვს იმ პირის დავალებით, რომელმაც იგი მიიწვია, და მისივე სახელით შეიტანოს საჩივარი საქმის გამო მიღებულ დადგენილებაზე.

ამდენად, ი.შ-ს ადვოკატი წარმოადგენს საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ სუბიექტს.

რაც შეეხება საჩივრის შეტანის ვადას, ადსკ-ის 273-ე მუხლის პირველი ნაწილით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მხარისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

კაზუსიდან ირკვევა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 5 ივლისის დადგენილება მხარეს ჩაბარდა 2023 წლის 10 ივლისს, ხოლო ადვოკატმა საჩივარი შეიტანა 2023 წლის 24 ივლისს - დადგენილების მხარისთვის გადაცემიდან მე-14 დღეს.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში მართლმსაჯულების აქტის გასაჩივრების ვადის დაცულობის საკითხის შესამოწმებლად სასამართლო ხელმძღვანელობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (სასკ) მე-12 მუხლით, რომლის მიხედვით: 1. გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი. 2. თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ ან ეცნობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული რომელიმე მოთხოვნის დარღვევით, მაშინ გასაჩივრება შეიძლება სასამართლოს აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში.

კაზუსის ფაბულაში მოცემულია თუ როგორ განუმარტა ბათუმის საქალაქო სასამართლომ მხარეებს მიღებული დადგენილების გასაჩივრების უფლება, კერძოდ, მხარეებს განემარტა, რომ დადგენილების გასაჩივრება შეიძლებოდა სააპელაციო წესით ზემდგომ სასამართლოში 10 დღეში.

სასამართლო აქტის გასაჩივრების წესის ასეთი ფორმულირებით განმარტება არ შეესაბამება სასკ-ის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს. ამ ნორმის მოთხოვნათა დაცვით გასაჩივრების წესი მხარეებისთვის განმარტებული უნდა ყოფილიყო შემდეგნაირად: „დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრის შეტანის გზით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატაში (მისამართი: ქუთაისი, ნიუპორტის ქუჩა N32) დასაბუთებული დადგენილების ასლის მხარეებისათვის გადაცემიდან 10 დღის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (მისამართი: ქ.ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).“ ვინაიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების შესახებ მხარეებს არ ეცნობათ ზემოთ მითითებული წესით, ანუ მხარეს არ განემარტა სასამართლო, სადაც შეიძლებოდა დადგენილების გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი, რითაც დაირღვა სასკ-ის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა, - მხარეს წარმოეშვა უფლება სასამართლო აქტი გაესაჩივრებია მისი გამოტანიდან 1 წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში როგორც კაზუსიდან ირკვევა, ადვოკატმა საჩივარი შეიტანა დადგენილების მხარისათვის გადაცემიდან მე-14 დღეს - დადგენილების გამოტანიდან 1 წლის ვადაში, რის გამოც გასაჩივრების ვადა დაცულად მიიჩნევა.

- დასკვნა

ი.შ-ს საჩივარი სააპელაციო სასამართლოში დასაშვებია და ექვემდებარება არსებითად განხილვას.

2.2. საჩივრის დასაბუთებულობა (მატერიალური კანონიერება)

შესაძლოა ი.შ-ს საჩივარი იყოს დასაბუთებული

საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება გულისხმობს საჩივრის ფარგლებში მოთხოვნის დასაბუთებულობაზე მსჯელობას.

სადსკ-ის 276-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გამო საჩივრის განხილვისას მოწმდება მიღებული დადგენილების კანონიერება და დასაბუთებულობა. 264-ე მუხლი განსაზღვრავს თუ რა გარემოებები უნდა გამოირკვეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განმხილველი ორგანოს ვალდებულებაა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

კაზუსის მიხედვით საჩივრის ავტორი სადავოდ არ ხდის ი.შ-ს მიერ დარღვევის ჩადენას. მომჩივნის მოთხოვნას წარმოადგენს დამრღვევის გათავისუფლება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან (ჯარიმისაგან).

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილია, რომ არავის შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით. 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება სხვა აღნიშვნებთან ერთად უნდა შეიცავდეს საქმის განხილვისას დადგენილ გარემოებათა გადმოცემას.

კაზუსის მიხედვით სადავო არ არის, რომ ჩადენილია წვრილმანი ხულიგნობა კერძოდ, საზოგადოებრივ ადგილებში ლანძვრა-გინება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს.

სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანო სუბიექტისთვის სახდელის დადებას ითხოვდა ადსკ-ის 166-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე იმის გამო, ის იყო სახდელდადებული 2021 წლის დეკემბერში. ადსკ-ის 166-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ამავე მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (წვრილმანი ხულიგნობა – საზოგადოებრივ ადგილებში ლანძვრა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს) ჩადენა – გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარიდან 2000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 5 დღიდან 15 დღემდე ვადით.

კაზუსიდან ირკვევა, რომ ი.შ. 2021 წლის 10 დეკემბერს იყო სახდელდადებული (დაჯარიმებული) ადსკ-ის 166-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. ადსკ-ის 39-ე მუხლის შესაბამისად, სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში პირი სახდელდაუდებლად ჩაითვლება, თუ იგი ჯარიმის დაკისრების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. 2021 წლის 10 დეკემბრიდან (ი.შ-ს დაჯარიმებიდან) 2023 წლის 4 ივლისამდე (ი.შ-ს მიერ ახალი გადაცდომის ჩადენამდე) გასული იყო 1 წელზე მეტი, შესაბამისად, 2023 წლის 4 ივლისის მდგომარეობით ი.შ. არ ითვლებოდა ადსკ-ის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის სახდელდადებულად.

ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ქმედების კვალიფიკაცია სადსკ-ის 166-ე მუხლის ნაწილის საფუძველზე - კანონიერი და დასაბუთებულია. რაც შეეხება ამ ქმედებისთვის სახდელის განსაზღვრას, რაზეც, კაზუსის მიხედვით აქვს პრეტენზია საჩივრის ავტორს, აღსანიშნავია შემდეგი:

სადსკ-ის 230-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა, მათი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, გამოტანილი დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა.

პირველ რიგში საყურადღებოა, რომ ი.შ-ს 2023 წლის 4 ივლისისთვის (გადაცდომის ჩადენის დროს) შესრულებული ჰქონდა 16 წელი. შესაბამისად, ადსკ-ის მე-13 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, მას მიღწეული ჰქონდა იმ ასაკისთვის, რა ასაკიდანაც დგება სუბიექტის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა (სადსკ-ის მე-13 მუხლით, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირთ), თუმცა ი.შ-ს 18 წელი არ ჰქონდა შესრულებული, ის 18 წლის გახდება 2023 წლის 30 სექტემბერს (ი.შ. დაბადებულია 2005 წლის 30 სექტემბერს), რის გამოც მის მიმართ უნდა გავრცელდეს 12/06/2015 წელს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნები. მითითებული კოდექსის (02/05/2023 - 30/11/2023წ.წ რედაქცია) 1.1 მუხლით, ეს კოდექსი ადგენს არასრულწლოვნის **ადმინისტრაციული** და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების და სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს, სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალურ წესებს. 3.1 მუხლის მიხედვით „არასრულწლოვანში“ იგულისხმება 18 წლამდე ასაკის კანონთან **კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი**. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვანად ითვლება პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი. 3.2 მუხლით კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი გულისხმობს 18 წლამდე ასაკის პირს, **რომლის მიმართაც: შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი**, რომლის თანახმად, მან ჩაიდინა ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომლის ჩადენისთვის ადმინისტრაციული სახდელის ერთადერთ ან ერთ-ერთ სახეობად ადმინისტრაციული პატიმრობაა გათვალისწინებული („ბ“ ქვ/პ); გამოტანილია ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება („გ“ ქვ/პ).

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი ადმინისტრაციული სახდელის სახით ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას.

ი.შ-სთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია განიმარტოს კანონთა კონკურენციის საკითხი, ვინაიდან არასრულწლოვანთათვის ჯარიმის დაკისრების საკითხი განსხვავებულად არის მოწესრიგებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. ერთის მხრივ, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილი სახდელის სახედ ითვალისწინებს ჯარიმას 500 ლარიდან - 1000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით. ამავდროულად, ადსკ-ის 290-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თუ წვრილმანი ხულიგნობის ჩამდენ თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირებს არა აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი, ჯარიმა გადახდებამ შემოიღებს ან მათ შემცვლელ პირებს, ხოლო მეორე მხრივ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (ამკ-ი) იმპერატიულად ადგენს, რომ 1. არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან. 2. არასრულწლოვნისთვის ჯარიმის დანიშვნისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი მინიმალური ოდენობა ნახევრდება (მუხლი 68). აღნიშნული კონკურენტული ნორმების მხედველობაში მიღებით, უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი ორი განსხვავებული კანონიდან რომელი უნდა იქნეს გამოყენებული.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსიც და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიც საკანონმდებლო აქტის სახის მიხედვით საქართველოს კანონებია, ხოლო „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი მიღებულია 15.12.1984 წელს, ხოლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - 12.06.2015 წელს, ამდენად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფრო გვიან მიღებულ - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 8.1 მუხლით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და ამ კოდექსის მიზნების მიღწევის ყველაზე მსუბუქ საშუალებას ენიჭება. იმავე კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს. ამავე კოდექსის 3.4 მუხლის მიხედვით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებია არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება. „ამკ-ის“ 65-ე მუხლის მიხედვით არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ახლებურად მოაწესრიგა არასრულწლოვანთათვის ჯარიმის დაკისრების წესი. კერძოდ, 2015 წლის 12 ივნისამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის 5¹ ნაწილი განსაზღვრავდა, რომ „თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს“. თუმცა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს იმას, რომ პირის პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, თუ მას ბრალი პირადად, ინდივიდუალურად მიუძღვის მისი მოქმედების ან უმოქმედობისათვის, – **კანონმდებელმა არასრულწლოვნისთვის სასჯელის სახედ ჯარიმის დაკისრება დაუკავშირა იმ შემთხვევას, როდესაც მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან.** პირადი პასუხისმგებლობის პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების გადაწყვეტის დროსაც, რადგან აღნიშნული პრინციპი იცავს პირს იმისგან, რომ მან არ აგოს პასუხი იმ ქმედებისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია.

როგორც სასჯელი არის სახელმწიფოს რეაქცია ჩადენილ დანაშაულზე, ასევეა ადმინისტრაციული სახდელი განხორციელებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე. სასჯელსაც და ადმინისტრაციულ სახდელსაც აქვს მკაცრად პერსონალური ხასიათი, სასჯელი/ადმინისტრაციული სახდელი შეეფარდება მხოლოდ დამნაშავეს /სამართალდამრღვევს და არა სხვა პირს. ჯარიმა, როგორც ადმინისტრაციული სახდელის ერთ-ერთი სახე ინარჩუნებს დამსჯელ

ხასიათს და ინდივიდუალიზებულია, ორიენტირებულია ინდივიდუალურ ბრალეულობაზე, შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელის სახედ ჯარიმა, ისევე როგორც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის სახე, გამოიყენება ინდივიდუალურად სამართალდამრღვევის წინააღმდეგ საკუთრების უფლების შეზღუდვის, საკუთრების (ფულის) ამოღების გზით.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით ჯარიმის შეფარდების შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანს აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან. ამდენად, სახდელის მოცემული სახის არასრულწლოვნისთვის შეფარდების პროცესში სასამართლოსთვის ცნობილი უნდა იყოს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირი არის თუ არა დასაქმებული, სად მუშაობს, არის თუ არა მისი საქმიანობა და შესაბამისად, შემოსავალი კანონიერი და მხოლოდ აღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტის შემდეგ შეეფარდოს პირს ჯარიმა. განსახილველ შემთხვევაში კაზუსის მიხედვით არ დასტურდება, რომ ი.შ-ს კანონიერი საქმიანობიდან აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი. მისი ადვოკატი კი საჩივარში მიუთითებს, რომ მას არ აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი. ასეთ შემთხვევაში კანონის იმპერატიული დანაწესის მხედველობაში მიღებით სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას არასრულწლოვანს სახდელის სახით დაუნიშნოს ჯარიმა.

დასკვნა

ი.შ-ს ადვოკატის საჩივარი არის დასაბუთებული

3. კაზუსის შემაჯამებელი დასკვნა

ი.შ-ს ადვოკატის საჩივარი საფუძვლიანია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას

3.4. კითხვები თვითკონტროლისთვის

ზოგადი კითხვები

1. რა არის ბავშვის უფლებათა სამართალი და როგორია მისი ძირითადი პრინციპები?
2. როგორია ბავშვის უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები ადმინისტრაციულ სამართალში?
3. რა როლი აქვს ადმინისტრაციულ ორგანოებს ბავშვის უფლებების დაცვის პროცესში?
4. როგორია ბავშვის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და როგორია მათი იმპლემენტაცია საქართველოში?
5. რა გამოწვევები და პრობლემები არსებობს ბავშვის უფლებათა დაცვის ადმინისტრაციულ სამართალში?

კონკრეტული თემები

1. ბავშვის უფლებების აღიარებისა და დაცვის სამართლებრივი გარანტიები

1. რა არის ბავშვის უფლებების დაცვის ისტორიული განვითარება და როგორია მისი ძირითადი ეტაპები?
2. როგორია ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის ძირითადი პრინციპები და როგორია მათი გავლენა ადმინისტრაციულ სამართალზე?
3. რა როლი აქვს ბავშვის უფლებათა კოდექსს საქართველოში და როგორია მისი ძირითადი პრინციპები?

2. კაზუსების დამუშავება

1. რა არის კაზუსის შესაბამისი მეთოდით დამუშავების მნიშვნელობა და როგორია მისი ძირითადი პრინციპები?
2. როგორია კაზუსის შესაბამისი მეთოდით დამუშავების უპირატესობები და როგორია მისი გამოყენების პრაქტიკული სარგებელი?
3. როგორია კაზუსის განხილვა-გადაწყვეტის ძირითადი ეტაპები და რა მნიშვნელობა აქვს თითოეულ ეტაპს?
4. რა არის კაზუსის ამოხსნის გადაწყვეტილების სტილი და როგორია მისი გამოყენების უპირატესობები?
5. რა არის კაზუსის ამოხსნის იურიდიული დასკვნის სტილი და როგორია მისი გამოყენების უპირატესობები?

3. ადმინისტრაციული სამართლის კონკრეტული საკითხები

1. როგორია ბავშვის უფლებების დაცვის ადმინისტრაციული მექანიზმები საქართველოში?
2. რა როლი აქვს ადმინისტრაციულ ორგანოებს ბავშვის უფლებების დაცვის პროცესში?
3. როგორია ბავშვის უფლებების დაცვის ადმინისტრაციული წარმოების ძირითადი ეტაპები?
4. რა მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების დასაბუთებას ბავშვის უფლებების დაცვის პროცესში?
5. როგორია ბავშვის უფლებების დაცვის ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკული მაგალითები და როგორია მათი განხილვა?

პრაქტიკული კითხვები

1. როგორია ბავშვის უფლებების დაცვის ადმინისტრაციული საქმეების განხილვის პროცესი?
2. რა როლი აქვს ადმინისტრაციულ ორგანოებს ბავშვის უფლებების დაცვის პროცესში და როგორია მათი გადაწყვეტილებების დასაბუთების მნიშვნელობა?
3. როგორია ბავშვის უფლებების დაცვის ადმინისტრაციული საქმეების განხილვის პრაქტიკული მაგალითები და როგორია მათი განხილვა?
4. რა გამოწვევები და პრობლემები არსებობს ბავშვის უფლებების დაცვის ადმინისტრაციულ სამართალში და როგორია მათი გადაჭრის გზები?
5. როგორია ბავშვის უფლებების დაცვის ადმინისტრაციული საქმეების განხილვის საერთაშორისო სტანდარტები და როგორია მათი იმპლემენტაცია საქართველოში?

თავი 4. კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია ბავშვის ძირითად უფლებათა სამართალში

წინამდებარე თავებში განხილული იქნა ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული კაზუსები და მათი ამოხსნის მეთოდები. მოცემული თავი კი ეთმობა კაზუსების ამოხსნის მეთოდებს ბავშვის ძირითად უფლებებში. კაზუსის ამოხსნა ბავშვის ძირითად უფლებებში ეფუძნება ლოგიკურ მსჯელობას, მყარ არგუმენტებს და დასაბუთებულ დასკვნებს. უფრო დეტალურად კი ქვემოთ განვიხილავთ.

4.1. კაზუსის ამოხსნის მოდელები და მნიშვნელობა

იურიდიული განათლების მიღების პროცესში, თეორიული ცოდნის დაუფლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, ანალიტიკური აზროვნების განვითარება. ანალიტიკური აზროვნების განვითარებისთვის კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, სწავლების პროცესში, იურიდიული პრობლემური შემთხვევების შემოტანა და მისი ამოხსნა-ანალიზი. სამართლის მეცნიერებაში კაზუსის ამოხსნის სხვადასხვა მოდელი არსებობს. მათგან ყველაზე გამოყენებადი მოდელებისგან ერთ-ერთი წინა თავშია განხილული ხოლო, მეორე მოიხსენება აქრონიმით „MIRAT“, რომლის აბრევიატურა შემდეგნაირად განიმარტება:

M	Material facts — present or absent	ფაქტობრივი გარემოებები
I	Issues of law and “policy”	იდენტიფიცირებული პრობლემატური/საკვანძო საკითხი
R	Rules and Resources	სამართლებრივი საფუძვლები და სამეცნიერო წყაროები
A	Arguments (or Application)	არგუმენტები, განაცხადები
T	Tentative Conclusion	სავარაუდო დასკვნა

ზემოაღნიშნული კომპონენტები წარმოადგენს კაზუსის ამოხსნისათვის აუცილებლად გასაანალიზებელ ეტაპებს. პირველ რიგში, დასახელებული

მოდელის მიხედვით, აუცილებელია რელევანტური ფაქტების იდენტიფიცირება. ამავე ეტაპზე, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს კაზუსის ძირითადი და მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის ფაქტობრივი გარემოებები. ფაქტობრივი გარემოებების სწორად იდენტიფიცირება და გამიჯვნა აუცილებელია, რათა სტუდენტმა თავიდანვე მიაგნოს სწორი დედუქციური მსჯელობის ხაზს, რომელიც მიიყვანს კაზუსის მართებულად გადაჭრასთან. შემდეგი ეტაპი უკვე არის იდენტიფიცირებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამოიკვეთოს ძირითადი პრობლემური საკითხი და დადგინდეს კანონის რომელი მოთხოვნის თუ პრინციპის დარღვევა/შესაბამისობას შეეხება კაზუსი. როდესაც მოხდება კაზუსის პრობლემური ანუ საკვანძო საკითხის იდენტიფიცირება. ამის შემდეგ, სტუდენტმა უნდა მოახდინოს საკითხის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მოძიება და მითითება. სამართლებრივი საფუძვლების იდენტიფიცირებასთან ერთად სასურველია მოძიებულ და მითითებული იქნას სხვა სამეცნიერო წყაროებიც, სადაც განსაზღვრულია ნორმათა განმარტებები: კანონის კომენტარების, განმარტებითი ბარათების თუ სასამართლო პრაქტიკის სახით. შემდეგი ეტაპი კი უკვე არის არგუმენტირებული მსჯელობა სტუდენტის მიერ განსაზღვრულ პოზიციასთან დაკავშირებით. არგუმენტირების პროცესში აუცილებელია როგორც პოზიციის მხარდამჭერი არგუმენტების მოყვანა ასევე, კონტრარგუმენტების გაანალიზებაც. სწორედ, არგუმენტების შეპირისპირებით უკეთესად არის შესაძლებელი კაზუსისტიკური პრობლემის გაანალიზება და სავარაუდო დასკვნამდე მისვლა. კაზუსის ამოხსნის ამ მეთოდის ბოლო ეტაპია სტუდენტმა განსაზღვროს შესაძლო ანუ სავარაუდო დასკვნა/დასკვნები, რომელიც წარმოადგენს მისი მსჯელობის საბოლოო შედეგს. კაზუსის ამოხსნის ამ მეთოდიკაში ტერმინი – „შესაძლო/სავარაუდო დასკვნა“ იმიტომ გამოიყენება, რომ მისი მიზანია გააუმჯობესოს სტუდენტის მსჯელობის, ანალიზისა და არგუმენტირების უნარი. ასევე, თავიდან იქნას აცილებული სტუდენტის მხრიდან მკაცრად განსაზღვრული ცალსახა დასკვნები. მკაცრად განსაზღვრული დასკვნები პრობლემატურია იმ შემთხვევებში, როდესაც კაზუსში განსაზღვრულ საკითხებს აქვთ ერთზე მეტი შესაძლო დასკვნა. ამრიგად, ამ მეთოდიკის მთავარი მიზანია ანალიტიკური აზროვნებისა და კანონის მოთხოვნათა პერსპექტივების განვითარება ვიდრე სწორი პასუხების სწორხაზოვნად აღმოჩენა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კაზუსის ამოხსნის მოდელი „MIRAT“ იძლევა მოქნილი ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას და კაზუსის დეტალებისა თუ დარგობრივი მიკუთვნებულობის მიხედვით შეიძლება განსხვავებული ანდა დამატებული კომპონენტების სახით ჩამოყალიბდეს, როგორც კაზუსების ამოხსნის მოდელი ბავშვის უფლებათა სამართალში.

4.2. კაზუსის ამოხსნა ბავშვის ძირითად უფლებებში

კაზუსის ამოხსნა ბავშვის ძირითად უფლებებში იმითაა გამორჩეული, რომ კაზუსის ამოხსნისას ხორციელდება ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი განამტკიცებს, რომ ბავშვის უფლებები დაცულია კანონით. ხოლო საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მე-2 თავი სრულად ეთმობა ბავშვის უფლებებსა და თავისუფლებებს. აღნიშნული კი გულისხმობს, რომ სწორედ ამ დათქმების გათვალისწინებით უნდა მიიღოს კანონმდებელმა შესაბამისი ნორმატიული აქტები. კაზუსტიკური შემთხვევების წარმოშვებისას კი მათი ამოხსნის გზების ძიება მსგავსია ადამიანის ძირითადი უფლებებში კაზუსების ამოხსნის მეთოდისა, რომელიც ძირითადად შედგება შემდეგი სამი კომპონენტისაგან:

დაცული სფეროს იდენტიფიცირება

დაცულ სფეროში ჩარევის შეფასება

ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

დასახელებული კომპონენტები საჭიროებს დამატებით განმარტებებს თუ როგორ დავიწყოთ კაზუსის ამოხსნის განხილვა.

თავდაპირველად, აუცილებელია ზოგადი წინადადებით განვსაზღვრავოთ კაზუსში დასახელებული შესაფასებელი საკითხი. ერთგვარად ეს არის შესავალი წინადადება, რომელშიც განვსაზღვრავთ იმ უფლებას, რომელზედაც უნდა გაგრძელდეს განხილვა ანდა ვცეცთვით შესაბამის ნორმის დებულებას, რომლითაც გარანტირებულია დასახელებული უფლება. მაგალითად: საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი ირღვევა, როდესაც საჯარო ხელისუფლება ახორციელებს გაუმართლებელ ჩარევას ბავშვის ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში; ანდა „უფლების დარღვევა გვაქვს სახეზე, როდესაც სახელმწიფომ არ მიიღო შესაბამისი ზომები და არ შექმნა თანაბარი საკანონმდებლო

გარანტიები, რომ უზრუნველყოფილიყო ბავშვების თანასწორობა“. სასურველია, რომ შესავალი წინადადებები ადაპტირებული იყოს კონკრეტული კაზუსის შინაარსზე, ხოლო ნორმის ციტირებისას უნდა მიეთითოს როგორც მუხლი ასევე, შესაბამისი პუნქტიც. ამის შემდეგ ვიწყებთ კაზუსის ამოხსნას ზემოაღნიშნული კომპონენტების მიხედვით.

1. დაცული სფეროს განსაზღვრა

ბავშვის ძირითადი უფლებით დაცული სფერო არის ის უფლება, თავისუფლება, საქმიანობა ან სამართლებრივი სიკეთე, რომლის დაცვასაც ემსახურება შესაბამისი ნორმა. უფლებით დაცული სფერო პირობითად შეიძლება დაიყოს: სუბიექტად და საგნობრივად დაყოფილ დაცულ სფეროდ. „სუბიექტში“ - იგულისხმება ის პირი ამ შემთხვევაში ბავშვი ან მისი კანონიერი ინტერესების წარმომადგენელი, რომელიც ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით გარანტირებულ ბავშვის უფლებას. ხოლო „საგნობრივ“ დაცულ სფეროში იგულისხმება ის სამართლებრივი სიკეთე, რომლის დაცვასაც ემსახურება ნორმა.

კაზუსის განხილვის პირველ ეტაპზე უნდა დადგინდეს კაზუსში მოცემული პრობლემატური/საკვანძო საკითხი შეეხება თუ არა უფლებით დაცულ სფეროს. აღნიშნული სახეზეა, როდესაც კაზუსის საკვანძო საკითხი შეეხება ბავშვის უფლების დაცვის საგანს და ამავე უფლებით დაცულ პირს - ბავშვს.

1.1. საგნობრივად დაცული სფერო

როგორც ავღნიშნეთ, საგნობრივად დაცული სფერო იგივეა, რაც უფლების დაცვის საგანი - სამართლებრივი სიკეთე. კაზუსის ამოხსნის ამ ეტაპზე უნდა დადგინდეს რომელი უფლების დაცვის საგანს შეეხება ხელისუფლების შესაბამისი აქტი. თუ, კაზუსის მოცემულობაში პირდაპირ არის მინიშნება, რომელიმე კონკრეტულ უფლებაზე მაშინ კაზუსის ამოხსნისას განვიხილავთ მხოლოდ აღნიშნული უფლების შესაძლო დარღვევის საკითხს. მაგალითად: კაზუსის შეკითხვის მიხედვით სტუდენტმა უნდა განსაზღვროს, კაზუსის ფაბულაში განსაზღვრული აქტი არღვევს თუ არა ბავშვის განათლების უფლებას. თუმცა, შესაძლებელია კაზუსი არ მოიცავს მსგავს მინიშნებას და უფრო რთული ხასიათის იყოს, მაშინ კაზუსის ამომხსნელმა თავად უნდა შეძლოს უფლების/უფლებების და დაცვის საგნის იდენტიფიცირება. დაცვის საგანზე მსჯელობისას, კაზუსის ამომხსნელმა,

მაქსიმალურად უნდა გამოავლინოს თეორიული ცოდნა და ამომწურავად განმარტოს კაზუსის საკვანძო საკითხისა და უფლების დაცვის საგნის ურთიერთ მიმართება.

კაზუსის სირთულიდან გამომდინარე შესაძლებელია ფაბულაში აღწერილი პრობლემური საკითხი ეხებოდეს ბავშვის რამდენიმე უფლებას. მსგავს შემთხვევაში უფლებრივად დაცული სფეროს იდენტიფიცირებისა და დაცვის საგანზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს, რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე:

- კაზუსის ამომხსნელმა თავიდანვე უნდა განსაზღვროს **ყველა ის უფლება**, რომლის დაცვის საგანსაც შესაძლოა უკავშირდება ფაბულაში აღწერილი პრობლემური საკითხი;
- იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს რამდენიმე უფლების დარღვევის შესაძლებლობა კაზუსის ამომხსნელმა განხილვა უნდა დაიწყოს **სპეციალური ხასიათის უფლებით**. მაგალითად: ბავშვებს უზღუდავენ თავისუფლად გამოთქვან მის აღმსარებლობასთან დაკავშირებული რელიგიური შინაარსის აზრი. ამ შემთხვევაში ბავშვის აღმსარებლობის თავისუფლება წარმოადგენს სპეციალური ხასიათის უფლებას აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით. ამიტომ ჯერ განხილულ უნდა იქნას აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვის საკითხი და შემდეგ აზრის გამოხატვის თავისუფლების საკითხი;
- თუკი დადასტურდება, რომ **დარღვეულია სპეციალური უფლება მაშინ, აღარაა საჭირო განხილულ იქნას ზოგადი ხასიათის უფლების დარღვევის საკითხი**;
- იმ შემთხვევებში, როდესაც კაზუსიდან არ ვლინდება სპეციალური და ზოგადი ხასიათის უფლებათა ურთიერთმიმართება მაშინ, კაზუსის ამომხსნელმა **ცალ-ცალკე უნდა განიხილოს თითოეული უფლების შესაძლო დარღვევის საკითხი**;

1.2. პერსონალურად დაცული სფერო

პერსონალურად დაცულ სფეროში იგულისხმება სუბიექტის, უფლებით დაცული პირის, ამ შემთხვევაში “ბავშვის” უფლების იდენტიფიცირება. კაზუსის ამომხსნის ამ ეტაპზე, კაზუსის ამომხსნელმა უნდა შეაფასოს საკითხი შეეხება თუ არა ბავშვის უფლების/თავისუფლების დარღვევას. ამასთანავე, ყურადღება გასამახვილებელია იმაზეც, რომ კონკრეტული უფლების სუბიექტობასთან მიმართებით ხომ არ არის დადგენილი რაიმე სახის კონსტიტუციური შეზღუდვა. ასე მაგალითად: ბავშვის უფლებათა კოდექსით განსაზღვრული უფლებები ექვემდებარება კონსტიტუციურ

შეზღუდვებს²⁹, რაც უფლების სუბიექტობასთან მიმართებითაც მოქმედებს. ბავშვის განათლებისა და ჯანმრთელობის უფლება გარანტირებულია კოდექსით³⁰, რაც რიგ ვალდებულებებს წარმოუშვებს სახელმწიფოს. თუმცა, კონსტიტუციის მიხედვით ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს სახელმწიფო მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების მიმართ კისრულობს³¹. ასეთივე დათქმაა პროფესიული და უმაღლესი განათლებასთან მიმართებითაც, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო აფინანსებს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს.³² აღნიშნულიდან გამომდინარე, კაზუსის ამოხსნისა და უფლების დარღვევის შეფასების პროცესში ყურადღება უნდა დაეთმოს და ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ბავშვის ძირითადი უფლებები და საქართველოს მოქალაქე ბავშვის ძირითადი უფლებები. აგრეთვე უფლებები, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე. მაგალითად: თავშესაფრით სარგებლობის უფლება.³³ თუკი დადგინდება, რომ კაზუსით განსაზღვრული პირი არ არის კონკრეტული უფლებით დაცული სუბიექტი მაშინ, ვერ ვიმსჯელებთ უფლების დარღვევის საკითხზე. შესაბამისად, უფლებით დაცული სუბიექტის განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი კომპონენტია კაზუსის ამოხსნის პროცესში.

ზემოაღნიშნული კომპონენტების განხილვის შემდეგ კაზუსის ამომხსნელი ადგენს შუალედურ დასკვნას და განსაზღვრავს, დასახელებულიდან ერთ-ერთს:

1. კაზუსის ფაბულაში აღწერილი პრობლემური საკითხი არ ეხება ბავშვის უფლებებით დაცულ სფეროს. ამით კაზუსის ამომხსნელი უარყოფს უფლების დარღვევის ფაქტს და წყვეტს კაზუსის განხილვას.

2. ანდა, კაზუსის ფაბულაში აღწერილი პრობლემური საკითხი შეეხება ბავშვის უფლების დაცვის საგანს და ამ უფლებით დაცულ სუბიექტს/პირს. ამით კაზუსის ამომხსნელი ადგენს, რომ არსებობს უფლების დარღვევის ალბათობა და აგრძელებს კაზუსის განხილვას.

²⁹ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, 2019, მუხლი 23, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=6> [ნანახია: 10.05.2024];

³⁰ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, 2019, მუხლი 10, 11.

³¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 28, ნაწილი 1, კონსოლიდირებული პუბლიკაცია 29.06.2020, ელ. ვერსია: <https://bit.ly/3sZclcN>, [ნანახია: 20.08.2024];

³² იქვე მუხლი 27, ნაწილი 2;

³³ იქვე მუხლი 33, ნაწილი 3;

2. დაცულ სფეროში ჩარევის შეფასება

დაცულ სფეროში ჩარევა გულისხმობს მხოლოდ სახელმწიფოს ანდა მისი სახელით მოქმედი ორგანოების მიერ განხორციელებულ რეალურ მოქმედებასა თუ უმოქმედობას, რომელიც ზღუდავს, ართულებს ან სრულად შეუძლებელს ხდის პირმა/ბავშვმა ისარგებლოს მისი უფლებით თუ თავისუფლებით. უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომ კაზუსის ფაბულაში აღწერილი საკვანძო მოქმედება რეალიზებულია საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანოს მიერ და ეს მოქმედება აფერხებს ბავშვმა მიიღოს ის სამართლებრივი სიკეთე, რომელიც მინიჭებული აქვს ძირითადი უფლებით.

საყურადღებოა, რომ ბავშვის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით შეზღუდვის სუბიექტია მხოლოდ საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანოები. ხელისუფლების სამივე შტო ვალდებულია თავის საქმიანობაში ითვალისწინებდეს ბავშვის უფლებებსა და თავისუფლებებს. ამასთანავე, ბავშვის ძირითადი უფლებებით შეზღუდულნი არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირები და კერძო სამართლის ის იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო ფუნქციებს. მაგალითად: სახელმწიფოს მიერ „შპს“ თუ „ააიპ“-ის ფორმით დაარსებული ანდა დაფინანსებული ალტერნატიული თუ რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებები.

საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანოები, როგორც წესი, არ არიან შეზღუდულნი ბავშვის ძირითადი უფლებებით, როდესაც საქმე შეეხება მათ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობას. თუმცა, გამონაკლისია თანასწორობის უფლება, რომლის დაცვის ვალდებულება სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში აკისრია ყველა საჯარო დაწესებულებას, ფიზიკურ და იურიდიული პირს.³⁴

დაცულ სფეროში ჩარევის შეფასებისათვის, სუბიექტის იდენტიფიცირებასთან ერთად მნიშვნელოვანია შეფასდეს თავად „შეზღუდვის“ ფაქტი. კაზუსის ამომხსნელმა ამომწურავად და ლოგიკურად უნდა დასაბუთოს, რომ საჯარო ხელისუფლების ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედება ნამდვილად ზღუდავს უფლებით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს.

ზემოაღნიშნული კომპონენტების განხილვის შემდეგ კაზუსის ამომხსნელი ადგენს შუალედურ დასკვნას და განსაზღვრავს, დასახელებულიდან ერთ-ერთს:

³⁴ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, 2019, მუხლი 7, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=6> [ნანახია: 10.05.2024];

1. კაზუსის ფაბულაში აღწერილი პრობლემური საკითხი არ განხორციელებულა ხელისუფლების ორგანოების მიერ ანდა ეს მოქმედება არ ზღუდავს ძირითადი უფლებით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს. ამით კაზუსის ამომხსნელი უარყოფს უფლების დარღვევის ფაქტს და წყვეტს კაზუსის განხილვას.

2. ანდა, კაზუსის ფაბულაში აღწერილი პრობლემური საკითხი განხორციელდა ხელისუფლების ორგანოების მიერ და ეს მოქმედება ზღუდავს ძირითადი უფლებით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს. ამით კაზუსის ამომხსნელი ადგენს, რომ განხორციელდა უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა და აგრძელებს კაზუსის განხილვას.

თუკი, კაზუსის ამომხსნელმა დაადგინა, რომ განხორციელდა უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა მან უნდა გააგრძელოს კაზუსის განხილვა. შუალედური დასკვნის შემდეგ კი იწყება უფლებით დაცული სფეროში ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასება, რაც კაზუსის ამომხსნის ბოლო ეტაპია.

3. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

კაზუსის ამომხსნის ამ ეტაპზე ფასდება უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის ფარგლები. უფლების უხეში დარღვევა გვაქვს სახეზე თუკი, უფლებაში ჩარევა არ ექვემდებარება კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებას. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ჩარევა განხორციელდა მართლზომიერად და ეფუძნება უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ზღვარს, მაშინ, ჩარევა მიიჩნევა გამართლებულად და უფლების უხეში დარღვევა არ გვექნება სახეზე.

მოგეხსენებათ, რომ უფლებას გააჩნია კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი, რომელიც ადგენს უფლების შეზღუდვის ფარგლებს და უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის საფუძვლებს. სწორედ, ძირითადი უფლების ზღვრის არსებობა წარმოადგენს ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლების პირველ წინაპირობას.

კოდექსით განსაზღვრული ბავშვის ძირითადი უფლებები ექვემდებარება საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ შეზღუდვებს.³⁵ ამ დათქმიდან გამომდინარე, უფლებაში ჩარევის საფუძვლები ანუ უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი შეიძლება იყოს შემდეგი სახეების:

- **კანონის კონკრეტული დათქმა** - ეს ის შემთხვევაა, როცა თავად მუხლი ითვალისწინებს, რომ ჩარევა უნდა განხორციელდეს კანონით ან კანონის საფუძველზე. ამასთან, ჩარევა უნდა ემსახურებოდეს კანონით განსაზღვრულ მიზნებს და გამოყენებული უნდა იქნას ამავე მუხლით განსაზღვრული საშუალებები; მაგალითად: ოჯახური ცხოვრების უფლების შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფად.³⁶
- **სასამართლო გადაწყვეტილების დათქმა** – ეს ის შემთხვევაა, როცა თავად მუხლი ითვალისწინებს, რომ უფლებაში ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საძველზე. მაგალითად: თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.³⁷ ეს დათქმა აქტიურად შეიძლება იქნას გამოყენებული, როცა საკითხი შეეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებს.
- **უშუალო ზღვარი** - ამ შემთხვევაში, მუხლი პირდაპირ მიუთითებს უფლებით დადგენილ ზღვარზე და არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. მაგალითად: დაუშვებელია ბავშვის წამება, მისდამი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება;³⁸ დაუშვებელია ბავშვის ფსიქიატრიული მკურნალობა ბავშვის მონაწილეობისა და მისი აზრის მოსმენის გარეშე.³⁹
- **შიდა ზღვარი** - ეს არის დაუწერელი ზღვარი, ანუ მუხლი არ შეიცავს კონკრეტულ დათქმას უფლების შეზღუდვასთან მიმართებით. თუმცა, შესაძლებელია აღნიშნულ უფლებაში ჩარევა განხორციელდეს შიდაკონსტიტუციური შეზღუდვის საფუძვლებით, როგორცია სხვათა

³⁵ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, 2019, მუხლი 23, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=6> [ნანახია: 10.05.2024];

³⁶ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 15, ნაწილი 1, კონსოლიდირებული პუბლიკაცია 29.06.2020, ელ. ვერსია: <https://bit.ly/3sZclcN>, [ნანახია: 20.08.2024];

³⁷ იქვე მუხლი 13, ნაწილი 2.

³⁸ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, 2019, მუხლი 4, პუნქტი 2, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=6> [ნანახია: 10.05.2024];

³⁹ იქვე მუხლი 44, პუნქტი 1.

უფლებები და თავისუფლებები. გამონაკლისია ბავშვის ღირსების ძირითადი უფლება, რომლის დაცულ სფეროში ჩარევა არასოდეს ექვემდებარება კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებას. ამრიგად ამ უფლებას კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი საერთოდ არ გააჩნია.⁴⁰

გასათვალისწინებელია, რომ უფლებას შესაძლოა ერთდროულად ჰქონდეს დაწესებული რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ზღვარი ამიტომაც, კაზუსის ამომხსნელს განსაკუთრებული ყურადღება მართებს ამ ეტაპზე. იმ შემთხვევაში, როცა ამომხსნელი დაადგენს, რომ ჩარევა არ ეფუძნება არცერთ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ზღვარს, მაშინ სახეზე გვაქვს უფლებით დაცულ სფეროში უხეში, გაუმართლებელი ჩარევა და სახეზეა უფლების დარღვევის ფაქტი. შესაბამისად, კაზუსის ამომხსნელმა ამ ეტაპზე უნდა შეწყვიტოს კაზუსის განხილვა.

ძირითადი უფლების ზღვრის დადგენის შემდეგ, კაზუსის ამომხსნელმა უნდა შეაფასოს აქვს თუ არა უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ზღვარს რაიმე ზღვარი - ზღვრის ზღვარი. ზღვრის ზღვარი გულისხმობს ძირითად უფლებაში ჩარევის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლების შემოწმებას. სამართლის მეცნიერებაში განასხვავებენ ზღვრის ზღვარის რამოდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს:

1. **ნორმატიულად განსაზღვრული ზღვრის ზღვარი** – ეს ის შემთხვევაა, როცა მუხლი აკონკრეტებს უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის ელემენტებს. მაგალითად: სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოება ანდა სხვათა უფლებების დაცვა. გარდა ამისა, ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული მოქმედებებისათვის, სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის აუცილებლობის შესახებ დათქმაც წარმოადგენს ზღვრის ზღვარს. ამასთანავე, შესაძლებელია ზღვრის ზღვარი დადგენილი იყოს უფლების განმამტკიცებელ მუხლის რომელიმე პუნქტით. მაგალითად: სამედიცინო დახმარების თუ მკურანლობის აკრძალვა, რომელიც იწვევს ბავშვის ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენებას წარმოადგენს ბავშვის ძალადობისაგან დაცვის უფლების ზღვარს;⁴¹ პროსტიტუციასა და სხვა სექსუალურ მოქმედებაში ბავშვის ჩაბმის აკრძალვა წარმოადგენს ბავშვის სექსუალური ძალადობისგან დაცვის ზღვრის ზღვარს⁴² და ა.შ.
2. უფლებით დაცულ სფეროში ნებისმიერი ჩარევის შეფასება უნდა განხორციელდეს **თანაზომიერების/პროპორციულობის პრინციპის** საფუძველზე. აღნიშნული პრინციპი თავის თავში გულისხმობს, რომ:

⁴⁰ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, 2019, მუხლი 4, პუნქტი 1, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=6> [ნანახია: 10.05.2024];

⁴¹ იქვე მუხლი 53, პუნქტი 4;

⁴² იქვე მუხლი 56, პუნქტი 2;

- ჩარევა უნდა ემსახურობდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. ამასთანავე, აუცილებელი არ არის, რომ უფლების განმამტკიცებელი მუხლის ტექსტი შეიცავდეს კონკრეტულ მინიშნებას უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით. მაგალითად, ბავშვის მიერ ინტერნეტით სარგებლობის თავისუფლება⁴³ შეიძლება შეიზღუდოს იმ ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე, რომ ბავშვს არ მიეწოდოს საფრთხის შემცველი ინფორმაცია. თუმცა, მსგავს დათქმას კონკრეტული მუხლი არ შეიცავს;
- ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად განხორციელებული ჩარევა უნდა იყოს გამოსადეგი. თუკი, მიზნის მიღწევის თეორიული შესაძლებლობა მაინც არსებობს მაშინ, აღნიშნული პირობა დაკმაყოფილებულად მიიჩნევა;
- ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად განხორციელებული ჩარევის ფორმა და ინტენსივობა უნდა იყოს აუცილებელი. ამრიგად, უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მიზნის მისაღწევად და ისეთივე ეფექტური შედეგის მისაღებად სხვა შედარებით რბილი საშუალება არ არსებობს;
- ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი ანუ პროპორციული. კაზუსის განხილვის ამ ეტაპზე უნდა შეფასდეს ჩარევით შეზღუდული და დაცულ სიკეთეთა ურთიერთმიმართების პროპორციულობა;

3. შემდეგი მნიშვნელოვანი კომპონენტია განსაზღვრულობის პრინციპი. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ იმ ნორმატიული აქტის შინაარსი, რომლის საფუძველზეც მოქმედებს საჯარო ხელისუფლება და ერევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში, უნდა იყოს მკაფიო და ნათლად განსაზღვრული. უნდა იკითხებოდეს არაორაზროვანად და მკითხველისათვის, ნორმის იურიდიული შედეგები თავიდანვე სრულად უნდა იყოს განჭვრეტადი.

კაზუსის ამოხსნის ამ ეტაპზე თუკი, ამომხსნელი დაადგენს, რომ უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა შეუსაბამოა განსაზღვრულობის ან თანაზომიერების პრინციპთან, ან ჩარევა ზემოთდასახელებული კომპონენტებიდან რომელიმეს ეწინააღმდეგება მაშინ, სახეზეა ძირითადი უფლების დარღვევის ფაქტი.

ზემოაღნიშნული კომპონენტების განხილვის შემდეგ კაზუსის ამომხსნელი ადგენს დასკვნას და განსაზღვრავს, დასახელებულიდან ერთ-ერთს:

⁴³საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, 2019, მუხლი 14, პუნქტი 3, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=6> [ნანახია: 10.05.2024];

1. კაზუსის ფაბულაში აღწერილი პრობლემური საკითხი - საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული მოქმედება/უმოქმედობა არ ეხება არცერთი უფლებით დაცულ სფეროს. ამით კაზუსის ამომხსნელი უარყოფს ძირითადი უფლების დარღვევის ფაქტს.

2. კაზუსის ფაბულაში აღწერილი პრობლემური საკითხი - საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული მოქმედება/უმოქმედობა ეხება ძირითადი უფლებით დაცულს სფეროს, მაგრამ იგი არ წარმოადგენს ჩარევას უფლებით დაცულ სფეროში. ამით კაზუსის ამომხსნელი უარყოფს ძირითადი უფლების დარღვევის ფაქტს.

3. კაზუსის ფაბულაში აღწერილი პრობლემური საკითხი - საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული მოქმედება წარმოადგენს ჩარევას უფლებით დაცულ სფეროში, მაგრამ იგი ექვემდებარება კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებას. ამით კაზუსის ამომხსნელი უარყოფს ძირითადი უფლების დარღვევის ფაქტს.

4. კაზუსის ფაბულაში აღწერილი პრობლემური საკითხი - საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული მოქმედება წარმოადგენს ჩარევას უფლებით დაცულ სფეროში და იგი არ ექვემდებარება კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებას. ამით კაზუსის ამომხსნელი ადგენს, რომ დარღვეულია ძირითადი უფლება.

4.3. კაზუსი ამოხსნით: ბავშვის განათლების და თანასწორობის უფლების დაცვის შესახებ

კაზუსი:

ქალბატონი კ.ს არის აზერბაიჯანის მოქალაქე, რომელსაც ჰყავს 2 მცირეწლოვანი შვილი - 10 წლის შ.ს და 14 წლის ნ.ს. ბავშვები ასევე, არიან აზერბაიჯანის მოქალაქეები და სწავლობენ საქართველოში, ქ.თბილისის #61-ე საჯარო სკოლაში. სკოლის ადმინისტრაციამ, ბავშვების - შ.ს და ნ.ს., მშობლებს მოსთხოვა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სწავლის ვაუჩერის თანხა შეეტანათ განათლების სამინისტროს შესაბამის ანგარიშზე, რათა ბავშვებს შესძლებოდათ გაეგრძელებინათ იმავე სკოლაში სწავლა. სკოლის ადმინისტრაციამ განუმარტა მშობლებს, რომ საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“, სწავლა საქართველოში, დაფინანსებულია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისათვის, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის დაფინანსება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და კანონმდებლობით არ ფინანსდება სხვა ქვეყნის მოქალაქე ბავშვების სწავლება.

ზემოაღნიშნული მოქალაქეები მიიჩნევენ, რომ მათ მიმართ ადგილი აქვს დისკრიმინაციულ მოპყრობას და ბავშვის განათლების უფლების დარღვევას, რადგანაც კანონმდებლობა გასხვავებულ მოპყრობას აწესებს მოქალაქეობის ნიშნით.

დავალება:

შეაფასეთ, რამდენად აქვს დისკრიმინაციულ მოპყრობას ადგილი და ირღვევა თუ არა ბავშვის განათლების უფლება.

კაზუსის ამოხსნა

შესავალი წინადადება.

ძირითადი უფლება ირღვევა როდესაც საჯარო ხელისუფლება ახორციელებს გაუმართლებელ ჩარევას ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში. დაცულ სფეროს წარმოადგენს ის სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც ბავშვის თანასწორობისა და განათლების უფლება იცავს.

1. დაცული სფერო

კაზუსში მოყვანილი საკითხი ეხება ბავშვის განათლების უფლებას და თანასწორობის უფლებას, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 27-ე, 30-ე და 11-ე მუხლებით. ასევე, საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მე-7 და მე-10 მუხლებით.

1.1. საგნობრივად დაცული სფერო

მოცემული კაზუსის პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებულ ძირითადი უფლებით დაცულ საგანს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 11-ე, 27-ე და 30-ე მუხლებით რეგლამენტირებული სფერო. კერძოდ კი, საქართველოს კონსტიტუციის 11-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.“ თანასწორობის ძირითადი უფლება ირღვევა, როდესაც საჯარო ხელისუფლება უთანასწოროდ ეპყრობა სხვადასხვა პირებს (პირთა ჯგუფებს) და ამგვარ მოპყრობას არ გააჩნია ლეგიტიმური საფუძველი.

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მიხედვით 1-ლი და მე-2 ნაწილით განსაზღვრულია, რომ „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. ასევე, სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო.“ განათლების უფლება ირღვევა, როდესაც ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის სკოლამდელი, დაწყებითი და საბაზო განათლება.

ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე ნაწილი განამტკიცებს, რომ “დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.” აღნიშნული ჩანაწერი გვამღებს შესაძლებლობას, უფლებით დაცული სფეროს იდენტიფიცირების ნაწილში მოვიშველიოთ “ბავშვის უფლებათა კოდექსის” მე-2 თავით განმტკიცებული ბავშვის უფლებები.

კაზუსით განსაზღვრულ პრობლემატურ საკითხს შეეხება საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მე-7 მუხლი და განსაზღვრავს, რომ “ბავშვთან

დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას საჯარო დაწესებულება, ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან პატივი სცენ თითოეულ ბავშვს, დაიცვან იგი და თანასწორად მოეპყრონ ბავშვებს, მათი რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი ოჯახის წევრის ან კანონიერი წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, საქმიანობის ან სხვა ნიშნის მიუხედავად”. ამავე მუხლის მეორე ნაწილით დამატებით ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ “სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა ბავშვისთვის თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს და იღებს განსაკუთრებულ ზომებს ნებისმიერი სახის უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.”

“ბავშვის უფლებათა კოდექსის” მე-10 მუხლი განამტკიცებს ბავშვის განათლების უფლებას და ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, შექმნას განათლების მიღებისათვის თანასწორი გარემო “ყველა ბავშვს აქვს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღებისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება.”

1.2. პერსონალურად დაცული სფერო

მოცემული გარემოების განსაზღვრის შემდეგ უნდა გავარკვიოთ, ეხება თუ არა სადავო საკითხი უფლებით დაცულ პირებს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11-ე და 27-ე მუხლში მითითებულია სიტყვა „ყველა“, შესაბამისად, დასადგენია, რამდენად იგულისხმება „ყველა პირში“ საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე ბავშვები, მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.“ მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში აღნიშნულია კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში აღნიშნულია, რომ „კონსტიტუციის მე-2 თავით გარანტირებული კონსტიტუციური უფლებები საქართველოში საქართველოში მცხოვრებ უცხოელებზე ვრცელდება საქართველოს მოქალაქეთა თანაბრად, თუ საწინააღმდეგო თვით კონსტიტუციიდან არ გამომდინარეობს.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 11-ე და 27-ე მუხლით

გათვალისწინებული თანასწორობისა და განათლების უფლება გავრცელდება საქართველოში მცხოვრებ უცხოელებზე, გარდა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი. შესაბამისად, ზოგადი განათლებით დაფინანსების საკითხში, კონსტიტუცია არ მიუთითებს მოქალაქეობის ნიშანს, ის მხოლოდ პროფესიული და უმაღლესი განათლების დაფინანსებასთან მიმართებით მოიხსენიებს მოქალაქეს. ამასთანავე, სკოლამდელი, დაწყებითი და საბაზო განათლების მიმდები პირები არიან ბავშვები, რომლებიც სრულად სარგებლობენ კონსტიტუციითა და კოდექსით მინიჭებული უფლებებით. აღნიშნული კი გვამღევს შესაძლებლობას, ვიფიქროთ, რომ ზოგადი განათლების დაფინანსება სახელმწიფოს ეკუთვნის ყველა პირის მიმართ, მიუხედავად მოქალაქეობისა.

დაცული სფეროს განხილვის საფუძველზე გამოტანილი შუალედური დასკვნა:

კაზუსის მოცემულობაში აღწერილი პრობლემური აქტი ეხება ძირითადი განათლებისა და თანასწორობის უფლებებით დაცვის საგანს და შესაბამისი ძირითადი უფლებებით დაცულ პირს - უცხო ქვეყნის მოქალაქე ბავშვებს.

2. დაცულ სფეროში ჩარევის შეფასება

ამ ეტაპზე უნდა დადგინდეს დაცულ სფეროში ჩარევის ფაქტი. შესაბამისად, უნდა გაირკვეს, განხორციელდა თუ არა კაზუსის მოცემულობაში აღწერილი პრობლემატური აქტი საჯარო ხელისუფლების მიერ და შეიზღუდა თუ არა ძირითადი უფლებით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს.

მოცემულ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი წარმოადგენს ძირითადი უფლებით შეზღუდული სუბიექტის მიერ მიღებულ დოკუმენტს.

კაზუსიდან ირკვევა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ზოგადი განათლების დაფინანსებას ვერ იღებენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და ფინანსდებიან მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ განათლების მიღებისა უფლება შეიზღუდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ

და აღმოჩნდნენ არათანაბარ მდგომარეობაში. ამრიგად, სადავო ნორმის საფუძველზე, სახეზეა დიფერენცირებული მოპყრობა და განათლების მიღების უფლების შეზღუდვა “მოქალაქეობის” ნიშნით.

დაცულ სფეროში ჩარევის განხილვის საფუძველზე გამოტანილი შუალედური დასკვნა:

პრობლემური აქტი განხორციელდა საჯარო ხელისუფლების - საქართველოს პარლამენტის მიერ და ეს მოქმედება ზღუდავს ძირითადი უფლებით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს. შესაბამისად სახეზეა განათლებისა და თანასწორობის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა.

3. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

კონსტიტუციისა და კოდექსის სულისკვეთებას წარმოადგენს ზოგადი განათლების სრულად დაფინანსების უზრუნველყოფა, რომლის რეალიზების წესიც კანონით უნდა განისაზღვროს. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის 27-ე მუხლი არ აკონკრეტებს იმ პირობა წრეს, რომელმაც უნდა მიიღოს უფასო ზოგადი განათლება, მაშინ როდესაც სხვა კონსტიტუციურ ნორმებში ხშირად გვხვდება რიგი უფლებები, რომლებიც ექსკლუზიურად მოქალაქეებს ეკუთვნით. შესაბამისად, კონსტიტუციის მიზნებისთვის ზოგადი განათლების დაფინანსების სუბიექტებად უცხოელებიც მოიაზრებიან.

განათლება ხელს უწყობს ბავშვს, საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს საზოგადოებაში, დამოუკიდებლად გაუძღვეს და მოაწყოს საკუთარი ცხოვრება. განათლების უფლებით სრულყოფილ რეალიზაციაზეა დამოკიდებული ადამიანის პიროვნული თავისუფლება, იმდენად, რამდენადაც შესაბამისი განათლების გარეშე ადამიანი რთულად თუ შეძლებს საკუთარი პიროვნების თავისუფალ განვითარებას.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსთვის განათლების დაფინანსებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც განათლების სუბიექტისთვის, ისე თავად სახელმწიფოსთვის. განათლების დაფინანსებას ვერ განვიხილავთ როგორც სახელმწიფოს მიერ პირისთვის მინიჭებულ პრივილეგიას ან შემწეობას. პირველ რიგში იმიტომ, რომ განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისთვის, ამავე დროს - განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მთელი ცხოვრების განმავლობაში წაართმევს ადამიანს სრულფასოვანი არსებობის საშუალებას. შესაძლებელია ცალსახად ითქვას, რომ განათლების უფლების რეალიზაცია და საზოგადოებისთვის უფასო ზოგადი განათლებით თანაბარი უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას.

მიუხედავად იმისა, რომ უფასო ზოგადი განათლების მიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისთვის, საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება აბსოლუტური არ არის. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. ამასთანავე, განათლების უფლების შეზღუდვისას კანონმდებელმა უნდა დაიცვას გონივრული ბალანსი შეზღუდვის გამოყენებულ საშუალებებსა და კანონიერ მიზანს შორის.

თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად, უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე⁴⁴. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაფასებელია რამდენად არის დაცული პროპორციულობა კერძო პირთა და საჯარო ლეგიტიმურ მიზნებს შორის.

უცხოელებისთვის განათლების ძირითადი უფლების შეზღუდვას სახელმწიფო ბიუჯეტის ამოწურვადობა უდევს საფუძვლად, რაც ზოგადად, შეიძლება წარმოადგენდეს უფლების შეზღუდვის მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს.

⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე “დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონჰეისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II-60;

თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამოწურვადი სახელმწიფო რესურსი, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტია, პირველ რიგში, ადამიანის ძირითადი უფლებების ეფექტურ რეალიზაციას უნდა მოხმარდეს.

განათლების მიღების უფლების შეზღუდვის შემთხვევაში ხდება მოზარდის/ბავშვის დისკრედიტაცია და უსწავლელობის სტიგმა გაჰყვება მას მთელი ცხოვრების განმავლობაში. სახელმწიფოს ამგვარი პოლიტიკით ჩნდება რისკი, რომ წარმოიქმნას ე.წ. “ჩრდილქვეშ მყოფი საზოგადოება”, რომელიც მუდმივად იცხოვრებს ქვეყნის ტერიტორიაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით, საქართველოს პარლამენტმა არაპროპორციულად შეზღუდა საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ზოგადი განათლების ძირითადი უფლება. შესაბამისად, სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 27-ე და ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-10 მუხლით განმტკიცებულ განათლების უფლებას.

აღსანიშნავია, რომ თანასწორობის მიზანს არ წარმოადგენს ყველა პირისა და პირთა ჯგუფს შორის უნივერსალური თანასწორობის მიღწევა. თანასწორუფლებიანობის განსაზღვრისას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მიზანს წარმოადგენს არა პირთა აბსოლუტური თანასწორობის მიღწევა, არამედ არსებითად თანასწორი პირებისადმი თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა. იმავე მიზანს ისახავს ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-7 მუხლი.

აღსანიშნავია, რომ რომ თანასწორუფლებიანობა არ არის აბსოლუტური უფლება. ჩარევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში არღვევს ძირითად უფლებას, თუ იგი არ ექვემდებარება კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებას. ჩარევა გამართლებულია, თუ იგი ეფუძნება ძირითადი უფლების კონსტიტუციურ - სამართლებრივ ზღვარს და ეს ზღვარი საჯარო ხელისუფლების მიერ მართლზომიერად იქნა შეფარდებული. აღნიშნულ შემთხვევაში, დიფერენცირება ხორციელდება მაღალი ინტენსივობით; შესაბამისად სახეზეა კონსტიტუციის მე-11 მუხლში ჩარევის კონსტიტუციურობის მკაცრი ტესტით შეფასება ორივე ნიშანთან მიმართებით. მკაცრი ტესტი გულისხმობს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებას. ამ ტესტის ფარგლებში საჭიროა, დასაბუთდეს, რამდენად აბსოლუტურად აუცილებელს წარმოადგენს ამ

უფლების შეზღუდვა და რამდენად არის „სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი“⁴⁵

ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის დროს უაღრესად დიდი მნიშვნელობით სარგებლობს პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპის განსაზღვრა. შესაბამისად, უნდა დადგინდეს შემდეგი ორი გარემოება: 1) რამდენად უკავშირდება დიფერენცირება კლასიკურ, სპეციფიკურ ნიშანს და 2) ხასიათდება თუ არა დიფერენცირება მაღალი ინტენსივობით. სპეციფიკური ნიშანთან დაკავშირებით მისათითებელია, რომ, მოცემულ კაზუსში სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენს მოქალაქეობა. იქედან გამომდინარე, რომ მოქალაქეობა არ არის კლასიკური ნიშნების ჩამონათვალში, რომელიც მითითებულია კონსტიტუციის მე-11 მუხლში, აღნიშნული უნდა შეფასდეს მკაცრი ტესტით, თუ დიფერენცირება მაღალი ინტენსივობით ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ დიფერენციაციის ინტენსივობის შეფასება განსხვავებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ამ შემთხვევასთან მიმართებით უნდა ვიმსჯელოთ, რამდენად არიან თანასწორი პირები არათანასწორ მდგომარეობაში ჩაყენებული. აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სადავო ნორმიდან გამომდინარე, აღნიშნული პირები დაფინანსებას საერთოდ ვერ იღებენ, მაშინ როდესაც, სხვა შესაძარბელები ჯგუფი (მოქალაქეები) დაფინანსებას იღებს სრულიად. აღნიშნული მოწმობს, რომ დიფერენცირება მაღალი ინტენსივობით ხასიათდება.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ბიუჯეტის მართლზომიერი გადანაწილება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი ნაწილია, და მისი არამიზნობრივი ხარჯვა ქვეყნის ეკონომიკის ვარდნას გამოიწვევს. თუმცა, აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რა დატვირთვა აქვს განათლების უფლების რეალიზებაზე ბიუჯეტის განაწილების საკითხს. წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს საყრდენს სწორედ განათლებული საზოგადოება წარმოადგენს. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი სწორედ მომავალი თაობის ხარისხიანი და უფასო განათლების უზრუნველყოფას უნდა წარმოადგენდეს. განსაკუთრებით, როდესაც საუბარია ზოგადი განათლების მიღების საკითხზე, რომელიც ადამიანს აძლევს ელემენტარულ-საბაზისო ცოდნას, რაც აუცილებელია მინიმალურ დონეზე რეალიზებისათვის.

⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II .

შესაბამისად, არ არსებობს „დაუძლეველი სახელმწიფო ინტერესი“, რომელიც გაამართლებს ზოგადი განათლების შეზღუდვას სახელმწიფოს მხრიდან.⁴⁶

კაზუსის განხილვის საფუძველზე გამოტანილი საბოლოო დასკვნა:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახეზეა საჯარო ხელისუფლების - საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან ძირითად უფლებაში ჩარევის ფაქტი; დისკრიმინაციული მოპყრობა და განათლების უფლების შეზღუდვა მოქალაქეობის ნიშნით; აღნიშნული შეზღუდვა არ ექვემდებარება კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებას; შესაბამისად, სახეზე გვაქვს ძირითადი უფლების დარღვევა.

4.4. კითხვები თვითკონტროლისთვის

1. რა არის კაზუსის ამოხსნის მოდელები და როგორია მათი ძირითადი პრინციპები?
2. როგორია კაზუსის ამოხსნის მოდელების გამოყენების უპირატესობები?
3. რა როლი აქვს კაზუსის ამოხსნის მოდელებს ბავშვის უფლებათა სამართალში?
4. როგორია კაზუსის ამოხსნის მოდელების გამოყენების პრაქტიკული სარგებელი?
5. რა მნიშვნელობა აქვს კაზუსის ამოხსნის მოდელების ცოდნას იურისტებისთვის?
6. რა არის კაზუსის ამოხსნის ძირითადი ეტაპები ბავშვის ძირითად უფლებებში?
7. როგორია კაზუსის ამოხსნის პროცესში ფაქტობრივი გარემოებების იდენტიფიცირების მნიშვნელობა?
8. რა როლი აქვს კაზუსის ამოხსნის პროცესში სამართლებრივი ნორმების გამოყენებას?

⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 დეკემბრის №2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე "რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციაი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II.

9. როგორია კაზუსის ამოხსნის პროცესში არგუმენტირებული მსჯელობის მნიშვნელობა?
10. რა მნიშვნელობა აქვს კაზუსის ამოხსნის პროცესში მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას?
11. როგორია ბავშვის განათლების უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები?
12. რა როლი აქვს თანასწორობის უფლებას ბავშვის განათლების პროცესში?
13. როგორია ბავშვის განათლების უფლების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები?
14. რა მნიშვნელობა აქვს ბავშვის განათლების უფლების დაცვის ეროვნულ კანონმდებლობას?
15. როგორია ბავშვის განათლების უფლების დაცვის პრაქტიკული მაგალითები?
16. როგორია კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიის გამოყენების პრაქტიკული სარგებელი?
17. რა როლი აქვს კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიას იურიდიული პრობლემების გადაჭრაში?
18. როგორია კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიის გამოყენების შედეგები იურიდიულ პრაქტიკაში?
19. რა მნიშვნელობა აქვს კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიის ცოდნას იურისტებისთვის?
20. როგორია კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიის გამოყენების უპირატესობები?
21. როგორ შეიძლება განვითარდეს კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია ბავშვის უფლებათა სამართალში?
22. რა როლი აქვს კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიის განვითარებას იურიდიული განათლების პროცესში?
23. როგორია კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიის განვითარების პრაქტიკული სარგებელი?
24. რა მნიშვნელობა აქვს კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიის განვითარებას იურიდიულ პრაქტიკაში?
25. როგორია კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიის განვითარების შედეგები?

თავი 5. კაზუსები ბავშვის ძირითად უფლებათა სამართალის მიმართულებით

5.1. კაზუსი ამოხსნით: საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან ბავშვის დაცვა

კაზუსი:

შპს „გლობალ TV“ არის სატელევიზიო კომპანია, რომელიც მოტივირებულია მაყურებელს მიაწოდოს სწრაფი და რეალური ინფორმაცია ქვეყანაში თუ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე. ამ მიზნიდან გამომდინარე, ჟურნალისტები ხშირად პირდაპირი ჩართვების მეშვეობით აშუქებენ მოვლენებსა თუ ინფორმაციებს შემთხვევის ადგილიდან. შესაბამისად, ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ძალადობის ამსახველი, შეურაცყოფის მიყენების და მსგავსი კონტენტის ინფორმაცია ექცევა სატელევიზიო სივრცეში. მსგავსი ინფორმაციები და მასალები ხელმისაწვდომია ყველსათვის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. მართალია, შეუზღუდავად ამ ინფორმაციების გაშუქებას მოსახლეობაში ბევრი კრიტიკა და აგრესია მოჰყვება ხოლმე, მაგრამ მსგავსი სიუჟეტების და ჩართვების მაყურებელთა მაჩვენებელი მუდმივად მაღალია. ამ ფაქტიდან გამომდინარე შპს „გლობალ TV“-ის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შეეცვალა სატელევიზიო ბადის განრიგი და მსგავსი ინფორმაციის შემცველი სიუჟეტები თუ ჩართვები გადაეტანა დილის საათებში ბავშვთა გასართობი გადაცემის ნაცვლად. გადაწყვეტილების მიზანი კი იყო, რომ სამსახურში წასვლამდე ბავშვებთან ერთად მშობლებიც უყურებენ ტელევიზორს და ამით, კიდევ უფრო გაზრდიდნენ მაყურებელთა რაოდენობასა თუ დაინტერესებას, რაც თავითავად გამოიწვევდა რეკლამების თუ შემოსავლების გაზრდას. ამასთანავე, დროის ამ მონაკვეთში ხშირია რეკლამები აზარტული თამაშების, თამბაქოსა და ალკოჰოლის მწარმოებელი კომპანიების შემოთავაზებების შესახებ. რეკლამები კი შედეგიანია, რაზეც კომპანიების გაყიდვების ზრდის მაჩვენებელი მეტყველებს.

სამაუწყებლო ბადის შეცვლიდან 2 კვირაში, კომპანია შპს „გლობალ TV“, შეამოწმა კომუნიკაციების ეროვნული კომისია და თავისი უფლებამოსილების განხორციელების შედეგად დაადგინა, რომ კომპანია არღვევდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციებს და ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებულ ბავშვის უფლებას დაცული იქნას საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან. დარღვევებიდან გამომდინარე კომუნიკაციების ეროვნული კომისიამ შპს „გლობალ TV“-ს შეუჩერა სამაუწყებლო ლიცენზია დროებით. პრობლემების მოგვარებამდე.

კომპანია შპს „გლობალ TV“ სასტიკად არ ეთანხმება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ ეს არის ცენზურის დაკისრება, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და კანონიერი საქმიანობის ხელშეშლა. ამასთანავე, მიიჩნევს, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული მუხლი, რომელიც განამტკიცებს ბავშვის უფლებას დაცული იქნას საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან არის ბუნდოვანი და გაურკვეველი. შესაბამისად, არ აწესებს და ვერც განსაზღვრავს რა ტიპის ინფორმაცია ითვლება ბავშვისთვის საფრთხის შემცველად. კომპანია მიიჩნევს, რომ ტელევიზიაში მათ მიერ გაშუქებული არცერთი ინფორმაცია თუ სარეკლამო ჭრა არ წარმოადგენს ბავშვისთვის საფრთხეს. ისინი ასახავენ იმ საზოგადოების რეალურ სახესა თუ ინტერესებს, რომელშიც ბავშვები ცხოვრობენ და რომლის შესახებაც ბავშვებმაც უნდა იცოდნენ, როგორც საზოგადოების სრულფასოვანმა წევრებმა.

დავალება:

შეაფასეთ, რამდენად ირღვევა ინფორმაციის მიღებისა და გამოხატვის თავისუფლება.

კაზუსის ამოხსნა

შესავალი წინადადება.

ძირითადი უფლება ირღვევა როდესაც საჯარო ხელისუფლება ახორციელებს გაუმართლებელ ჩარევას ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში. დაცულ სფეროს წარმოადგენს ის სამართლებრივი სიკეთე, რომელიც ბავშვს იცავს საფრთხის შემცველი ინფორმაციის მიღებისაგან. ასევე, დაცულ სფეროს წარმოადგენს ინფორმაციის მიღების თავისუფლება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფალეობა.

1. დაცული სფერო

კაზუსში მოყვანილი საკითხი ეხება ბავშვის დაცვას საფრთხის შემცველი ინფორმაციისაგან, რომელიც გამტკიცებულია „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მე-15 და 66-ე მუხლით. ასევე, ინფორმაციის მიღების თავისუფლებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფალეობას, ცენზურის

დაუშვებლობას, რომელიც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით.

1.1. საგნობრივად დაცული სფერო

მოცემული კაზუსის პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებულ ძირითადი უფლებით დაცულ საგანს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთე, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის მიღების თავისუფლებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებას. მუხლით განსაზღვრულია, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამასთანავე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება. ძირითადი უფლება ირღვევა, როდესაც საჯარო ხელისუფლება ზღუდავს სხვადასხვა პირებს (პირთა ჯგუფებს) თავისუფლად მიიღონ თუ გაავრცელონ ინფორმაცია და ამგვარ მოპყრობას არ გააჩნია ლეგიტიმური საფუძველი.

მოცემული კაზუსის პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებულ ძირითადი უფლებით დაცულ საგანს წარმოადგენს ბავშვის უფლება დაცული იქნას საფრთხის შემცველი ინფორმაციისაგან. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მე-15 მუხლი განსაზღვრავს, რომ ბავშვს უფლება აქვს, მიიღოს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე სხვა თემების შესახებ ინფორმაცია, რომელიც სასარგებლოა მისი ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური, ფსიქოსოციალური და კულტურული განვითარებისა და კეთილდღეობისთვის. ხოლო ამავე კოდექსის, 66-ე მუხლი განამტკიცებს ამ უფლებას და ადგენს, რომ მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავლენისგან ბავშვის დაცვა. მაუწყებელი ასევე, ვალდებულია გამოიყენოს სამაუწყებლო პროგრამათა კლასიფიკაციის კრიტერიუმები ამ პროგრამების კატეგორიების დადგენის მიზნით და განათავსოს ეს პროგრამები სამაუწყებლო ბადეში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესების დაცვით. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა კი შეუძლებელს ხდის ბავშვმა მიიღოს მისი განვითარებისთვის აუცილებელი ინფორმაცია. ამასთანავე, არღვევს ბავშვის უფლებას დაცულ იქნას საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან.

1.2. პერსონალურად დაცული სფერო

მოცემული გარემოების განსაზღვრის შემდეგ უნდა გავარკვიოთ, ეხება თუ არა სადავო საკითხი უფლებით დაცულ პირებს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია სიტყვა „ყოველი ადამიანი“, შესაბამისად, საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს, ბავშვებსაც და ზრდასრულებსაც აქვთ უფლება თავისუფლად მიიღონ და გაავრცელონ ნებისმიერი სახის სასურველი ინფორმაცია. ამრიგად, ინფორმაციის თავისუფლების უფლებით, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დაცულნი არიან მხოლოდ ფიზიკური პირები - ადამიანები.

შესაბამისად, დასადგენია ინფორმაციის თავისუფლების უფლება ვრცელდება თუ არა იურიდიულ პირებზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი განამტკიცებს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. ამ დათქმის შესაბამისად ნათელი ხდება, რომ ინფორმაციის გავრცელების ნაწილში იურიდიული პირები, რომლებიც არიან მასობრივი ინფორმაციის გამავრცელებელი საშუალებები - ტელე და რადიომაუწყებლობები, ექცევიან ამ უფლებით დაცულ სფეროში.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებულია არა მხოლოდ პირის უფლება, თავისუფლად გაავრცელოს აზრი, ინფორმაცია, შეხედულებები, არამედ საკუთრივ ის საშუალებებიც, რომლებიც აზრის, შეხედულებების გამოთქმის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისათვის არის აუცილებელი. აღნიშნულ საშუალებებს განეკუთვნება, მათ შორის, ბეჭდვითი მედია, სამაუწყებლო საშუალებები, მათ შორის, რადიომაუწყებლობა და ტელემაუწყებლობა, აგრეთვე ინფორმაციის და აზრის გავრცელების სხვა საშუალებები.⁴⁷

საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მე-15 მუხლი განსაზღვრავს, რომ ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად მიიღოს მისი განვითარებისთვის და მისი ინტერესების შესაბამისი ნებისმიერი სახის

⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად დიმიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჟი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ინფორმაცია. ხოლო, ამავე კოდექსის 66-ე მუხლი იცავს ბავშვს საფრთხის შემცველი ინფორმაციის მიღებისაგან, რის გამოც მაუწყებლებს, იურიდიულ პირებს, რომლებიც წარმოადგენენ მასობრივი ინფორმაციის გამავრცელებელ ორგანოებს აკისრებთ ვალდებულებას, რომ სწორად მოახდინონ სამაუწყებლო პროგრამათა კლასიფიკაცია და მიიღონ ყველა ზომა, რადგან მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციით ბავშვები იყვნენ დაცულნი მავნე ზეგავლენის მქონე ინფორმაციისგან.

დაცული სფეროს განხილვის საფუძველზე გამოტანილი შუალედური დასკვნა:

ამრიგად, კაზუსის მოცემულობაში აღწერილი პრობლემური აქტი ეხება ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლებით დაცულ სფეროს, მათ შორის ბავშვის უფლებას იქნას დაცული საფრთხის შემცველი ინფორმაციისაგან. ძირითადი უფლებებით დაცულ პირებს კი წარმოადგენენ ბავშვები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

2. დაცულ სფეროში ჩარევის შეფასება

ამ ეტაპზე უნდა დადგინდეს დაცულ სფეროში ჩარევის ფაქტი. შესაბამისად, უნდა გაირკვეს, სახეზეა თუ არა კანონმდებლის მიერ მარეგულირებელი ორგანოსთვის შინაარსობრივი რეგულირების უფლებამოსილების მინიჭება და რამდენად აკმაყოფილებს ასეთი რეგულირება კონსტიტუციურ სტანდარტებს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი დაცვის აბსოლუტური ხასიათით არ სარგებლობს. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის უფლებამოსილებით მოცემულ შემთხვევაში აღჭურვილია კომუნიკაციის ეროვნული სააგენტო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირების კონსტიტუციის დასაშვებ ფარგლებთან დაკავშირებით განმარტა, რომ „...გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, შინაარსობრივი რეგულირების შემოღების გზით, ამ უფლებაში ჩარევის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფორმაა. იმის სავალდებულოდ განსაზღვრა, თუ რა შინაარსის აზრის/ინფორმაციის გავრცელება არის დაუშვებელი, გულისხმობს პირთა გონებისათვის „ინფორმაციული ფილტრის“ დაყენებას. დემოკრატიული სახელმწიფო უდავოდ გულისხმობს თავისუფალ საზოგადოებას, თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეს, გარემოს, სადაც ყველასთვის უზრუნველყოფილია აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა, თავისუფალი პაექრობა. იქ, სადაც თავისუფალი სიტყვა უზრუნველყოფილი არ

არის, არ არის სივრცე განვითარებისთვის, თავისუფლებისთვის. ამგვარად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, კერძოდ კი, მისი შინაარსობრივი რეგულირება, იმგვარი საკითხია, რომლის თითოეული ასპექტის განსაზღვრა მაღალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესის საგანია“.⁴⁸

ამგვარად, დაუშვებელია, გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი შეზღუდვის დადგენა, ამ უფლებით სარგებლობა და მისი დაცვის პერსპექტივები საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ან/და საქართველოს პარლამენტის გარდა ნებისმიერი სხვა ორგანოს მიხედულების ფარგლებზე იყოს დამოკიდებული და უფლებაში ჩარევის სტანდარტები ამ ორგანოების პოზიციის, ფასეულობების, იდეების შესაბამისად ყალიბდებოდეს.. შესაბამისად, დელეგირებული უფლებამოსილების მქონე ორგანოს აქვს კონსტიტუციური ვალდებულება, არაგონივრულად, არაპროპორციულად არ შეზღუდოს ესა თუ ის უფლება. თუმცა იმის მიუხედავად, რომ არსებობს შესაძლებლობა, შემოწმდეს მიღებული თითოეული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, საფუძველშივე პრინციპულად არასწორია, ამგვარი მნიშვნელობის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებდეს სათანადო საკანონმდებლო კომპეტენციის არმქონე ორგანო.

მოცემულ შემთხვევაში, შესაფასებელია ხორციელდება თუ არა ბავშვის უფლებათა კოდექსისა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგადი მიმთითებელი ნორმებით მაუწყებლების კონსტიტუციით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვა და ასეთის არსებობის შემთხვევაში, რა ღირებულ საჯარო ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება იგი. ბავშვის უფლებათა კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავლენისგან ბავშვის დაცვა. მაუწყებელი ასევე ვალდებულია გამოიყენოს სამაუწყებლო პროგრამათა კლასიფიკაციის კრიტერიუმები ამ პროგრამების კატეგორიების დადგენის მიზნით და განათავსოს ეს პროგრამები სამაუწყებლო ბადეში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესების დაცვით“. ხოლო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის სადავო პუნქტები მაუწყებელს ავალდებულებს ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისაგან არასრულწლოვნის დაცვას და უკრძალავს მსგავსი

⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36.

ინფორმაციის შემცველი პროგრამის გადაცემას. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მაუწყებელმა, კანონით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად უნდა განსაზღვროს პროგრამათა კატეგორიები და სამაუწყებლო ბადეში პროგრამათა განთავსებისას იხელმძღვანელოს კანონით დადგენილი დროითი შეზღუდვებით. ამავე მუხლის მე-5 პუნქტი აწესრიგებს სამაუწყებლო ბადეში არასრულწლოვნისათვის შეუფერებელი პროგრამის განთავსების დროით შეზღუდვებს. შესაბამისად, ზემოხსენებული სადავო ნორმები ადგენს მაუწყებლის ზოგად ვალდებულებებს, რომლის რაციონალური არსი მდგომარეობს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლით გათვალისწინებული ნიშანდებებითა და წყალგამყოფებით არასრულწლოვანთა დაცვაში. ამრიგად, კოდექსის 66-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები დაკონკრეტებულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ და 56² მუხლებში. სწორედ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის მე-5 პუნქტი და 56² მუხლი შეიცავს საკითხის დეტალურ რეგულაციას არასრულწლოვანთა ასაკობრივი კატეგორიებისა და სამაუწყებლო პროგრამების ეთერში განთავსების დროის გათვალისწინებით. აღნიშნული ნორმები დეტალურად აწესრიგებს რომელი პროგრამა განეკუთვნება 7, 12, 15 და 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის შეუფერებელ პროგრამებს და დღის რომელ მონაკვეთშია დასაშვები მათი განთავსება. სადავო ნორმების ანალიზისა და კაზუსის ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და მათი შეფასების შედეგად, იკვეთება, რომ კანონმდებლის მიზანია ბავშვების დაცვა მავნე ზეგავლენისაგან.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლის ამგვარი მიზანმიმართულება იკვეთება ბავშვის უფლებათა კოდექსის მეორე კარის მთლიანი მეცხრე თავით, 62-68 მუხლები, რომლებიც განსაზღვრავს ბავშვის მავნე ზეგავლენისგან დაცვის საკითხებს, რაც გულისხმობს ბავშვის უარყოფითი სოციალური გარემო-ფაქტორების გავლენისაგან დაცვას შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნის და სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების და ღონისძიებების განხორციელების საფუძველზე. მოწესრიგების სფერო მოიცავს ბავშვის დაცვას ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებებისაგან. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, კერძო და საჯარო იურიდიული პირები ვალდებული არიან, დაიცვან ბავშვი ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და სხვა თრობის საშუალებების გამოყენებისაგან საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში. დაუშვებელია ბავშვის შრომითი საქმიანობა ისეთ დაწესებულებაში, სადაც ხდება ალკოჰოლური სასმელების, ნარკოტიკული და

ფსიქოტროპული სამკურნალო საშუალებების, თამბაქოს ნაწარმის წარმოება, დასაწყობება, ტრანსპორტირება ან რეალიზაცია. ეს თავი აწესრიგებს ბავშვის დაცვას მედია სივრცეში, რომლის ფარგლებშიც დადგენილია მასმედიის საშუალებებზე ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვები. შეზღუდვებს საფუძვლად უდევს ბავშვის ასაკობრივი ზღვარი და დღე-ღამის კონკრეტული დროის მონაკვეთი. საჯარო კინოჩვენებებზე ბავშვი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვისათვის საჯარო ჩვენება დაშვებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე ან საქმე ეხება საინფორმაციო და საგანმანათლებლო შინაარსის ფილმებს და პროდუქტზე დატანილია მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ნიშანდება „საინფორმაციო“ ან „საგანმანათლებლო“. კოდექსით გათვალისწინებული ზოგადი ვალდებულების მიხედვით, სამაუწყებლო კომპანიები ვალდებული არიან ფილმების და გასართობი პროგრამების მაუწყებლობა მოახდინონ შესაბამისი ასაკობრივი ნიშანდების საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბავშვის უფლებათა კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტები, ცალკე აღებული, არ არის სამართლებრივი შედეგის წარმოშობისთვის თვითკმარი საფუძველი. შესაბამისად, ზემოხსენებული ნორმების მოქმედებით კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად ხორციელდება გამოხატვის წინარე პრევენცია ისეთი გამოხატვის საშუალებებთან მიმართებით, როგორიცაა ტელემაუწყებლობა. უდავოა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიებით იზღუდება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება. გამოხატვის თავისუფლება კი არ არის აბსოლუტური და შეიძლება დაექვემდებაროს ცალკეულ შეზღუდვებს. შესაბამისად, შეზღუდვის კონსტიტუციურობა უნდა შეფასდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით.⁴⁹

დაცულ სფეროში ჩარევის განხილვის საფუძველზე გამოტანილი შუალედური დასკვნა:

⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის N1/1/1537 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს მთავარი არხი, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი საღინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II, 33-39;

პრობლემური აქტი განხორციელდა საჯარო ხელისუფლების - საქართველოს პარლამენტის დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი, კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა მიერ და ეს მოქმედება ზღუდავს ძირითადი უფლებით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს. შესაბამისად სახეზეა ინფორმაციის მიღებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევა.

3. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის გამართლება:

თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.⁵⁰

იმისთვის, რათა დადგინდეს, გათვალისწინებული შეზღუდვა შესაბამისობაშია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებთან, თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, უფლების შეზღუდვის გასამართლებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს ლეგიტიმური მიზანი. ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია.⁵¹

- შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი

⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60;

⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15.

უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, შესაფასებელია არის თუ არა სახეზე ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომლის მისაღწევად, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დასაშვებია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. მოცემულ შემთხვევაში სადავო ნორმების მიზანს წარმოადგენს ბავშვის/არასრულწლოვნის დაცვა ისეთი ინფორმაციისაგან, რომელმაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს მის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას, აგრეთვე, მის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას და სოციალიზაციას. აღსანიშნავია, რომ დასახელებული ინტერესები უაღრესად მნიშვნელოვანია და მათი დაცვა სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, უდავოა, რომ მედია საშუალებების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, კერძოდ, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად, კონსტიტუციურად გამართლებულია.

- **გამოსადეგობა და აუცილებლობა**

